ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ხუთშაბათი, 11 აგვისტო, 2011 №189 (5570) ფასი: 30 თეთრი

## ხელისუფლება „საქართველოს რკინიგზის“ აქციების გაყიდვას გეგმავს

გვ.2



# თუ მიცვალებულს 3 დღეში არ დამარხავთ, დაჯარიმდებით!

### ხელისუფლება ფულს მკვდრებითაც აკეთებს

გვ.4

## გიგი უგულავა პრეზიდენტობისთვის ემზადება

გვ.3



ვინ შეცვლის მიხეილ სააკაშვილს

## დავით ზურაბიშვილი: „სააკაშვილს თავისი მემკვიდრის ეშინია“

გვ.2



## თინათინ ხიდაშელი: „სამი და ოთხი წლის ბავშვების დედების აქციები დაიწყება“

გვ.7



## შამბა ქართველი დევნილების დაბრუნებაზე უარს ამბობს

გვ.6

რატომ არა ჰყავს პრეზიდენტობის კანდიდატს ფოტოგრაფი



## ნაციონალების საარჩევნო სიის პირველი ნომერი დავით ბაქრაძე იქნება

გვ.5



## მთავრობას ძეგლებთან ბრძოლის სენი შეეყარა



გვ.4



## ალასანიამ ამომრჩევლებთან შეხვედრები დაიწყო

## კახა კუკავა: „მთავრობა ფინანსურ ტერორზე გადავიდა“



გვ.2

გვ.10

## გია გვაზავა: „ფრთხილი პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმა გვმართებს!“



**3090**

**sms განცხადებები „ახალ თაობაში“**

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

2 ილია II ოს და აფხაზ ახალგაზრდებს შეხვდა

3 საქართველო-სომხეთის საზღვარზე ახალი წესები მოქმედებს

2 იყიდა თუ არა კალმახელიძის ძმამ „აფხაზეთი“

6 თბილისის პრობაციის ბიუროში ვიდეო-კამერები უქმდება

# დავით ზურაბიშვილი: „სააკაშვილს თავისი მემკვიდრის ეშინია“

ნათია ხურცილავა

**„ახალი თაობა“ რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთ ლიდერს დავით ზურაბიშვილს ესაუბრა.**

— ***ბატონო დავით, პრეზიდენტმა ანაკლიიდან განცხადებები გააკეთა. აგვისტოს ომის დღეების ფონზე ხომ არ ფიქრობთ, რომ ის მოვლენების შეფასებებს ასცდა, საზოგადოების ნაწილი ამბობს, სხვა რეალობას ქმნის?***

— მე, საერთოდ, რესპუბლიკურ პარტიაში ნაკლებად ვაქცევთ ყურადღებას სააკაშვილის ასეთ გამოსვლებს. ეს ერთადერთ რამეს ემსახურება: უმძიმესი რეალობის ნაცვლად, რომელშიც თითოეული ჩვენგანი ვცხოვრობთ, მან შემოგვთავაზოს სხვა რეალობა. მისი შეხედულებით უფრო ლამაზი. პროპაგანდის საშუალებით კი დაამკვიდროს აზრი, რომ საერთოდ სხვაგან ვართ, რომ ყველა კარგად არის, ყველა ბედნიერია. ვინც არ არის კარგად და ვინც არ არის ბედნიერი, ეს მისი ბრალია. ერთდროულად ექსტრავაგანტულ, უგემოვნო, თან კომუნისტურ-კომკავშირული ტრადიციების სტილში გამოდის. ვერ მოიშალა ახალგაზრდულ ბანაკებში სიარული, შორტებით პალმებისა და ზღვის ფონზე გამოსვლა, თან 80 პროცენტმა იმაზე ისაუბრა, რომ მედვედევმა ჩემზე ილაპარაკაო. ყველაზე უფრო საგანგაშო ის არის, რომ ადამიანმა მეორედ თქვა აბსოლუტურად გულწრფელად, რომ მივფრინავდი სადღაც, ლეგოს სათამაშოებით აგებული შენობა ვნახეო, გავეცი ბრძანება და სამ-ოთხ თვეში წამოჭიმესო. ტელევიზიით გვიჩვენეს ის კოშმარული შენობა, ყვითელი კუბიკებით რომ არის აწყობილი. როდესაც პრეზიდენტი ამას საუბრობს, რომელსაც პერსპექტივაში მაინც წარმოუდგენია თავისი ქვეყანა ევროპული ტიპის სახელმწიფოდ, ასეთ სისულელეს არ იტყვის. ვინ ჰკითხავს სახლის აშენებას, ეს ხომ წარმოუდგენელია ნორმალური, დემოკრატიული ქვეყნისთვის. სახლის აშენება ყოფილა მისი საქმე, რა დროს ომიაო. ეს არის ტიპური აღმოსავლური ტიპის ტირანის მიდგომა. რაც ძალიან საგანგაშოა, ეს მიუთითებს იმაზე, რომ ეს ადამიანი საერთოდ გასულია მომსახურების არედან. ამ ადამიანის ხელში შეუძლებელია ნორმალური, დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის აშენება. გარდა ამისა, რუსეთთან ურთიერთობის საკითხშიც აბსოლუტურად ცხადია, რომ არავითარი პრესპექტივა არ არსებობს. რუსეთთან ასეთ დაძაბულ ურთიერთობაში, ლამის ომის მდგომარეობაში რომ ვართ, როგორ ეპატიჟება დამსვენებლებს, საზღვარზე რუსეთის ჯარი დგას. ვინ ჩავა დასასვენებლად, წინასწარ რომ ეტყვი, მტერი და ოკუპანტიაო.

— ***თუმცა, ეს რეალობაა...***

— რეალობაა, მაგრამ ეს გამოსვლა კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ეს ადამიანი არ შეიძლება ხელისუფლებაში იყოს. მისი ხელისუფლებაში ყოფნა სერიოზული პრობლემა არის ქვეყნისთვის. მას პრაქტიკულად არ დარჩა პოზიტიური პოტენციალი, რომ რაღაც კარგი გააკეთოს. მხოლოდ ცდილობს შავი თეთრად მოგვაჩვენოს, ყველაფერი იმ თვალით დაგვანახოს, რა თვალითაც თავად უნდა, რომ დაინახოს.

— ***თქვენ ამბობთ, რომ ქვეყანა საფრთხის წინაშე დგას, თუ აცნობიერებს ამას ხალხი, რომელსაც შეუძლია ქვეყანაში რეალობა შეცვალოს...***

— რამდენიმე სეგმენტის გამოყოფა შეიძლება. ოპოზიციური ძალები, ხელისუფლების შიგნით მდგომარეობა და საზოგადოება. ზოგადად საზოგადოების აქტიურობა დიდწილად არის დამოკიდებული პოლიტიკურად აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ნაწილზე. რაც შეეხება ოპოზიციურ ძალებს, კონკრეტულად რესპუბლიკურ პარტიას და იმ ხუთ პოლიტიკურ ძალას, რომელიც პოლიტიკურ კოალიციაშია, ძალიან ინტენსიურად ვემზადებით. სერიოზულ მუშაობას ვაპირებთ იმისთვის, რომ



სწორედ ხელისუფლება შევცვალოთ და საზოგადოების განწყობაში გარდატეხა შევიტანოთ. საზოგადოების განწყობაში გარდატეხის შეტანა უმნიშვნელოვანესია. დღეს ხელისუფლება აღარ ცდილობს, რომ თავი მოაწონოს ხალხს. ჰყავდეს მომხრეები.

— ***რატომ?***

— რა პოლიტიკასაც ის აწარმოებს, ნაგვის გადასახადის მიბმა ელექტროენერგიის გადასახადზე, სამარშრუტო ტაქსების გაძვირება, საბავშვო ბაღების ფასიანად გახდომა, ეს არანაირად არ არის რეფორმა და ქვეყნისთვის სასიკეთო. ეს გადაწყვეტილება მიმართულია მხოლოდ იმისკენ, რომ მოქალაქეებიდან, რაც შეიძლება მეტი ფული ამოქაჩონ თავიანთთვის, სხვა მიზანი ამას არ აქვს. ასე როდესაც იქცევა ხელისუფლება, ბუნებრივია, რომ ეს ნიშნავს იმას, რომ არ აპირებს ხალხის მხარდაჭერის ხარჯზე ხელისუფლებაში დარჩენას, არამედ სხვა მექანიზმებით.

— ***რა მექანიზმებით?***

— გააჩინოს განცდა, რომ სულ მე ვიქნები, არაფერი ჩემთან არ გაგივათ. ყველას დაგიჭერთ, ყველას დაგხოცავთ. მთელი მსოფლიო მე დამიჭერს მხარს. ეს არის მათი პოლიტიკა. ასეთ სიტუაციაში ოპოზიციის მოვალეობაა ხალხში განწყობის შექმნა. ხალხს კარგად უნდა დავანახოთ რეალური ალტერნატივა, რომ ალტერნატივა არსებობს. იმედი გვაქვს, რომ ჩვენ ამას შევძლებთ.

— ***ხელისუფლების შიგნით არსებულ ძალებზე რას იტყვით?***

— ბუნებრივია, შიგნით ვინც გიჟი და სულელი არ არის, არ შეიძლება ვერ აცნობიერებდეს, რომ ამ ადამიანმა თავისი დრო მოჭამა, უკვე წარსულია. მიხეილ სააკაშვილი ყავლგასულია, მაგრამ ისეთი სიტუაციაა, რომ ვერავინ ვერ გაბედავს დამოუკიდებელ ქმედებებს. ყველა ერთმანეთზე არის ჩასაფრებული. მიხეილ სააკაშვილს იმხელა ძალაუფლება აქვს, რომ საკმარისია, რომელიმე ფრთამ დამოუკიდებელი მოქმედების მსგავსი რამ გაბედოს, რომ იმ წუთში თავს რისხვა დაატყდება, დააპატიმრებენ და ამის გამო ხალხი არ იტირებს, პირიქით, ტაშს დაუკრავენ. ყველა გასვრილია, სააკაშვილმა ამ მხრივ შევარდნაძის მემკვიდრეობა განავითარა. შევარდნაძესაც ასეთი მიდგომა ჰქონდა, სხვის გასვრის და ერთმანეთთან დაპირისპირების ხარჯზე იმტკიცებდა პოზიციას. სააკაშვილმა ეს მიდგომა უკიდურეს ზომამდე მიიყვანა და მთელი სახელმწიფო სისტემა მასზე არის ჩამოკიდებული. ის რომ არ იყოს, ეს სისტემა ჩამოიშლება, როგორც იტყოდა და ერთმანეთს დაერევიან. ამ სიტუაციაში რამე ძვრებს შიგნიდან არ უნდა ველოდოთ. ყველაფერი დამოკიდებულია, როგორ იმოქმედებს ოპოზიციური ძალები და სამოქალაქო საზოგადოება ერთობლივად. ეს შეცვლის მოქალაქეთა განწყობას, ეს შეცვლის პროცესებს. თვითონ სააკაშვილს, რომ არაფერი არ ეშველება ეს ცხადია.

— ***თითქოს სააკაშვილმა პოზიცია შეცვალა და საპრეზიდენტო ვადის გასვლის შემდეგ პოლიტიკური კარიერის დასრულებას აპირებს, რომ კომბინაციების გათამაშებას არ აპირებს. იზიარებთ ამ მოსაზრებას?***

— არა, არავითარ შემთხვევაში. სააკაშვილისთვის ეს წარმოუდგენელია. არ აქვს მნიშვნელობა, პრეზიდენტი ერქმევა, პრემიერ-მინისტრი თუ საქართველოს დირექტორი. მისთვის მთავარია, რომ რეალურად ის იყოს მმართველი, პირველი კაცი ქვეყანაში. სულ ერთია, მისთვის მისი გუნდის წევრი იქნება ხელისუფალი თუ ოპოზიციის წარმომადგენელი. ერთადერთი მიზანი აქვს, რომ იყოს თვითონ პირველი და თავისი გუნდიც შეინარჩუნოს, ახალი გუნდი არ სჭირდება. მთელი მისი პოლიტიკა, ამ თვალსაზრისით ძალიან ლოგიკურია, სულაც არ არის ალოგიკური, შეიძლება თავისას „უბერავს“ ამ ესთეტიკაში, მაგრამ პრინციპში მთელი მისი პოლიტიკა ამას ემსახურება.

— ***ძალაუფლების შენარჩუნებას?***

— დიახ, პირადად მან შეინარჩუნოს. მისთვის წასვლა ხელისუფლებიდან პოლიტიკური სიკვდილის ტოლფასია. რომ ნახავს ლეგოს ჟურნალში მერე ვინ აუშენოს ისეთი სახლი? მომგვარეთ! მაჭამეთ! წავიდეთ! გადავცუროთ! ასე ვინ ასეირნებს, როდესაც მოუნდება მაშინ დაფრინავს, ხან თხილამურებზეა და ხან წყალქვეშ, ხან ბარში მიდის, ხან რესტორანში. უკაცრავად, ასე ვინ „აგულავებს“? არავინ, თუნდაც მისი გუნდის წევრი რომ მოვიდეს ხელისუფლებაში. ხელისუფლების შინგით სრულიად საზიზღარი ატმოსფეროა. აბსოლუტური უნდობლობაა, არავინ არავის არ ენდობა, ერთმანეთის ეშინიათ. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი პირდაპირ ამბობს, რომ ის არ დაელაპარაკება პირადად სააკაშვილს თორემ ხელისუფლების სხვა წევრებს დაელაპარაკებიან, ხომ შეიძლება ჩვენი მიხეილიც ფიქრობდეს, მე რომ ვინმე დავტოვო, ამან და პუტინმა ერთად არ გამიკეთონ ის, რასაც პუტინი მემუქრება. ამიტომ ის არც კი იფიქრებს, რომ ხელისუფლებიდან წავიდეს. ყველანაირად ეცდება, რომ როგორმე დარჩეს.

— ***ბატონო დავით, თუ ასეა, ოპოზიციას უფრო რთული მუშაობა მოუწევს...***

— მე ვფიქრობ, რომ სააკაშვილის ეს ფიქრები არ ახდება. ეს უნდა, მაგრამ არა მგონია, რომ ეგრე მოხდეს.

— ***2012 წლის არჩევნები გარდამტეხია?***

— რასაკვირველია. სააკაშვილი ისეთი პიროვნებაა, რომ შეიძლება მანამდეც ისეთი რამე გააკეთოს, რომ რაღაც საშინელება მოხდეს ამ ქვეყანაში, მაგრამ ერთ-ერთი ორიენტირი, რა თქმა უნდა, 2012 წლის არჩევნები უნდა იყოს. ამ დროისთვისაც საზოგადოების ისეთი მზაობა უნდა იყოს, რომ ხალხის ნების გამოხატვამ შედეგი მოიტანოს ანუ შეიცვალოს ხელისუფლება. ეს არის ჩვენი მიზანი. აქეთკენ უნდა ვიაროთ. ჩვენც დავუშვით შეცდომები, მთლიანად ოპოზიციაზე ვისაუბრობ. ახლა საჭიროა გათვლილი და ჭკვიანური მოქმედება. აუცილებელია საერთაშორისო ფაქტორის გამოყენება. თუ სააკაშვილმა ამერიკის ან რუსეთის მხარდაჭერა მეტნაკლებად დაიგულა, მას შიდა პრობლემები არ აქვს თუ დასჭირდა ნახევარ საქართველოს დაიჭერს თუ ეს „გაუპრავეს“ ის ამაზე წავა, მაგრამ პრობლემა მისთვის სწორედ ის არის, რომ არ არის „გაპრავებული“, რომ 2013 წლის შემდეგ ხელისუფლებაში ისევ იყოს. პირადად სააკაშვილი უკვე ყველასთვის პრობლემა არის. უბრალოდ დასავლეთისთვის არ არის მისაღები, რომ დროზე ადრე წავიდეს, გამოვა, რომ რუსეთმა თავისი გაიტანა. დროზე თუ წავა, ეს ყველასთვის შვება იქნება.

## ილია II ოს და აფხაზ ახალგაზრდებს შეხვდა



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II გუშინ საპატრიარქოში მსოფლიოს 15 ქვეყანაში მცხოვრებ ეთნიკურ ოს და აფხაზ ახალგაზრდებს შეხვდა.

როგორც პატრიარქმა ახალგაზრდებთან შეხვედრაზე ბრძანა, ხელოვნურად შექმნილი კონფლიქტები ჩვენვე უნდა დავანგრიოთ.

— მე 11 წელი ვიყავი აფხაზეთის მიტროპოლიტი და მახსოვს, როგორი სიყვარულით ვხვდებოდით ერთმანეთს. ამ 11 წლის მანძილზე მე არ მახსოვს არცერთი კონფლიქტი. ასე რომ, ის ყველაფერი, რაც შეიქმნა ჩვენს შორის, ეს არის ხელოვნურად შექმნილი კონფლიქტები და ჩვენ ეს უნდა დავანგრიოთ, — ბრძანა უწმინდესმა.

შეხვედრა ფინურ ქართული მოძრაობის „ევროპული ალიანსი საქართველოში“ ორგანიზებით გაიმართა.

შეხვედრის დასრულებისას ილია მეორემ ახალგაზრდები დალოცა და მათ თავისი დაწერილი საგალობელი „ავე მარია“ მოასმენინა.

**მედიანიუსი**

## შუალედურ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას სამი პარტია მიიღებს

2 ოქტომბერს, თელავის საარჩევნო ოლქში პარლამენტის შუალედურ არჩევნებში სამი პოლიტიკური პარტია მიიღებს მონაწილეობას: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ და „ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა“.

თელავის საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დავით მკალავიშვილის თქმით, პარტიების რეგისტრაციის ვადა 6 აგვისტოს ამოიწურა.

შეგახსენებთ, რომ შუალედური არჩევნები ტ17 თელავის საარჩევნო ოლქიდან 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებში მაჟორიტარული წესით პარლამენტის წევრად არჩეული გიორგი არსენიშვილის გარდაცვალების გამო დაინიშნა

**მედიანიუსი**

## ხელისუფლება „საქართველოს რკინიგზის“ აქციების გაყიდვას გეგმავს

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის თქმით, პრივატიზების შესახებ კანონში გარკვეული ცვლილებები შედის, რაც საშუალებას იძლევა სახელმწიფო კომპანიების აქციები ლონდონისა და ნიუ-იორკის საერთაშორისო ბირჟაზე გაიტანონ. მთავრობა გეგმავს რკინიგზის, „ელექტროსისტემის“ და სხვა სახელმწიფო კომპანიების აქციების 20-25 პროცენტი საერთაშორისო ბირჟაზე გაიტანოს.

პრემიერის თქმით, ამ აქციების გატანით ქვეყანაში საერთაშორისო კაპიტალი და ინვესტიცია შემოვა, რაც კერძო ინვესტორებს გარკვეულ სტიმულს მისცემს, საქართველოში დააბანდონ ფული.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, საქართველოსადმი ნდობა არ შემცირებულა და პირიქით, გაიზარდა. ამის ნათელი მაგალითია ის, რომ საქართველოს ფასიანი ქაღალდები კიდევ უფრო კარგ ფასად იყიდება. მისი თქმით, საერთაშორისო საინვესტიციო საზოგადოება საქართველოს მაკროეკონომიკურ მდგომარეობას სტაბილურად აფასებს.

**მედიანიუსი**



## იყიდა თუ არა კალმახელიძის ძმამ „აფხაზეთი“

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა დახმარების მინისტრი ხათუნა კალმახელიძე „სისულელეს“ უწოდებს ინფორმაციას, თითქოს სასტუმრო „აფხაზეთი“ მისმა ძმამ შეისყიდა.

როგორც გუშინ მთავრობის სხდომის წინ ჟურნალისტებს კალმახელიძემ განუცხადა, ის გაოცებას ვერ მალავს, საიდან მოაქვთ ჟურნალისტებს აბსურდული ინფორმაცია.

მისი თქმით, მის ძმას და საერთოდ, მის ოჯახს სასტუმრო აფხაზეთთან„ კავშირი არ აქვთ.

შეგახსენებთ, რომ ამჟამად სასტუმრო „აფხაზეთიდან“ დევნილთა გამოსახლების პროცესი მიმდინარეობს.

ცნობისთვის: თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირის №25-ში მდებარე ყოფილი სასტუმრო „აფხაზეთი“ შპს „ველაჯიომ“ შეიძინა. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე არსებული ინფორმაციით, „ვალეჯიოს“ დირექტორია ლევან კალმახელიძე, ხოლო პარტნიორი და 100-პროცენტიანი წილის მფლობელია, „1967 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ტელმარ ფინანსი, აშშ“

**მედიანიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 94-39-34
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გიგი უგულავა პრეზიდენტობისთვის ემზადება

## ვინ შეცვლის მიხეილ სააკაშვილს

ნინო მეტრეველი



ოპოზიციას რომ თავი დავანებოთ, თავად ხელისუფლებაში უკვე რამდენიმე კანდიდატი სახელდება, რომელთა უკან სხვადასხვა სახელისუფლებო ძლიერი დაჯგუფებები დგანან. 2012 წელს, საპარლამენტო არჩნევების შემდეგ გაირკვევა, ვინ უფრო ძლიერია და შესაბამისად, მათ კანდიდატს ექნება მეტი შანსი, გახდეს საქართველოს პრეზიდენტი.

პირველი ვარაუდი, როგორც მომავალ საპრეზიდენტო კანდიდატზე, გიგი უგულავაზე წლების წინ გამოითქვა. „კმარელი" ბიჭი, პროფესიით ფილოსოფოსი, 36 წლის უგულავა, „რევოლუციის პირველი დღეებიდან იქცა მიშა სააკაშვილის „ვარსკვლავბიჭუნად". ჯერ სამეგრელოს გუბერნატორი იყო, შემდეგ — უშიშროების მინისტრის მოადგილე. ჭიაბერაშვილის სტრასბურში გამწესების შემდეგ კი სააკაშვილმა უგულავა თბილისის მერად დანიშნა. მერე ოპოზიციამ ბევრი იჭერვიულა. დედაქალაქს დანიშნული კი არა არჩევითი მერი სჭირდებაო, უგულავა ჯერ არაპირდაპირი წესით არჩეული მერი გახდა, შემდეგ — პირდაპირით.

გავანებოთ თავი კორპუსების თავმჯდომარეებისთვის გადახდილ სამას ლარს, „ნაცების" აქტივისტების გასამრჯელოს, მასწავლებლების აქტიურობას საარჩვენო კამპანიაში, სახელმწიფო სახსრებით აშენებულ-გაკეთებულით სარეკალამო კამპანიის წარმოებას და რეალურად მოიგო თუ არა უგკლავამ თბილისი. მას დღეს არჩეული მერი ჰქვია და არა სააკაშვილის დანიშნული. ეს ისედაც ამბიციურ უგულავას უფრო თავისუფალი ფანტაზიების უფლებასაც აძლევს და საშუალებასაც. დანიშნული რომ იყო, იმ დროს ისე ხშირად და ისეთ საკითხებზე აკეთბდა ხმაურიან და გამაღიზიანებელ კომენტარებს, არაფერში რომ არ ეკითხებოდა. ამის გამო ოპოზიციის საკბილოც მუდმივად იყო და საზოგადოებასაც აღიზიანებდა. რაც არჩეული დაირქვა, მთლიანად შეცვალა სტრატეგია. არც ინტერვიუებს იძლევა, არც კამერებთან ჩანს ხშირად და თუ ჩანს, საქმიან ვითარებაში და პოლიტიკური განცხადებების კეთებასაც ერიდება. მოკლედ, კაცი იფიქრებს, ერთი კარგი მეურნე, პოლიტიკური ამბიციებისგან თავისუფალი მერიაო. მაგრამ ეს მხოლოდ შორიდან, ერთი შეხედვით.

ასეთი მეურნის პოზაში დგომა მისთვის მომგებიანია. „საქმე ლაპარაკის" ნაცვლად ჯერჯერობით მხოლოდ მას გამოსდის. როგორ და რამდენად ხარისხიანად, ეს სხვა თემაა.

მის პირად ცხოვრებასა და მადაზე მაინც დადის საინტერესო ხმები. პირადად მის ანგარიშზე ღიად არც ერთი ბიზნესი არ დევს, მაგრამ რეკეტი, რომელიც თბილისში არსებულ ყველა დონის ბიზნესს აქვს თავს დატეხილი, როგორც ამბობენ, მხოლოდ ქალაქის ბიუჯეტში არ ლაგდება. მის სახელთან ბოლო დროს ასოცირებული ბიზნესიდან ყველაზე ხმაურიანი „სითი პარკი" და „მარშრუტკების" ბიზნესია. „თბილისის წყალი" რუსული ფულისაა, ამიტომ უგულავას ხშირად რუსული ბიზნესის სიყვარულში დებენ ბრალს. რუსულ „თელასს" საგადასახადო ქვითრებით მიება ასევე რუსული „თბილისის წყალი", თელასმა ასევ მიიწება ნაგვის გადასახადი. ეს უკანონო გადაჯაჭვა რომ ისე, ჰაერზე არ ხდება, გასაგებია. ამ ამ ხლართების უკან ისევ აბილისის მერის სახელი ჩნდება.

უგულავამ ისე მოინდომა, რომ სამფლობელი გუდაურამდე გაჭიმა. კურორტი „გუდაური" თბილისის მერის მმართველობაში გადავიდა. ამან ბევრი კითხვა გააჩინა. თინა ხიდაშელის თქმით, თუ „ნაციონალური მოძრაობის" მომავალი საპრეზიდენტო კანდიდატი გიგი უგულავაა, მაშინ თბილისის მერის ეს ინიციატივა მისთვის გასაგებია.

უგულავა კარგად ცხოვრობს და თბილისზე მზურნველი თავკაცის იმიჯიც კარგად მოირგო, მეეზოვების, მეხანძრეების მსგავსი დღეების დაწესებით. მერია ერთგული გუნდით ჰყავს დაკომლექტებული და არც საკრებულოს სახელისუფლებო პარტიაში უნდა ჰყავდეს მომჩივანები. თბილისში მილიონზე მეტი ამომრჩეველია და აქედან უგულავამ 60 პროცენტამდე აიღო ადგილობრივ არჩევნებში. ასე რომ, თუ პრეზიდენტობას მოისურვებს და მშობლიური პარტია გვერდით დაუდგება, მისი გაპრეზიდენტება ცაში გაფრენილი ბუშტებივით არ იქნება.

2010 წლის ადგილობრივი არჩენვების წინ ხმები გამოვიდა, რომ ნაცმოძრაობა თბილისის მერობის კანდიდატად უგულავას დასახელებას არ აპირებდა, რადგან არჩეული მერის სავრძლიდან პრეზიდენტის სავარძლამდე სულ ერთი ნახტომია. მერე მისი სახელისუფლებო ოპონეტებიც მიხვდნენ, რომ უკეთესს ისე უცებ ვერ მონახავდნენ. თავს აღარ შეგაწყენთ იმ ისტორიების შეხსენებით, რაც უგულავას მერობისთვის პარტიაში დიდი გაწევ-გამოწვეა იყო. ერთს გავრცელებულ ინფორმაციას შეგახსენებთ: პეტრე ცისკარიშვილმა ერთ-ერთ საიდუმლო სერობაზე მას გაარტყა, არ მინდა, ქალაქის მერი იყოო. თუმცა, უგულავა გახდა მერი და თბილისი გუდაურამდე „გააფართოვა". დედაქალაქის მასშტაბითაც კონტროლზე აიყვანა ფინანსური დინებები და საპრეზიდენტო განცხადებების „კეთებასაც" მოუმატა.

ერთი პერიოდი გიგა ბოკერიაც სახელდებოდა საპრეზიდენტო კანდიდატად, მაგრამ გიგა ისევე ვერ გახდება საქართველოს პრეზიდენტი, როგორც ვერ გახდებოდა ზურაბ ჟვანია. ბოკერია ნაცმოძრაობაში ერთ-ერთი ყველაზე საღი თავია, მაგრამ ძალიან არაპოპულარული და ხალხისთვის მიუღებელი ფიგურაა. სამაგიროდ მეფის ლოჟაში უკავია საპატიო ადგილი და მის სიტყვას მნიშვნელობა აქვს.

გიგა ბოკერია თავისუფლების ინსტიტუტელია, უგულავაც ამ ინსტიტუტის შვილობილი „კმარელია". ბოკერია დღეს უშიშროების საბჭოს მდივანია და ამ საქმეში, რასაც საპრეზიდენტო კანდიდატის არჩევა ჰქვია, დიდი სიტყვა ეთქმის. მთელ ნაციონალურ მოძრაობაში ერთადერთია, რომელიც ამ წლების განმავლობაში პოლიტიკოსად ჩამოყალიბდა და მიხეილ მაჭავარიანთან ერთად, რომელიც საკმაოდ ჭკვიანია და საჭირო დროს საჭირო გუნდის გვერდით აღმოჩნდება, თავის ყოფილ „ბურჯანაძე-დემოკრატებთან" ერთად, კარგად ფლობს პოლიტიკური თამაშების ხელოვნებას. უგულავას თბილისის მერობაც სწორედ მათი დამსახურებაა.

სხვათა შორის, ამ ფრონტზე იბრძვის „ნაცების" მთავარი იდეოლოგი, თავისუფლების ინსტიტუტის პატრიარქი ლევან რამიშვილი, რომელიც, როგორც რესპუბლიკელები ამბობენ, დილიდან საღამომდე სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის გადმოწერითაა დაკავებული, რომელთაც მერე ზურაბ ადეიშვილი როგორც შეუძლია, ისე აქართულებს და ვერც აქართულებს. ამ გუნდში პრაქტიკულად სამი ლიდერია: ბოკერია, ადეიშვილი და უგულავა. და აქედან გაპრეზიდენტის შანსი მხოლოდ უგულავას აქვს. თუმცა ბოლო დროს ისიც ითქვა, რომ ბოკერიამ უგულავაზე კი არა, შეიძლება ერთ ოპოზიცონერ ლიდერზე, კერძოდ, ირაკლი ალასანიაზე დადოს ფსონიო. მათი ხშირ-ხშირი შეხევდრებიც ამის გამოვლინებააო.

ამ გუნდის ღირსება, მეორე — მერაბიშვილის გუნდისგან განხვავებით, პროდასავლურობაა. ყოველ შემთხვევაში, ასეთი იმიჯის მიკერებას ცდილობენ, თუმცა ერთ-ერთ უცხოურ პრესაში უგულავამ ერთხელ თქვა, ნატოზე უარის თქმა შეიძლება, მაგალითად, ტერიტორიების დაბრუნების სანაცვლოდო. მაშინვე გამოითქვა ეჭვი, რომ უგულავამ დასაყრდენს რუსეთშიც დაუწყო ძებნა. გასაკვირი არცაა. კი თქვა უგულავამ ლატვიურ „ტელეგრაფთან", სააკაშვილის პოლიტიკა შემდეგაც უნდა გაგრძელდესო, მაგრამ ეს ისევ სააკაშვილის გულის მოსაგებად ნათქვამი იყო. რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების გარეშე ნებისმიერ პრეზიდენტს რომ გაუჭირდება, ესეც კარგად იცის საპრეზიდენტოდ გამზადებულმა თბილისის მერმა.

უგულავა პერიოდულად, ისე, ვითომ არაფერი, მოიხსენიებს ხოლმე ოპონენტ სახელისუფლებო მერაბიშვილის გუნდს. 26 მაისს, საპროტესტო აქციის დაშლისას პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტება იყოო, თქვა. ვერაფრით კი ვერ მივაღწიეთ, გაგვერკვია ნაციონალური ტელევიზიების მესაკუთრეების ვინაობა, მაგრამ „იმედზე" რომ ვანო მერაბიშვილის საქმენი საგმირონის და სიზმარში თუ ცხდაში ნანახი ფილმების ბენეფისია, ეს უკვე ნათლად ჩანს. სამაგიროდ „რუსთავი 2"-დან გააკრიტიკა მოდელირებული ქრონიკა თბილისი მერმა. აქვე შუადღის პროგრამის ერთ-ერთი თანაწამყვანია გიგა ბოკერიას მეუღლე, თამარ ჩორგოლეიშვილი. ნაციონალური ტელევიზიები კი რამხელა ბერკეტია, მით უმეტეს, არჩევნების წინ, ამას განმარტება აღარ სჭირდება.

ძალიან საინტერესო განცხადება გააკეთა ორი თვის წინ უგულავამ ლატვიაში „ტელეგრფათან", ხალხს გაუმჯობესებული მიშა სურსო.

არის თუ არა უგულავა გაუმჯობესებული მიშა? გააჩნია, რა შემთხვევაში. თუ ის იგულისხმა, რომ დელფინს პირში თავს არ ჩაუყოფს, ან აუზში მთავრობის წევრებს თავ-პირ-ხელ-ფეხს არ დაამტვრევს, შეიძლება. სხვა მხრივ, საზღვარგარეთ სეირნობა და ქეიფი უგულავასაც ჰყვარებია, ოღონდ არ გახმაურებულა. მისმა მეუღლემ რატომღაც ვენაში იმშობიარა და არა თბილისში და ამას „ნაცსასტავის" უწყვეტი ღრეობა მოჰყვა ცნობილი სასტუმროს რესტორანში, ესეც მთელმა თბილისმა გაიგო და ისიც, რომ უგულავა საზღვარგარეთ ისეთ სასტუმროებში ჩერდება, სააკაშვილს შეიძლება გული გაუჩერდესო.

„ნაციონალური მოძრაობის" ბაზაზე გაუმჯობესებული მიშას შექმნის რესურსი არ არსებობს" — იმედი გადაუწურა სოსო ცისკარიშვილმა აღტყინებულ მერს. „თუ მაგალითად მიხეილ სააკაშვილის უარყოფით ქმედებებს ვიქონიებთ მხედველობაში, ამ შემთხვევაში „ანტი-მიშა" ოპოზიციისთვის კომპლიმენტად ჟღერს. უგულავას ეს განცხადება მისთვის მმართველი გუნდის მიერ არის ნაკარნახევი, სხვა შემთხვევაში მას ნაციონალური მოძრაობა და პირველ რიგში, თავად სააკაშვილი ჩაქოლავდნენ. უგულავას პოლიტიკური გააქტიურება, როგორც წესი, წინასაარჩევნო გააქტიურებად აღიქმება ხოლმე, თუმცა იმის თქმა, რომ ნაციონალური მოძრაობა საპრეზიდენტო არჩევნებზე უგულავას კანდიდატურას დააყენებს, ჯერჯერობით, ნაადრევია. გააჩნია, რა ხასიათზე გაიღვიძებს მიხეილ სააკაშვილი კანდიდატურის დასახელების დღეს."— ამბობს ცისკარიშვილი.

ოპოზიციაში თვლიან, რომ გიგი უგულავა ძალიან საეჭვოდ გაძლიერდა. მას გაუჩნდა საპრეზიდენტო ამბიციები. მან არა მარტო პოლიტიკური დივიდენდები ჩაიწერა, არამედ იშოვა უზარმაზარი, საარაკო რაოდენობის თანხა თბილისის მერის პოსტზე. ამიტომ დღეს უგულავა ძალიან ძლიერია, როგორც მიხეილ სააკაშვილის კონკურენტი.

— უგულავა სააკაშვილისთვის საშიშ ფიგურად იქცა. გავიხსენოთ უგულავას ბოლოდროინდელი განცხადება, რომელიც თბილისის მერმა რუსეთის გასაგებად თქვა, — თუ რუსეთი დაგვიბრუნებს დაკარგულ ტერიტორიებს, ჩვენ მზად ვართ, ნატოზე უარი ვთქვათო. მართალია, ეს განცხადება მაშინვე უარყვეს, მაგრამ ეს განცხადება გაკეთდა, ადრესატს ჩაბარდა. ადრესატი კი არის კრემლი. კრემლის მესვეურებმა ეს მესიჯი უკვე მიიღეს, რაც მიშა სააკაშვილისთვის უაღრესად საშიშია. იმიტომ, რომ დღეს საქართველოს ხელისუფლებაში მოსვლის პროცესში რუსეთს საკმაოდ დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია. თუნდაც იმიტომ, რომ თბილისიდან 20 კილომეტრში რუსული ტანკები დგას. უგულავა რუსეთში დასაყრდენს ეძებს, — ამბობს ლეიბორისტი სოსო შატბერაშვილი.

არჩევნებამდე ორი წლით ადრე ნაცმოძრაობაში ნამდვილად განიხილება გიგი უგულავა, როგორც საპრეზიდენტო კანდიდატურა. დანარჩენს დრო გვიჩვენებს.

---

### საქართველო-სომხეთის საზღვარზე ახალი წესები მოქმედებს

სომხეთის მოქალაქეები საქართველო-სომხეთის საზღვარზე არსებული ვითარებით უკმაყოფილონი არიან.

სააგენტო „ნიუს.ამ" ცნობით, უკვე ერთი თვეა საქართველოში შემოსვლის მსურველებს, საქართველო-სომხეთის საზღვრის ყოველ გადაკვეთაზე, სომეხი მებაჟეები, 9500 დრამს ახდევინებენ. აღნიშნული გადასახადი დიდი ხნის წინ დაწესდა, თუმცა გარკვეული დროის განმავლობაში შეჩერებული იყო.სომხეთის უამრავი მოქალაქის მიერ გადახდილი თანხით, რომელიც საქართველოში ზაფხულის პერიოდში დასასვენებლად ჩამოდის, სომხეთის ბიუჯეტის შევსება ხდება.

— ერთი დღითაც კი საქართველოში ჩასვლისთვის, 19 ათასი დრამის გადახდა გვიწევს. არავინ იცის, თუ რისთვის ვიხდით ამ თანხას, ამბობენ, რომ ახალი კანონია ასეთი, — აღნიშნავენ სომეხი მოქალაქეები.

**მედიანიუსი**

### აშშ-ის ელჩი იულია ტიმოშენკოსთან შეხვედრას მოითხოვს



უკრაინაში აშში-ს ელჩი ჯონ ტეფტი ციხეში მყოფ იულია ტიმოშენკოსთან შეხვედრას მოითხოვს. „ბი-ბი-სი-ს" ინფორმაციით, აღნიშნული წინადადებით, ტეფტმა უკრაინის შესაბამის უწყებებს უკვე მიმართა.

უკრაინის საგრეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით კი, შედგება თუ არა ციხეში ტეფტისა და ტიმოშენკოს შეხვედრა, ამას პეჩორის რაიონული სასამართლო გადაწყვეტს.



ამის პარალელურად ტიმოშენკოს დაკავებასთან დაკავშირებით თავისი პოზიცია კიდევ ერთხელ დააფიქსირა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა. ხსენებული უწყების წარმომადგენლის, მარკ ტონერის განცხადებით, აშშ უკრაინულ მხარეს მოუწოდებს „დაუყოვნებლივ განიხილოს ტიმოშენკოს გათავისუფლების საკითხი".

შეგახსენებთ, რომ ექს-პრემიერის დაკავების გამო საფრანგეთმა უკრაინიდან ელჩი გაიწვია.

**მედიანიუსი**

### „დემოკრატიული მოძრაობა" დევნილების გამოსახლებას აპროტესტებს

„დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო" სასტუმრო „აფხაზეთიდან" დევნილების იძულებით გამოსახლების გადაწყვეტილებას გმობს.

როგორც „დემოკრატიული მოძრაობის" განცხადებაშია აღნიშნული, გაზრდილი გადასახადები, გაძვირებული პროდუქტი, ტრანსპორტზე გაძვირებული ტარიფი, ქვეყანაში სულ უფრო გაუსაძლისს ხდის ადამიანების ყოფას და ეს ყველაფერი პირველ რიგში ათიათასობით დევნილის ოჯახზე უმძიმესად აისახება.

მათი განცხადებით, ამას ემატება ის უსამართლო და დამთრგუნველი პოლიტიკა, რომელსაც სააკაშვილის რეჟიმი იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ მუდმივად ახორციელებს. ხელისუფლება არანაირ ვალდებულებას არ გრძნობს საკუთარი მოქალაქეების მიმართ.

— ერთხელ უკვე საკუთარი საცხოვრებელი სახლებიდან გამოდევნილ ადამიანებს, რომლებმაც 20 წლის მანძილზე დედაქალაქში გაიარეს ადაპტაციის ურთულესი პროცესი, აიძულებენ ხელმეორედ აიყარონ ფუძე და შეუერთდნენ საცხოვრებლის გარეშე დარჩენილ ათი ათასობით ადამიანს. დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო„ გმობს ხელისუფლების ამ ნაბიჯს და მოუწოდებს გაითვალისწინოს სასტუმრო აფხაზეთში„ მცხოვრებ დევნილთა თხოვნა და დადგეს მათი ინტერესების დასაცავად, რაც მისი პირდაპირი ვალდებულებაა, — ნათქვამია განცხადებაში.

**ინტერპრესნიუსი**

# თუ მიცვალებულს 3 დღეში არ დამარხავთ, დაჯარიმდებით!

## ხელისუფლება ფულს მკვდრებითაც აკეთებს

თეა მარხვაი ე

**ჩვენი ხელისუფლების ფანტაზია უსაზღვროა. მათ არ იციან, როგორც შექმნან დამატებითი სამუშაო ადგილები, არ იციან, როგორ აღადგინონ ტერიტორიული მთლიანობა. სამაგიეროდ, იციან, როგორც გაფცქვნან ხალხი და გაავსონ ბიუჯეტი, ბიუჯეტი, რომელიც ნაციონალების საფულედაა ქცეული.**

**ბოლო დროს მთავრობამ ბევრი უცნაური გადაწყვეტილება მიიღო. ამ მხრივ თბილისის მერი გიგი უგულავა ნამდვილად ლიდერობს. ოპოზიციის მტკიცებით, სწორედ მას უკავშირდება წყლისა და ტრანსპორტის საფასურის გაზრდა. დღენთან ნაგვის გადასახადის დაკავშირების იდეაც მის თავში დაბადებულა თურმე.**

ისეთი უცნაურობები იყო, არავის ეგონა, თუ ტანადი (ასე ეძახის „მაესტროს" ვასიკო ოდიშვილი თბილისის მერს) კიდევ გაგვაოცებდა. მაგრამ მას ისეთი სკოლა აქვს გავლილი, რომ კიდევ ბევრჯერ გაგვაოგნებს.

ამ დღეებში ხმა გავრცელდა, რომ თბილისის მერია მიცვალუბულებზე აპირებს გადასახადების დაწესებას. დიახ, მიცვალებულებზე. ხომ გეგონათ, რომ სიკვდილი მაინც უფასო იყო, მაგრამ, ნურას უკაცრავად!

გავრცელებული ხმების თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ჭირისუფალი მიცვალებულს 3 დღის ვადაში არ დამარხავს, მას ფულადი ჯარიმა დაეკისრება.

ეს ინფორმაცია ხელისუფლების წარმომადგენლებმა კატეგორიულად უარყვეს. ამტკიცებენ, რომ ეს მონაგონი და ბინძური ჭორია.

თავიდან წყლის ტარიფის გაზრდაზეც ასე ამბობდნენ, ამტკიცებდნენ, რომ ოპოზიციის მოგონილი იყო. ისე აგიხდათ ყოველივე კარგი, როგორც ეს ახდა.

ასევე იყო, ტრანსპორტის გაძვირებაზე რომ გავარდა ხმა. ეს მაშინ მოხდა, როცა ავადსახსენებელი ყვითელი „მარშრუტკები" გამოჩნდნენ ტრასებზე. როგორ ჩატარდა ტენდერი, ეს სხვა თემაა. მაშინ ითქვა, რომ „მარშრუტკები" გაძვირდებოდა. თქვეს, რომ მას ყვითელი ავტობუსებიც მიჰყვებოდა.

ამაზე მერიისა და საკრებულობს წარმომადგენლებმა ტანსაცმელი კინაღამ შემოიხიეს. არადა, ძალიან მალე მეტროც გაძვირდა და ავტობუსებიც, „მარშრუტკები" კი 15 ივლისიდან გახდა 80 თეთრი.

ნაგვის გადასახადის წყალზე მიბმა ისეთი ტრაგიკომედიაა, კაცი ვერ მოიფიქრებდა. ყველაზე აღმაშფოთებელი ის არის, რომ ამტკიცებენ, ეს ყველაფერი თქვენ საკეთილდღეოდ გავაკეთეთო.

აქედან გამომდინარე, ვითომ რატომ არ დააწესებენ მიცვალებულებზე ჯარიმებს. ამაში გვარიშვილობა შეუშლით ხელს თუ თანამდებობა?!

ამას, იცით, რითი გაამართლებენ? გამოვლენ და იტყვიან, ქრისტიანული წესით მიცვალებული 3 დღეში უნდა დაიკრძალოსო.

ეს ხალხმა მერიაზე კარგად იცის. თუმცა, მიცვალებულის დაკრძალვა 3 დღეში ძალიან ძნელია. მოსახლეობის აბსოლუტური უმეტესობა უკიდურეს გაჭირვებაშია. მიცვალებულის დასამარხად კი დიდი თანხაა საჭირო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩასასვენებელი და საფლავია საყიდი, ქელეხზე აღარაფერს ვამბობთ.

გასაკვირი არ არის, ქელეხებზეც რომ დააწესონ გადასახადი. გააჩნია, რამდენი სტუმარი იჯდება ჭირის სუფრაზე.

მიცვალებულებზე ჯარიმები ახალი არ არის. რეგიონებში ამის გამო ხალხს თურმე უკვე კარგა ხანია აფრთხილებენ. აი, რა გვიამბო თელავის მკვიდრმა ირმა ბალავაძემ:

— მიცვალებულებზე ჯარიმების დაწესება ახალი ამბავი არ არის. რეგიონებში ამაზე უკვე წლებია ლაპარაკობენ. შარშან კახეთის სოფლებში ჩამოიარეს და ხალხი გააფრთხილეს, თუ მკვდრებს 3 დღეში არ დამარხავთ, ჯარიმებს დაგაკისრებთო.

ახლა, როგორც ჩანს, ამ წესის დამკვიდრებას თბილისშიც აპირებენ. თუ ეს სიმართლეა, უგულავას სლოგანი ასეთი იქნება: „ამ ქალაქში მკვდრები მხოლოდ 3 დღეს რჩებიან".

ამასთან დაკავშირებით ხალხმა აუცილებლად უნდა იაქტიუროს, თორემ მართლა დააწესებენ ასეთ ჯარიმებს. ამასაც არ დასჯერდებიან და ჭირისუფალს სხვა სახის გადასახადსაც შეაწერენ. მაგალითად, ინფარქტით მკვდარზე სხვა ფასი იქნება, ავარიაში დაღუპულზე — სხვა ფასი. იდეებს ამათ არ გამოულევს.

ისე, აქვე უნდა ითქვას, რომ ზოგან მიცვალებულებს მართლა კვირობითა და თვეობით აჩერებენ. ეს არაქრისტიანული და ულამაზოა. თუმცა, ესეც ამათი საქმეა. ის მიცვალებულები საკუთარ სახლში ჰყავთ.

# მთავრობას ძეგლებთან ბრძოლის სენი შეეყარა

შორენა კოწოწაშვილი

ლეიბორისტული პარტია სააკაშვილის ხელისუფლების მიერ ეროვნული სიმბოლოებისადმი გამოკვეთილ არასწორ პოლიტიკას აპროტესტებს და ოპოზიციას და საზოგადოებას ერთობლივი პროტესტისკენ მოუწოდებს.

შალვა ნათელაშვილის თანაგუნდელები სააკაშვილს და მის ხელისუფლებას მანქურთულს უწოდებენ და მიაჩნიათ, რომ მათ მიერ არჩეული ეროვნული სიმბოლოების მტრობა კარგს არაფერს მოიტანს.

ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, ნესტან კირთაძის განცხადებით, საქართველოში ეროვნული სიმბოლოების წინააღმდეგ ბრძოლა და მანქურთული პოლიტიკა უნდა დასრულდეს.

ამის შესახებ ნესტან კირთაძემ პარტიის ოფისში გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომელზეც 7 აგვისტოს, ღამეს ქუთაისის ცენტრალური მოედნიდან საქართველოს გამაერთიანებლის სიმბოლოს — მეფე დავით აღმაშენებლის ძეგლის „გაძევება" გააპროტესტა.

— მივმართავთ არა მხოლოდ ხელისუფლებას, არამედ პოლიტიკურ პარტიებს, ქართულ საზოგადოებას, თუკი ასეთი რამ კიდევ არსებობს და სახლში დამსხდარ საქართველოს: ხელისუფლების მანქურთულ პოლიტიკას, რომელიც მოსვლისთანავე ებრძვის ყოველგვარ ქართულს, ეროვნულ-სარწმუნოებრივს, მათ შორის აგრძელებს ბრძოლას ეროვნული სიმბოლოების წინააღმდეგ ენერგიული წინააღმდგობა გავუწიოთ. სამწუხაროდ, ამ დროისთვის უკვე გვაქვს შეგინებული და ბინძური პასკვილებით შეურაცხყოფილი ქართლის დედა. ელგუჯა ამაშუკელის ცნობილი სიმბოლური ქანდაკება; რესპუბლიკის მოედნიდან „გაძევებული" დავით აღმაშენებელი; და უკიდურესად შეურაცხყოფილი თანამედროვეობის მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი; ბათუმის ბულვარიდან გაძევებული აჭარის დედა სამშობლოსთან დაბრუნების თავკაცი მემედ აბაშიძე. იმავე ბათუმის ცენტრალური მოედნიდან „გაძევებული" ილია ჭავჭავაძე; მსხვერპლით დასრულებული დიდების მემორიალის ნგრევა ქუთაისში; სტალინის ძეგლის „გაძევება" გორიდან და უმისამართოდ მისი გაქრობა და სულ ახლახან დავით აღმაშენებლის „გაძევება" ქუთაისის ცენტრალური მოედნიდან და თბილისიდან „გასაძევებლად" გამზადებული მეფე ვახტანგ გორგასალი და მეფე ერეკლე თელავიდან. რა არის ეს? ავადმყოფობა, მანია, ფობია თუ ეს გახლავთ ეროვნული სიმბოლოების წინააღმდეგ ბრძოლა? — განაცხადა ნესტან კირთაძემ. მისი თქმით, ეს არის მანქურთული პოლიტიკა, რომელიც უნდა დავასრულოთ.



# ალასანიამ ამომრჩევლებთან შეხვედრები დაიწყო

შორენა კოწოწაშვილი

„თავისუფალი დემოკრატების" ლიდერი ირაკლი ალასანია რეგიონებში შეხვედრებს განაგრძობს და საზოგადოებას სააკაშვილის ხელისუფლების იმ არასწორი პოლიტიკისა და რეფორმების შესახებ კიდევ ერთხელ ესაუბრება, რომელმაც ქვეყანა დაღუპვის პირას მიიყვანა და რომლის წყალობითაც არაერთი სეგმენტი, მათ შორის სოფლის მეურნეობა, სულს ღაფავს.

მართალია სააკაშვილი და მისი ნაქები სოფლის მეურნეობის მინისტრი ბაკურ კვეზერელი მუდმივად იმ ახალ პროექტებზე აპელირებენ, რომელიც სოფლის მეურნეობის კუთხით იგეგმება, მაგრამ ამ ახალი პროექტების ჯანსაღიანობის — ბაყაყების ბიზნესის აყვავება და ა.შ. — აშკარად არც სააკაშვილს სჯერა და მით უფრო ქართველ გლეხობას, რომელმაც კარგად იცის, რომ მამაპაპური თოხი ბარაქიანად თუ არ მოიქნია და ამინდი თუ არ შეეწყო, ხელისუფლების დახმარების და მით უფრო მიწის ნაკვეთის უსასყიდლოდ მრწყვის იმედადაც არ უნდა იყოს.



სწორედ სოფლის მეურნეობაში გატარებულ არასწორ პოლიტიკაზე საუბრობს აქტიურად ირაკლი ალასანია რაიონებში შეკრებილ მოსახლეობასთან, სადაც არა მხოლოდ ადგილობრივებთან მართავს შეხვედრებს, არამედ იქ ჩასახლებულ დევნილებთანაც.

— სენაკელებს სურთ მუშაობა, მაგრამ ნაციონალური მოძრაობა არათუ ქმნის სამუშაო ადგილებს, არამედ პირიქით, საშუალო და მცირე ბიზნესზე ზეწოლით ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ჩვენმა მოქალაქეებმა სამსახურის პოვნა ვერ შეძლონ. ხელისუფლებას 7 წლის განმავლობაში არაფერი გაუკეთებია სოფლის მეურნეობის გასავითარებლად. სწორედ ამის შედეგია ის, რომ ჩვენს სოფელს, ჩვენს გლეხს ასე უჭირს, — განაცხადა ირაკლი ალასანიამ სენაკელებთან შეხვედრისასა. მისი თქმით, ნაციონალური მოძრაობა კვლავ აგრძელებს დევნილების დაყოფას შევარდნაძის დროინდელ დევნილებად და აგვისტოს ომის დევნილებად, რაც ცინიკური და დაუშვებელია.

— „თავისუფალი დემოკრატები" ადგილზე ვეცნობით პრობლემებს და ვაცნობთ ჩვენს პროგრამებს, თუ როგორ მოხდება სოფლის მეურნეობის განვითარება. უმუშევრობის დაძლევა და ჯანდაცვის პრობლემების მოგვარება, როდესაც მოხდება ნაციონალური მოძრაობის შეცვლა არჩევნების გზით, — განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

# მხატვართა კავშირის ყრილობა შემოდგომაზე გაიმართება

მხატვართა კავშირის მომდევნო ყრილობა შესაძლოა, შემოდგომაზე გაიმართოს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" მხატვართა კავშირის წევრმა, კავშირის თავმჯდომარეობის ყოფილმა კანდიდატმა გურამ ცერცვაძემ განუცხადა.

— თავდაპირველად სრულად უნდა გავეცნოთ სასამართლოს გადაწყვეტილებას. თუ ამ გადაწყვეტილებით წინა ყრილობის ყველა შედეგი გაუქმებულია, ახალ ყრილობას ისევ ძველი გამგეობა ან მხატვართა კავშირის წევრების ორი მესამედი დანიშნავს. ყრილობა სავარაუდოდ, სექტემბერში ან ოქტომბერში შედგება და იქვე მოხდება ახალი თავმჯდომარის არჩევა, — განაცხადა გურამ ცერცვაძემ.

იგი ასევე ვარაუდობს, რომ თავმჯდომარის თანამდებობაზე მხატვრები მის კანდიდატურას ისევ დააყენებენ. ამასთან, ცერცვაძე მიიჩნევს, რომ გია ბუღაძის მიერ მის მიმართ წაყენებული ბრალდებები უსაფუძვლოა.

ინტერპრესნიუსი

# კახეთს ბუნებრივი აირის მიწოდება შეუწყდა

თიანეთის რაიონში „ქართლი გაზის" ცენტრალური მაგისტრალი დაზიანდა, რის გამოც კახეთის რეგიონს ბუნებრივი აირის მიწოდება შეუწყდა.

მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, მაგისტრალი მდინარე იორის კალაპოტში ინერტული მასალების მოპოვებისას დაზიანდა.

— თიანეთი-თბილისის მიმართულებით გზა შენდება. მშენებლობისთვის მდინარე იორის კალაპოტში ინერტული მასალის მოპოვება ხდება. გაუთვალისწინებელი შემთხვევა მოხდა. მილს გვერდიდან ტრაქტორის ყოში მოხვდა. სპეციალისტებმა აღდგენითი სამუშაოები წუხელ დაიწყეს და უახლოეს პერიოდში დასრულდება, — აღნიშნა თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ თამაზ იარაჯულმა.

ინტეპრესნიუსი

# თეზი-ოკამის სარწყავი არხი უახლოეს დღეებში ამოქმედდება

რუსი ოკუპანტების მიერ გადაკეტილი თეზი-ოკამის სარწყავი არხი უახლოეს დღეებში ამოქმედდება, — ამის შესახებ შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატი იუწყება.

სარწყავი არხი, რომელიც 1956 წელს შევიდა ექსპლუატაციაში კასპის მუნიციპალიტეტის ოთხ ტერიტორიული ორგანოს — ოკამის, სამთავისის, ლამისყანის და აღაიანის 10 სოფელს ასარწყავებდა. 2010 წლის ივნისში, რუსმა ოკუპანტებმა თვითნებურად გადაკეტეს არხი და 10 სოფლის მოსახლეობა წყლის გარეშე დატოვეს. საქართველოს ხელისუფლების მრავალჯერ მცდელობის მიუხედავდ, არხი დღემდე გადაკეტილია.

არხი, სათავეს რუსი ოკუპანტების კონტროლირებადი ახალგორის რაიონის, სოფელ ახმაჯში, მდინარე ქსნიდან იღებს. სარწყავი არხის პარალიზებამ, ადგილობრივი მოსახლეობა მძიმე პირობებში ჩააყენა.

პრობლემის მოსაგვარებლად ალტერნატიული გზა გამოინახა, საქართველოს ხელისუფლების დახმარებით სოფელ თვაურებში სატუმბი სადგური ეწყობა, რომელიც მდინარე ქსნის ნაპირზე აშენდა, დებეტის სიმძლავრისათვის 1,5 კილომეტრის სიგრძეზე, ორ მწკრივად 700 მმ დიამეტრის მილი ჩალაგდა, რომლითაც წყალი სატუმბი სადგურიდან სარწყავ არხს მიეწოდება.

უახლოეს დღეებში ტრანსფორმატორის მონტაჟი დასრულდება. პროექტისთვის 1 500 000 ლარია გამოყოფილი.

ინტეპრესნიუსი

# ტურიზმის სექტორში 60 982 კაცია დასაქმებული

საქართველოში ტურიზმის სექტორში 2011 წლის აგვისტოს მონაცემებით, 60 982 კაცია დასაქმებული. ამის შესახებ 10 აგვისტოს გამართულ ბრიფინგზე ტურიზმის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ მაია სიდამონიძემ განაცხადა.

სიდამონიძის მონაცემებით, 2010 წელს ტურიზმის სექტროში 45 896 ადამიანი იყო დასაქმებული. ტურიზმის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის თქმით, ახალი და დაგეგმილი პროექტების განხორციელების შედეგად წლის ბოლომდე კიდევ რამდენიმე ათასი ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნება.



— საქართველოს მიმზიდველი საინვესტიციო კლიმატი ბაზარზე ახალი ტრანსნაციონალური კორპორაციების შემოსვლას განაპირობებს, შენდება ახალი სასტუმროები, კვების ობიექტები, ვითარდება გართობის ინდუსტრია. მომავალში საქართველოში ტურიზმი შესაძლოა, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სექტორი გახდეს ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიმართულებით, — განაცხადა სიდამონიძემ.

მისივე თქმით, ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებისთვის ტურიზმის ეროვნული სააგენტო წლის ბოლომდე რამდენიმე პროექტს განახორციელებს. კერძოდ, გაიმართება „კარიერის კვირეული", რაც მიზნად ისახავს დაინტერესებულ პირთა დასაქმებას ტურიზმისა და სტუმარ-მასპინძლობის სფეროში, ასევე სერვისის დონის ამაღლებას კომპანიებისთვის მაღალკვალიფიციური კადრების შეთავაზებით; შეიქმნება სასწავლო ცენტრი დასაქმების ხელშეწყობით.

ინტერპრესნიუსი

# ნაციონალების საარჩევნო სიის პირველი ნომერი დავით ბაქრაძე იქნება

**ოპოზიციური პარტიები საპარლამენტო სიაზე მუშაობას შემოდგომიდან დაიწყებენ. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებისთვის რამდენიმე პოლიტიკური ძალა აპირებს ბრძოლას. ცხადია, ძირითადი კონკურენცია მმართველ პარტიასა და იმ ოპოზიციურ პარტიებს შორის გაიმართება, რომელთაც გარკვეული რეიტინგი გააჩნიათ. რა თქმა უნდა, ნაციონალები ისევ საკონსტიტუციო უმრავლესობისთვის იბრძოლებენ, რადგან ამაზეა დამოკიდებული მომავალი პრემიერისა და მთავრობის ბედი. კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების თანახმად, ქვეყნის პირველი პირი რეალურად პრემიერი ხდება და არა პრეზიდენტი. პრემიერს კი პარლამენტი ირჩევს, კონკრეტულად კი ის პოლიტიკური პარტია, რომელიც საკანონმდებლო ორგანოში უმრავლესობით მოვა, პრემიერსაც და მთავრობასაც დანიშნავს.**

ნანა მიშელაშვილი

კონსტიტუციის თანახმად, ამისთვის პარლამენტში გასული პოლიტიკური ძალების მიერ კოალიციის შექმნაც არის შესაძლებელი. თუმცა, ცხადია, ნაციონალებს ურჩევნიათ, მთავრობა თავად დააკომპლექტონ და არ დასჭირდეთ სხვასთან გარიგება. ამისთვის კი საპარლამენტო არჩევნებში საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებაა აუცილებელი.თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მომავალ პარლამენტში დეპუტატების რაოდენობა 190-მდე გაიზრდება, მაშინ ნაციონალებს საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებისთვის, მინიმუმ, 127 კაცის გაყვანა მაინც დასჭირდებათ.

მომავალ პარლამენტში იზრდება მაჟორიტარების რაოდენობაც 83-მდე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნაციონალებს საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებისთვის გარკვეულწილად ფორა გააჩნიათ, რადგან, როგორც წესი, მაჟორიტარულ არჩევნებში ხელისუფლების კანდიდატები იმარჯვებენ. ასე, მაგალითად, ამ მოწვევის პარლამენტში 75 მაჟორიტარი დეპუტატიდან ხელისუფლებამ 71-ის გაყვანა შეძლო.

სწორედ ამიტომ იყო, რომ საარჩევნო რეფორმაზე მუშაობისას ხელისუფლებამ მაჟორიტარების საკითხი ცოცხალი თავით არ დათმო. უფრო მეტიც, კულუარებში იმასაც ამბობდნენ, რომ პირადად სააკაშვილის მითითება იყო, რომ მაჟორიტარები არათუ არ უნდა შემცირებულიყვნენ, არამედ, მათი რაოდენობის გაზრდასაც ითხოვდა, რაც საბოლოოდ ასეც მოხდა.

ასე რომ, ხელისუფლება აქცენტს ამ არჩევნებში ისევ მაჟორიტარებზე გააკეთებს.

სიის პირველი ათეულის საიდუმლოდ შენახვის დიდი ტრადიცია არსებობს. თითქმის ყველა პარტიის სიას ბოლო წუთებამდე „გრიფი საიდუმლო“ ადევს.

მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე წელიწადზე მეტია დარჩენილი, პოლიტიკურ კულუარებში ნაციონალების პირველ ნომერზე უკვე საუბრობენ. მმართველი პარტიის სიას სათავეში კვლავ დავით ბაქრაძე ჩაუდგება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მომავალი პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატიც ის იქნება. თუმცა, გამორიცხული არც ის არის, რომ ბაქრაძე პირველი ნომერი არ იყოს და პარლამენტის თავმჯდომარის კანდიდატურა სხვა აღმოჩნდეს. ამ ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ ბაქრაძემ საკუთარი რეიტინგის ამაღლებისთვის მუშაობა უკვე დაიწყო. რეგიონებშიც აქტიურად ხვდება ამომრჩეველს და ამის პარალელურად ორიგინალურ მეთოდსაც მიმართა. ორი დღის წინ იგი პარლამენტში საკუთარ ფანებს შეხვდა. ეს ის ხალხია, რომელიც ბაქრაძემ „ფეისბუქში“ დაიმეგობრა და მათთან აქტიურად კონტაქტობს.

გარდა ამისა, სააკაშვილის პარლამენტის თავმჯდომარეობის ვერსიაც განიხილება და, თუკი სააკაშვილი მართლაც გეგმავს პარლამენტის თავმჯდომარეობას, მაშინ მას პრეზიდენტის სავარძლის ერთი წლით ადრე დატოვება და საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღება მოუწევს. თუმცა, ექსპერტები დარწმუნებულნი არიან, რომ სააკაშვილი პრეზიდენტობას ვადამდე არ დათმობს და იგი პრემიერობას შეეცდება, მით უმეტეს, რომ ნაციონალების საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში მას ამის შესაძლებლობა თავისუფლად მიეცემა.



საარჩევნო სიაში ნაციონალებს რამდენიმე ახალი სახეც ეყოლება. პირველ ათეულში, შესაძლოა, რომელიმე ცნობილი მსახიობი ან კულტურის სხვა სფეროს წარმომადგენელიც ვიხილოთ. 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში ნაციონალებს პირველ ათეულში მსახიობი გია როინიშვილი ჰყავდათ. ეს მეთოდი, შესაძლოა, მომავალ არჩევნებშიც გამოიყენონ. საპარლამენტო უმრავლესობაში ირწმუნებიან, რომ საპარლამენტო სიაზე საუბარი ნაადრევია, თუმცა, ყველას აინტერესებს საკუთარი ადგილი ამ სიაში. ნაციონალები დღევანდელი დეპუტატებიდან ყველას ვერ დააკმაყოფილებენ, ამიტომ მომდურავებიც საკმაოდ ეყოლებათ.

ისინი, ვინც საკუთარ ადგილს სიაში ვეღარ ხედავენ და არც არანაირი შანსი არა აქვთ, რომ მომავალში სადმე დასაქმდნენ, შესაძლოა, ოპოზიციაში გადაბარგდნენ. ასე რომ, 2011 წლის ბოლოს ნაციონალებში თვითგამორკვევის პროცესი დაიწყება. სწორედ ამ დროს არის მოსალოდნელი მმართველ პარტიაში გარკვეული გადაჯგუფებები. რაც შეეხება ოპოზიციას, ამ ფლანგზე საკმაოდ დიდი გაურკვევლობაა. ერთი დაჯგუფება შექმნილი არ არის და უკვე იშლება, ამის საფუძველზე კი უკვე მეორე დაჯგუფება იქმნება, რომლის ბედიც ასევე გაუგებარია. სამაგიეროდ, დაშლილიც და დაუშლელი ბლოკებიც ირწმუნებიან, რომ ქვეყანაში რეალურ ოპოზიციას მხოლოდ ისინი წარმოადგენენ.

ასეა თუ ისე, არჩევნებისთვის რამდენიმე ოპოზიციური ძალა მაინც გამოიკვეთება და ერთად დაჯგუფდება.

ცხადია, ერთად იქნებიან საპარლამენტო ოპოზიციური ძალები, რომლებიც არასაპარლამენტო ოპოზიციამ ხელისუფლების სატელიტად მონათლა. მათ შორის მთავარი მამოძრავებელი ძალა „ქრისტიან-დემოკრატები“ იქნებიან. მაგრამ თარგამაძის პარტიის წევრები ამჟამად ამტკიცებენ, რომ ისინი ბლოკის შექმნას არავისთან გეგმავენ და არჩევნებში გასვლა მარტო სურთ. თუმცა, იმავეს ამტკიცებდნენ ისინი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ და საბოლოოდ პაატა დავითაიასთან და საკუთარ სატელიტ პარტიასთან აღმოჩდნენ დაბლოკებულნი. ამიტომაც, თუკი მათ რაიმე სარგებლობა ექნებათ, ცხადია, იმავე გზას დაადგებიან.

უკვე საუბრობენ იმაზე, რომ „ქრისტიან-დემოკრატებს“ „ახალ მემარჯვენეებსაც“ გააყვანინებენ. ამის საფუძველს კი ის იძლევა, რომ „ახლებმა“ „ოპოზიციური რვიანი“ დაშალეს და საარჩევნო შეთანხმებას ხელი პირველებმა მოაწერეს. მაშინ ძალიან ბევრს საუბრობდნენ იმაზე, თუ ამისთვის „ახალმა მემარჯვენეებმა“ ხელისუფლებისგან რა გარანტიები მიიღეს.

საპარლამენტო კულუარებში უკვე საუბრობენ იმაზე, რომ ეს გარანტია საარჩევნო ბარიერის გადალახვაა. თუმცა, 5%-იანი ბარიერის გადალახვა „ახალ მემარჯვენეებს“ დამოუკიდებლად არ შეუძლიათ და ხელისუფლებას ამ პირობის შესასრულებლად გარკვეული სქემის მოფიქრება დასჭირდება. ერთ-ერთი სქემა კი გულისხმობს იმას, რომ „ახლები“ რამდენიმე მაჟორიტარულ ოლქში საკუთარ კანდიდატურას დააყენებენ და ისინი გამარჯვებას მოიპოვებენ.

საუბარია იმაზე, რომ მემარჯვენე მამუკა კაციტაძე ამბროლაურში აპირებს კენჭისყრას, ხოლო დავით საგანელიძე — ონში. ასევე საუბარი იმაზეც, რომ ერთ-ერთ მაჟორიტარულ ოლქში კენჭს იყრის ფიქრია ჩიხრაძეც.

პარლამენტში ფრაქციის შესაქმნელად საჭირო კიდევ სამ წევრს კი უკვე „ქრისტიან-დემოკრატების“ სიით გაიყვანენ. მართალია, „ქრისტიან-დემოკრატებს“ საკუთარ სიაში გამყრელიძისთვის სამი ადგილის დათმობა მაინცდამაინც არ უნდათ, მაგრამ, თუკი პოლიტიკური კონიუნქტურა ამას მოითხოვს, მოუწევთ.

თავად „ქრისტიან-დემოკრატები“ თვითდაჯერებულნი არიან, რომ მომავალში პარლამენტში 6-კაციანი ფრაქცია კი არა, 20-კაციანი წარმომადგენლობა ეყოლებათ. ისინი პირად საუბრებში ამბობენ, რომ ცუდ შემთხვევაში 15 კაცის გაყვანას მაინც მოახერხებენ, კარგ შემთხვევაში კი მათი შემადგენლობა 20 კაცსაც გადააჭარბებს. ასე რომ, თარგამაძესთან დაბლოკებული პარტია იხეირებს. მაგრამ, საინტერესო ის არის, ამის სანაცვლოდ „ქრისტიან-დემოკრატები“ რას მოითხოვენ და რას მიიღებენ.

არჩევნებში ტრადიციულად დამოუკიდებლად მიიღებს მონაწილეობას ნათელაშვილი და ბარიერის გადალახვასაც შეძლებს. ასევე თითქმის 100%-იანი სიზუსტით შეიძლება იმის თქმა, თუ როგორი იქნება ლეიბორისტული ათეული, რადგან ეს სია წლებია არ იცვლება.

ასევე არჩევნებში აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას „ოპოზიციური რვიანიდან“ დარჩენილი „ექვსიანი“, მიუხედავად იმისა, რომ მათ საარჩევნო შეთანხმებას ხელი არ მოაწერეს. ისინი არჩევნებში, სავარაუდოდ, ერთიანი ბლოკით გავლენ. ამ ბლოკის სიის პირველი ნომერი, ცხადია, ირაკლი ალასანია იქნება, პირველ ათეულს კი უკვე დანარჩენი პარტიების ლიდერები გადაინაწილებენ.

კულუარებში უკვე დაიწყეს იმაზე საუბარი, რომ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას აუცილებლად მიიღებს ნინო ბურჯანაძეც.

## სასამართლომ ქრისტიან-დემოკრატების სარჩელი არ დააკმაყოფილა

თბილისის საქალაქო სასამართლომ დასუფთავების გადასახადის გახარჯული ელექტროენერგიის პროპორციულად გადახდის წესთან დაკავშირებით ქრისტიან-დემოკრატების სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა.

როგორც „მედიანიუსს“ თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ წარმომადგენელმა ჯაბა სამუშიამ განუცხადა, მოსამართლემ პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო, რადგან მას ბრძანება ზემოდან ჰქონდა მიღებული.

— ცინიზმია და მეტი არაფერი, როცა გადახდის ახალი წესის გამო მოქალაქეს 5 ლარის ნაცვლად 20 ლარის გადახდა მოუწევს და ამაზე მოსამართლე გეტყვის, რომ ზარალი არ მიადგებაო. სწორედ პოლიტიკური მოტივის გამო არ მიიღეს ჩვენი სარჩელი, მაგრამ გაჩერებას არ ვაპირებთ და ამ საკითხს აუცილებლად სააპელაციო სასამართლოში გავასაჩივრებთ, — განუცხადა „მედიანიუსს“ ჯაბა სამუშიამ.

შეაგხსენებთ, რომ ახალი კანონის მიხედვით, „დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურების“ ტარიფის გადახდა მოქალაქეებს გახარჯული ელექტროენერგიის ოდენობის მიხედვით მოუწევთ.

მედიანიუსი

## ომში საქართველოც დამარცხდა და რუსეთიც

ბელგიაში მდებარე საერთაშორისო და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტის მკვლევარის, პოლიტოლოგ ტიის რომენსის შეფასებით, 2008 წლის აგვისტოს ომმა დაამსხვრია სხვადასხვა ექსპერტის მიერ გაკეთებული პროგნოზი, რომლის თანახმადაც, კავაკასიაში არსებულ დაძაბულ სიტუაციას ახალი ცივი ომის დაწყება შეეძლო.

როგორც ექსპერტმა ნიუს.აზ-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რუსეთ-საქართველოს შეიარაღებულმა კონფლიქტმა კავკასიაში არსებული მდგომარეობა მსოფლიოს უკეთ გააცნო, რადგან ახლა ამ რეგიონს უფრო დიდ ყურადღებას აქცევენ.

პოლიტოლოგის შეფასებით, 2008 წლის აგვისტომ ყველას აჩვენა, რომ ომი პრობლემებიდან გამოსავალი არ არის, რადგან რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შემდეგ მოგებული არც ერთი მხარე არ დარჩენილა.

— მიუხედავად ომისა, ამ ორი ტერიტორიის: აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა საერთაშორისო დონეზე არ აღიარებულა. ამ ტერიტორიებზე კვლავ მასობრივი კორუფცია სუფევს და უამრავი დევნილი ფიქსირდება, — განაცხადა მან.

ბელგიელმა ექსპერტმა ასევე უარყო მოსაზრება თითქოს, რუსეთი დაპირისპირებულ ძალებს შორის მედიატორის როლს თამაშობდა. რომენსის შეფასებით, რუსეთი „მებრძოლი მხარე“ იყო.

მედიანიუსი

## ჭიაბერაშვილი რუსეთის რიტორიკით უკმაყოფილოა



შვეიცარიაში და ლიხტენშტეინში საქართველოს ელჩის ზურაბ ჭიაბერაშვილის განცხადებით, საქართველოს გააზრებული აქვს ის დადებითი მხარეები, რაც რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებამ შეიძლება გამოიწვიოს, მაგრამ არ აპირებს ამას მხარი დაუჭიროს სამართლიანი პირობების გარეშე. აღნიშნული განცხადება ჭიაბერაშვილმა „როიტერთან“ საუბრისას გააკეთა.

მისი თქმით, ივლისის დასასრულს რუსეთის პრეზიდენტმა სახელმწიფო სათათბიროს აფხაზეთთან საბაჟო შეთანხმების შესახებ დოკუმენტი წარუდგინა, მსგავსი ქმედებები კი მოლაპარკების პროცესს ხელს უშლის.

— ამჟამად არ შემიძლია იმის თქმა, მიიღწევა თუ არა შეთანხმება. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად კონსტრუქციული იქნება მიდგომა რუსეთის მხრიდან. რუსეთის მოქმედება და რიტორიკა კი, მოლაპარაკებების კონსტრუქციულად წარმართვას ხელს ნამდვილად არ უწყობს. ნებისმიერ შეთანხმებაში გათვალისიწნებული უნდა იქნას საერთაშორისო დამკვირვებლების განთავსება აფხაზეთსა და ეწ. სამხრეთ ოსეთში მდებარე საბაჟო პუნქტებზე. ჩვენ არავითარ ზეწოლას არ ვგრძნობთ აშშ-ს მხრიდან. ჩვენ ვსაუბრობთ მსო-ს წევრის სუვერენულ უფლებაზე, მოგვარდეს არსებული უთანხმოება იმ ქვეყანასთან, რომელსაც ამ ორგანიზაციის წევრობა სურს. ჩვენთვის ყველაზე მთავარია, რომ წესების მიხედვით ვთამაშობთ, — განაცხადა ჭიაბერაშვილმა.

აღნიშნულ სტატიაში „როიტერი“ აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს მოუწოდებს წლის ბოლომდე მოხდეს შეთანხმების მიღწევა. მოს-ს თავმჯდომარე პასკალ ლამი კი, აცხადებს, რომ შეთანხმების მიღწევა შესაძლებელია.

მედიანიუსი

## მიხეილ სააკაშვილი: „მალე კავკასია ერთიანი იქნება“



საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, მიუხედავად სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებული პრობლემებისა, შორს არაა ის დრო, როდესაც კავკასია ერთიანი იქნება. პრეზიდენტმა შესაბამისი განცხადება ანაკლიაში პატრიოტთან ბანაკში სტუმრობისას გააკეთა.

— დიდი პრობლემებია სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის და ეს ჩვენი პრობლემებიცაა, ეს ქართველი ხალხის პრობლემებია. თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ შორს არაა ის დრო, როდესაც კავკასია ერთიანი იქნება; როდესაც ეს ხალხები ერთობლივად გადაწყვეტენ პრობლემებს, ისევე, როგორც ევროპის საბჭოს ხალხები, ბენელუქსი, სკანდინავიის ხალხები. კავკასიას აბსოლუტურად ყველა რესურსი აქვს იმისთვის, რომ იყოს თავისუფალი, ერთიანი და მთლიანი, რა თქმა უნდა, საკუთარი საზღვრების, ერებისა და თავისებურებების შენარჩუნებით, მაგრამ ეს, მაინც, ერთი რეგიონია, — განაცხადა პრეზიდენტმა და ანაკლიის ბანკში მყოფ ბელორუს ახალგაზრდებს მიმართა:

— ბელარუსი არის ქვეყანა, სადაც ცხოვრობენ ძალიან შრომისმოყვარე, ძალიან წყნარი, მშვიდობიანი, ძალზე მეგობრული და, ამავდროულად, ძალზე საინტერესო ადამიანები. ბალარუსში არის ჭეშმარიტად ევროპელი, ძალზე საინტერესო ხალხი, რომელიც ნამდვილად უნდა იყოს ევროპელ ხალხთა ელიტაში. ეს ერი მეგობრულ და მშვიდობიან პოლიტიკას ატარებს მეზობლების მიმართ, რაც ძალზე მნიშვნელოვანია. ჩვენ ეს საკუთარ თავზე გამოვცადეთ და ამისთვის დიდად გემადლიერებით. ქართველი ხალხი ამას არასოდეს არ დაივიწყებს. სწორედ ამიტომ გვსურს, რომ თქვენ ქართველ ახალგაზრდებთან იმეგობროთ.

მედიანიუსი

# შამბა ქართველი დევნილების დაბრუნებაზე უარს ამბობს

## რატომ არა ჰყავს პრეზიდენტობის კანდიდატს ფოტოგრაფი

თეა მარხვაი ე



**აფხაზეთში საპრეზიდენტო არჩევნებამდე 2 კვირა დარჩა. პრეზიდენტობის კანდიდატებმა ამომრჩევლებთან შეხვედრები უკვე გამართეს. შეხვედრები ამ დღეებშიც შედგება. შეხვედრების პარალელურად კანდიდატებმა თავიანთი წინასაარჩევნო პროგრამაც წარმოადგინეს.**

**ეს პროგრამები პრეზიდენტობის კანდიდატების ვებ-გვერდებზეა განთავსებული. ამ ფორმით პროგრამა პირველმა რაულ ხაჯიმბამ გამოაქვეყნა. ახლა კი ამ მეთოდს სერგეი შამბამაც მიმართა.**

**ქართველი ექსპერტების ყურადღების ცენტრში ვებ-გვერდის დასახელება მოექცა. მას ასე ჰქვია: aidgilara-apsny.**

— ვებ-გვერდის დასახელება შამბას იდეოლოგიაზე პირდაპირ მიუთითებს. შამბა, რომელიც 20 წლის წინ ხელმძღვანელობდა მთავარ აფხაზურ სეპარატისტულ ორგანიზაცია „აიდგილარას“, დღესაც იმავე იდეური ფასეულობებით აპირებს ხელისუფლებაში მოსვლას, — აცხადებენ „ექსპერტთა კლუბში“.

„აიდგილარა“ ქართველი საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი. ეს ორგანიზაცია გასული საუკუნის 80-იან წლებში შეიქმნა. ორგანიზაციის წევრები ანტიქართული სულისკვეთებით გამოირჩეოდნენ.

— „აიდგილარამ“ თავის დროზე აფხაზეთში სეპარატისტული მოძრაობის განვითარებაში უდიდესი როლი ითამაშა. აღნიშნული ორგანიზაცია ყველა ანტიქართული მოძრაობის ძირითად დასაყრდენ ძალას წარმოადგენდა. პირველი აგრესიული გამოხდომა მათი მხრიდან 1989 წლის მარტში მოხდა, როდესაც მდინარე ფსოუდან სოხუმისკენ მომავალ სტუდენტების ორ ავტობუსს გუდაუთის რაიონში ნაჯახებითა და სანადირო თოფებით შეიარაღებულმა, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა აგრესიულად განწყობილი აფხაზების ჯგუფმა გზა გადაუღობა და მათზე იერიში მიიტანა. მათი დაუსჯელობა იმავე წლის 15-16 ივლისს უფრო ფართომასშტაბიან სისხლიან მოვლენებში გადაიზარდა. იმ ორი დღის განმავლობაში 20-ზე მეტი ქართველი იქნა მოკლული, — იხსენებენ ქართველი ექსპერტები.

დღეს აფხაზეთი ქართველებისგან დაცლილია, თუმცა, როგორც ჩანს, ანტიქართული განწყობა აქ კვლავ აქტუალურია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცბიერი შამბა „აიდგილარას“ არ გამოიყენებდა.

ჩვენი ექსპერტები „აიდგილარას“ გამოჩენაზე მეტად სხვა ფაქტმა გააკვირვა. მათი გაკვირვება შამბას ფოტოალბომმა გამოიწვია.

— საინტერესოა შამბას ფოტოალბომი, სადაც იგი სხვადასხვა პოლიტიკოსებთან ერთად არის აღბეჭდილი. გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ამ ფოტოების უმეტესი ნაწილი შესაბამისი ლოგოტიპების მითითებით სხვა ინტერნეტ-რესურსებიდან არის აღებული. ეტყობა, ან საიტის შექმნა ეჩქარებოდათ, ან კიდევ შამბას პირადი ფოტოგრაფი არ ჰყავს, რაც საარჩევნო პროცესში სააგიტაციო თვალსაზრისით ფრიად მნიშვნელოვან სეგმენტს წარმოადგენს, — მიაჩნიათ „ექსპერტთა კლუბში“.

როგორც ჩანს, შამბამ ვებ-გვერდის შექმნა თბილისში მომხდარი ფოტოგრაფების სკანდალის შემდეგ გადაწყვიტა. ჩვენებურებმა ჯაშუშობაში პრეზიდენტის პირადი ფოტოგრაფიც კი დაადანაშაულეს. მართალია, ის სხვებთან ერთად გაათავისუფლეს, თუმცა შამბა მაინც შეშინდა, ემანდ ჩემი ფოტოგრაფი ქართველებმა არ დაავერბოვკონო. შეიძლება, ფოტოგრაფი გაიქცა.

რაც შეეხება საარჩევნო პროგრამას, ჩვენმა ექსპერტებმა შამბა აქაც გამოიჭირეს. თავის პროგრამაში ის ამბობს, რომ სახალხო მმრთველობის გამყარების საქმეში ერთ-ერთი ამოცანა აფხაზეთის მთავრობის კოალიციის საფუძველზე ჩამოყალიბებაა, სადაც სახელმწიფო მართვის პროცესში ჩართული იქნება ქვეყნის ყველა ჯანსაღი პოლიტიკური ძალა.

არადა, ცოტა ხნით ადრე მან თავის ინტერვიუში განაცხადა, რომ გაპრეზიდენტების შემთხვევაში არც ერთ პოლიტიკურ ძალასთან კოალიციის შექმნას არ აპირებს. საარჩევნო პროგრამაში საპირისპიროს ამბობს. მიდი და გაიგე, სინამდვილეში რა უნდა „აიდგილარას“ რჩეულს.

თავის პროგრამაში შამბა „სახელმწიფო საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრის“ შექმნის აუცილებლობაზეც საუბრობს, რომლის გამოყენებასაც საქართველოს წინააღმდეგ აპირებს.

— ამ ცენტრმა წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს საინფორმაციო ომს, რომელსაც აფხაზეთის წინააღმდეგ საქართველოს აქტიური მონაწილეობით უცხო ქვეყნები ეწევიან, — აცხადებს შამბა.

თავის პროგრამაში შამბა, ბუნებრივია, აფხაზეთის უსაფრთხოების დაცვაზეც საუბრობს, ტერიტორიული მთლიანობა კი მისთვის წმიდათაწმიდა ყოფილა. პრეზიდენტობის კანდიდატი ამ მიმართულებით საკმაოდ საინტერესო რამეს ამბობს.

— ბოლო დროს შეიმჩნევა ნეგატიური პროცესები, რომლებიც მეზობელი ქვეყნების მხრიდან აფხაზეთის მიმართ ტერიტორიული პრეტენზიებით გამოიხატება, — აცხადებს შამბა.

ეს ფრაზა ჩვენი ექსპერტებისთვის საკმაოდ საინტერესო გახდა. მათი თქმით, ძნელია გაარკვიო, რას გულისხმობს ამაში შამბა — ოფიციალურ თბილისს თუ მისი განცხადება სოფელ აიბგასთან დაკავშირებით რუსეთის პრეტენზიების განეიტრალებისაკენ არის მიმართული.

ამასთან დაკავშირებით იგი ამომრჩეველს სთავაზობს „სახელმწიფო საზღვრის დემარკაციისა და დელიმიტაციის საკითხში ხისტი პოლიტიკის გატარებას, რათა გამოირიცხოს ჩვენი მეზობლებისადმი ნებისმიერი ტერიტორიული დათმობა“.

შამბა საზღვრებთან დაკავშირებით კიდევ ერთი ინიციატივით გამოდის. ის ახალი კანონის მიღებას ითხოვს.

— მიღებულ იქნეს კანონი სასაზღვრო ტერიტორიების შესახებ, სადაც ამ ტერიტორიებზე მცხოვრებლებისათვის გათვალისწინებული იქნება განსაკუთრებული შეღავათები, მიღებულ იქნეს ზომები მათ ტერიტორიულ დამაგრებასთან დაკავშირებით (სამუშაო ადგილების შექმნა, შეღავათიანი კრედიტების გაცემა, საცხოვრებელი სახლების მშენებლობის სტიმულირება, სოციალურ-კულტურული ინფრასტრუქტურის განვითარება), — ამბობს პრეზიდენტობის კანდიდატი.

„ექსპერტთა კლუბის“ განმარტებით, ყველა ეს ღონისძიება დიდძალ ფინანსურ კაპიტალს მოითხოვს.

— საეჭვოა, შამბა არ ხვდებოდეს, რომ აფხაზეთის ეკონომიკის განვითარების საუკეთესო პირობებშიც კი ასეთი მოცულობის ფინანსები აფხაზეთისათვის უახლოესი ათწლეულების განმავლობაში მიუწვდომელი ოცნება იქნება. მაშ, რისი იმედი აქვს შამბას? გასაგებია, რომ რუსეთი საკუთარი ბიუჯეტიდან აფხაზეთს მილიარდებს ურიცხავს და შესაძლოა, ეს თანხები აღნიშნული პროგრამის განხორციელებისათვის საკმარისიც იყოს. მაგრამ რას დაუთმობს შამბა რუსეთს სანაცვლოდ? იქნება კი საკმარისი რუსეთისათვის, მიიღოს თავისი მოქალაქეების მიერ აფხაზეთში ახლად აშენებულ სახლებში საკუთრების შეძენის უფლება მიწის საკუთრების უფლების გარეშე? ესეც იმის გათვალისწინებით, რომ შამბა აიბგას საკითხის გადაწყვეტას თავის სასარგებლოდ აპირებს. ეყოფა კი რუსეთს მხოლოდ სანატორიუმები? აქ შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროგრამის ამ ნაწილში გააზრებული სტრატეგიის ნაცვლად საქმე სრულ დემაგოგიასთან უფრო გვაქვს, — აცხადებენ „ექსპერტთა კლუბში“.

საგარეო პოლიტიკის ნაწილში პროგრამაში ნათქვამია, რომ საერთაშორისო ასპარეზზე აფხაზეთმა უნდა განახორციელოს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა, პირველ რიგში, განამტკიცოს სტრატეგიული პარტნიორობა რუსეთთან.

თავის პროგრამაში შამბას ყურადღება დათმობილი აქვს ასევე აფხაზეთის მოსახლეობის „საკუთარ სამშობლოში გარე ექსპანსიისგან დაცვაზე“.

— ყოველწლიურად აფხაზეთში მატულობს უცხოელი მენეჯერების, სპეციალისტების, მუშებისა და ვაჭრების რაოდენობა, რომლებიც განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობენ — იღებენ უფრო მეტ ანაზღაურებას, ვიდრე ადგილობრივი მოსახლეობა, — ამბობს შამბა.

აფხაზეთის განვითარების ყველაზე მთავარი საკითხებია ჯანდაცვა და განათლება. შამბა აქაც სთავაზობს განათლების სისტემის მუშაკებისათვის გარკვეული ფინანსური შეღავათების დაწესებას.

მისი დაპირების მიხედვით, იგი სთავაზობს, აღდგეს შეღავათები კომუნალურ მომსახურებაზე, უსასყიდლოდ გადაეცეს მათ საცხოვრებელი ფართი და მიწის ნაკვეთები. როგორც პროგრამაშია ნახსენები — „საბიუჯეტო სფეროში მასწავლებლის პროფესია პრესტიჟული და მაღალანაზღაურებადი უნდა გახდეს“ და ხაზს უსვამს, რომ სკოლისა და პროფესიულტექნიკური სასწავლებლების მასწავლებლები და მოსამსახურეები უნდა იქნენ შეყვანილი სახელმწიფო მოხელის რეესტრში, რაც პედაგოგიურ სფეროში მუშაობის სტატუსს მნიშვნელოვნად აამაღლებს.

შამბას თავის პროგრამაში განათლებაზე ამაზე მეტი არაფერი უთქვამს, რაც „ექსპერტთა კლუბს“ აფიქრებინებს, რომ პრეზიდენტობის კანდიდატი დემაგოგიას მიმართავს.

მათივე განმარტებით, ჯანდაცვის სფეროში შამბას გუნდი პრაქტიკულად არაფერს ახალს არ სთავაზობს ამომრჩევლებს.

აფხაზეთში დღეს ძალიან მძიმე დემოგრაფიული პრობლემებია, რასაც შამბა, ბუნებრივია, გვერდს ვერ აუვლიდა.

— აღნიშნული პრობლემის მოგვარება მოსახლეობის ფინანსურ და მატერიალურ კეთილდღეობაზე პირდაპირ არის დამოკიდებული და პროგრამაში იგი ნაწილობრივ სხვა — მუჰაჯირების ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების საკითხთან იკვეთება. თუმცა, მუჰაჯირების რეპატრიაციის პროცესის განხილვისას საუბარია აფხაზეთში დასახლებისათვის აუცილებელ პირველად დაფინანსებაზე, გარანტირებულ სამუშაო ადგილებსა და სოციალური სახის შეღავათებზე, — ამბობენ ქართველი ექსპერტები.

მუჰაჯირების ისტორიულ სამშობლოში დაბრუნება სერგეი ბაღაფშსაც უნდოდა. მან თურქეთში მცხოვრებ აფხაზებს ბევრჯერ სთხოვა, სამშობლოში დაბრუნდითო. თუმცა, მათ უკან დაბრუნება არ მოინდომეს.

ამ მხრივ ბაღაფში ნოვატორად ნამდვილად არ გამოდგება, რადგანაც მუჰაჯირების სამშობლოში ჩამოყვანას ჯერ კიდევ კომუნისტები შეეცადნენ. ჩამოიყვანეს კიდევაც რამდენიმე ოჯახი. მათ იქაურ პირობებს ვერ გაუძლებს და ისევ თურქეთში დაბრუნდნენ.

ამ პროგრამაში არაფერია ნათქვამი ქართველი დევნილების დაბრუნებაზე. შამბა არც თბილისთან რაიმე ურთიერთობის დამყარებაზე საუბრობს. ამ მხრივ მისი პროგრამა ძალიან წააგავს ხაჯიმბას პროგრამას.

სამაგიეროდ ქართველებთან დიალოგზე საუბრობს მესამე კანდიდატი ალექსანდრე ანქვაბი. ის ამბობს, რომ მზადაა, ქართველებთან დიალოგი აწარმოოს, თანაც — ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, დევნილების დაბრუნებაზე კი ისიც არაფერს ამბობს.

## ქართულ გემზე უკრაინელი მეზღვაური დაიღუპა

საქართველოს კუთვნილ თბომავალ „იუკაზე“, რომლის ეკიპაჟი უკრაინის მოქალაქეებით არის დაკომპლექტებული, ეკიპაჟის ერთ-ერთი წევრი გარდაიცვალა. შემთხვევა კრასნოდარში ეისკის პორტში მოხდა.

უკრაინული მედიის ცნობით, 20 წლის გუსაკს, რომელიც გემზე შემდუღებლად მუშაობდა, დენმა დაარტყა. მეზღვაური ადგილზევე დაიღუპა.

გემი „იუკა“ ბათუმის პორტშია რეგისტრირებული. მომხდარს ეისკის შინაგან საქმეთა განყოფილება იძიებს.

მედიანიუსი

## 104-მა თურქმა-მესხმა რეპატრიანტის სტატუსი მიიღო

საქართველოს ხელისუფლებამ რეპატრიანტის სტატუსი 104 თურქ-მესხს მიანიჭა. ამ დროისთვის არსებული ინფორმაციით, საქართველოს შესაბამისმა უწყებამ განსახილველად უკვე 5841 აპლიკაცია მიიღო.

შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას საქართველოში რეპატრიანტის სტატუსი 75 თურქ-მესხს მიენიჭა.

მედიანიუსი

## სამხედრო სავალდებულო სამსახურში საშემოდგომო გაწვევა დაიწყო

გუშინ, 10 აგვისტოს პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად, სამხედრო სავალდებულო სამსახურში საშემოდგომო გაწვევა დაიწყო. გაწვევის პროცესს კოორდინაციას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო უწევს. სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევას 18-დან 27 წლამდე ასაკის მოქალაქეები ექვემდებარებიან, რომლებიც იმყოფებიან სამხედრო აღრიცხვაზე და არ აქვთ, გადავადების ან გათავისუფლების უფლება.

მიმდინარე წლის შემოდგომაზე სულ 6600-მდე წვევამდელის გაწვევა მოხდება, რითაც მთლიანად დაკომპლექტდება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის, თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროების მოთხოვნები.



ამჟამად, ბრძანებულების მიხედვით გაწერილი პროცედურების შესაბამისად, მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები, რომლის დასრულების შემდეგაც წვევამდელთა ჩარიცხვების პროცესი დაიწყება.

საშემოდგომო გაწვევა წვევამდელთა შემკრებ-გამანაწილებელი პუნქტის განახლებული შენობიდან განხორციელდება.

მედიანიუსი

## თბილისის პრობაციის ბიუროში ვიდეო-პაემნები უქმდება

**შემოდგომიდან მოქალაქეებს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს თბილისის პრობაციის ბიუროში განთავსებული ვიდეო-პაემნის აპარატურით სარგებლობის საშუალება აღარ ექნებათ.**

როგორც „პირველს“ თბილისის პრობაციის ბიუროდან კომპეტენტურმა წყარომ აცნობა, სამინისტროს მიერ „ზარზეიმით“ დამკვიდრებულმა ვიდეო-პაემნების სისტემამ თბილისში არ გაამართლა და მისი გაუქმების შესახებ ბიუროში ბრძანება უკვე მისულია.

— აპარატურის შენახვა ძვირი ჯდება. როგორც ჩანს, საზოგადოებაში ახალი სერვისი სათანადოდ ვერ გაპიარდა, ამიტომ მომხმარებელიც იმდენად მცირე რაოდენობისაა, რომ შემოსული თანხით პროექტის შენახვა ვერ ხერხდება. ამიტომ სავარაუდოდ, სექტემბრიდან უკვე აპარატურა თავად დაწესებულებებში გადაინაცვლებს, სადაც ახალი შტატის გამოყოფა საჭირო აღარ გახდება. მოგვიანებით კი ალბათ დაწესებულებებშიც გაუქმდება, რადგან რიგში ჩამდგარ პატიმრის ახლობელს, ბუნებრივია, ურჩევნია პატიმარს უშუალოდ შეხვდეს, ვიდრე ვიდეოკამერის საშუალებით 15 წუთის განმავლობაში ესაუბროს, — აცხადებს წყარო.

რაც შეეხება რეგიონებს, წყაროს ცნობით, ვიდეო-პაემნების გაუქმება აქ დღის წესრიგში ჯერ-ჯერობით არ დგას.

ინფორმაციის გადამოწმებას „პირველი“ სამინისტროში შეეცადა. სამინისტროს პრესსამსახურმა კითხვების ელექტრო ფოსტაზე გადაგზავნა მოითხოვა, მაგრამ გადაგზავნის შემდეგ პასუხის გაცემას თავი აარიდა.

შეგახსენებთ, რომ პატიმრობის კოდექსში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე ვიდეო-პაემნებით სარგებლობის უფლება ძალაში მიმდინარე წლის გაზაფხულიდან შევიდა.

— მსჯავრდებულების ინტერესების გათვალისწინებით ვიდეო-პაემანის პროექტში უპრეცენდენტო გამონაკლისი იქნა დაშვებული, რაც გამოიხატა იმაში, რომ ზემოაღნიშნული საშუალებით მსჯავრდებულთან დაკავშირება ნებისმიერ პირს შეუძლია. ასევე აღსანიშნავია, რომ ვიდეო-პაემანის შემთხვევაში აღარ არის საჭირო კონკრეტულ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მისვლა, ვინაიდან ეს უფლება ხორციელდება საქართველოს 11 ქალაქში განთავსებული პრობაციის ბიუროებიდან, — ნათქვამია სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ვებგვერგზე განთავსებულ ვიდეო-პაემნის განმარტებაში.

პირველი

# კახა კუკავა: „მთავრობა ფინანსურ ტერორზე გადავიდა“

ნონა ცაბა ე

## ინტერვიუ კახა კუკავასთან

— *ბატონო კახა, ოპოზიციის გარკვეული ნაწილი სააკაშვილის იმპიჩმენტს ითხოვს და ხელმოწერების შეგროვებას იწყებს. აქვს აზრი ამ ყველაფერს?*

— ეს ლეიბორისტული პარტიის ინიციატივა იყო, ტაქტიკასთან დაკავშირებით ჩვენ განსაკუთრებული რწმენა არ გვაქვს, რომ ამას განსაკუთრებული შედეგები მოჰყვება. თუმცა, ვინაიდან იდეა სწორი იყო ჩვენ ოპოზიციური სოლიდარობის ქოლგის ქვეშ, დავეთანხმეთ ამ ინიციატივას. დღეს ხელისუფლება თვლის, რომ მას კარტბლანში აქვს, რადგან ოპოზიცია სუსტია და პოლიტიკური ბალანსი ქვეყანაში არ არსებობს და პირდაპირ გადასულია პოლიტიკურ ტერორზე. სინამდვილეში კი პოლიტიკურზე მეტად ფინანსურ ტერორზე. ახლა, ამ წუთას ოპოზიციის მიმართ არ მიდის ისეთი შევიწროვება, როგორც მიდის პირდაპირ მომხმარებლების ჯიბეებიდან თანხის ამოცლა. როდესაც საზოგადოებამ ჩათვალა, რომ მაინც არაფერი არ გამოდის ამ პოლიტიკური ბრძოლიდან და მოდით, დავანებოთ თავი და იყოს მიშა, ეს ოპოზიციისთვის კი არ იძლევა უარყოფით შედეგებს, პირველ რიგში სწორედ არაპოლიტიკოსებისთვის იძლევა უარყოფით შედეგებს. იმიტომ, რომ როცა ოპოზიცია სუსტია, ჩათვალეთ, ეს ნიშნავს უფრო მეტ პატიმარს, უფრო მაღალ ფასებს, უფრო მეტ წართმეულ ბიზნესს, წართმეულ საკუთრებას, ეს არის ლოგიკა, რომელიც ამ ქვეყანაში არსებობს.

— *მსგავს პოლიტიკას ალბათ არჩევნებამდე გააგრძელდება. არჩევნების პერიოდში შედარებით ლმობიერი ხდება ხოლმე მთავრობა.*

— შესაძლოა არჩევნებამდეც დამთავრდეს. ახლა ზაფხულის პერიოდია და ბევრი თვალსაზრისით არის მათთვის მომგებიანი პერიოდი. მე მახსოვს, რომ მაგალითად დეკემბერ-იანვარში როცა დევნილების გამოსახლების დროს ჩვენ თუნდაც 500-კაციანი აქციის გაკეთება მოვახერხეთ, ორი კვირით გადაიდო მაშინ ეს გამოსახლება. ხელისუფლება ძალიან ყურადღებით აკვირდება იმას, თუ მის კონკრეტულ ნაბიჯს რა რეაქცია მოჰყვება საზოგადოებაში. თუ ნახავს, რომ საზოგადოებრივი რეაქცია არის პასიური, მაშინ ის ამ პოლიტიკას ბოლომდე აგრძელებს, თუ ნახავს, რომ საზოგადოება აქტიურად აგრძელებს პროტესტს, თუნდაც ბოლო რეპორტიორების საქმე ნათელი დადასტურებაა, როგორი კორექტივები შეაქვთ თავიანთ გადაწყვეტილებებში.



— *დღეს დევნილებს ისევ ასახლებენ. არადა ცოტა ხნის წინ სააკაშვილი მათ ჰპირდებოდა სახლებში დაგაბრუნებთო.*

— სადღა ამბობს ამას. აბა, ყურადღება მიაქციეთ, კარგა ხანია ჩვენს პრეზიდენტს დევნილი და დაბრუნება აღარ უხმარია. რასაც თქვენ ამბობთ, კი სწორია, 2003-2008 წლებში სააკაშვილის გამოსვლებს რომ მონიტორინგი გავუკეთოთ, მისი ყველაზე ხსირად გამოყენებული ტერმინები არის — აფხაზეთი, ცხინვალი, ნატო, ნატოში ინტეგრაცია, თითქოს მას ესიზმრება სოხუმი და მალე ვიქნებით სოხუმში და ცხინვალში. აი, ეს იყო მისი სტილის დასაწყისი და დასასრული. დღეს თუ გადაავლებთ თვალს მის საჯარო გამოსვლებს, არანაირ აფხაზეთში დაბრუნებაზე ის უკვე აღარ საუბრობს, ეს თემა დავიწყებული აქვს. დღეს მისი მთავარი ტერმინები არის-ანაკლია, მესტია, ბათუმი, ქობულეთი და ტურიზმი. არანაირი ნატოში ინტეგრაცია და არანაირი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მის ლექსიკაში არანაირად აღარ ფუნქციონირებს. ეს საკითხი მან დღის წესრიგიდან ამოიღო საერთოდ.

— *თქვენი აზრით, როგორ განვითარდება პროცესები უახლოეს პერიოდში?*

— მე ვერ გეტყვით, თუ რა გეგმები და რა იმედები აქვთ მათ, მე ვიცი ჩვენი გეგმები, რომ ჩვენ უნდა შევქმნათ ძლიერი პოლიტიკური ინფრასტრუქტურა და საქართველოს მოსახლეობის ე.წ. რადიკალურ ელექტორატთან ერთად ვემზადოთ 2012 წლის დიდი პოლიტიკური ბრძოლისათვის. რაც შეეხება სხვა ოპოზიციურ პარტიებს, მართალი რომ გითხრათ, მე არ ვიცი რომელიმე ოპოზიციური პარტიის რეალური სტრატეგია, როგორ ებრძვიან ხელისუფლებას. ვიცი, როგორ ცდილობენ ისინი ხელისუფლებასთან მოლაპარაკებას, მაგრამ რომ იბრძოდნენ, ამას ვერ ვხედავ. თუმცა, ჩვენ, თუ რამე რაციონალური იდეა იქნება გამოთქმული, მზად ვართ, ჩვენს ოპონენტებტან, თუნდაც ოპოზიციის შიგნით, ვითანამშრომლოთ.

— *2012 წლის არჩევნების შემდეგ შეიცვალება ქვეყანაში ვითარება?*

— თუ 2012 წელს ჩვენ შევძელით ხელისუფლებისთვის სერიოზული ხმების წართმევა, ეს იქნება დასავლეთისთვის სიგნალი, რომ საქართველოში ღირს ფსონის დადება ოპოზიციაზე. თუ ისევ ოპოზიციურმა პარტიებმა ხმები გაინაწილეს იმ კონფიგურაციით, რაც მოხდა ადგილობრივ არჩევნებზე, რომ ვიღაცას 10%, ვიღაცას 7% და ვიღაცას 3%, ეს დასავლეთისთვის ნიშნავს, რომ სააკაშვილს ამ ქვეყანაში არა ჰყავს სტაბილური ალტერნატივა.

# ფრთხილად, მხეცი მოდის!

ასე იწყება ახალი ზელნდიის გაზეთ „ვაირარაპა ნიუსის“ სტატია, რომელიც საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების მეორეხაზელსა და 8 ნომერ მამუკა გორგოძეს ეძღვნება.

გორგოძე პირველი ქართველი მორაგბეა, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის მოსამზადებელ პერიოდში ახალზელანდიური მედიის ყურადღების ცენტრში მოხვდა.

სტატია შთამბეჭდავი სათაურით: „გორგოძილა — საქართველოს პასუხი ჯონა ლომუს“, მამუკა გორგოძის სპორტული კარიერის მნიშვნელოვან მომენტებზე მოგვითხრობს.

„ვაირარაპა ნიუსი“ ამავე სახელწოდების რეგიონის ცენტრალური გაზეთია, რომელიც ქალაქ მასტერტონში გამოიცემა. ამ ქალაქში ბორჯღალოსნები ერთ კვირას დაჰყოფენ და პალემერსტონ ნორსში გასამართი ორი მატჩისთვის მოემზადებიან: 28 სექტემბერს — რუმინეთის, ხოლო 2 ოქტომბერს არგენტინის წინააღმდეგ.

ქალაქი ქართველი მორაგბეების ჯეროვანი მასპინძლობისთვის ემზადება. საჯარო ღონისძიებების ნუსხისთვის თვალის გადავლება მასტერტონელების შესაშურ სტუმართმოყვარეობაზე შეგვიქმნის შთაბეჭდილებას: ქალაქში უკვე ჩამოყალიბდა ბორჯღალოსნების ქომაგთა კლუბი კეტრინ როსიტერ სტიდის ხელმძღვანელობით, რომელიც ქართველებს პალმერსტონის მატჩებზე დაუჭერს მხარს.

ამას გარდა, დაგეგმილია საზოგადოებრივი აქტივობების მთელი სერია: 19 სექტემბერს მასტერტონში ჩასული ბორჯღალოსნები ადგილობრივი მაორების ზეიმს დაესწრებიან, რომლის დროსაც სალოცავთან — მარაესთან მიიწვევენ. იქვე უნდა გაიმართოს სარიტუალო ცეკვები, რომელსაც ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი მონაწილენი შეასრულებენ. მასტერტონის სარაგბო კლუბის მოთამაშეები, რა თქმა უნდა, მაორების საბრძოლო ჰაკას ხილვით გაახარებენ სტუმრებს.

20 სექტემბერს საქართველოს დელეგაციის წევრებს ქალაქის მერთან და ოფიციალურ პირებთან ლანჩზე ელიან.

21 სექტემბერს ჩვენი მორაგბეებისთვის ცხვრების გაკრეჭის პროცესის ჩვენებაა დაგეგმილი.

22-ში კი მასტერტონის მთავარ ქუჩაზე დიდი აღლუმი მოეწყობა, რომელშიც ჩვენი მორაგბეების მონაწილეობა დიდ პატივად ჩაითვლება.

24 სექტემბერს დედოფალ ელისაბედის სახელობის პარკში საქართველოს ნაკრებს ბარბექიუზე დაპატიჟებენ. ეს არის ტიპური ახალზელანდიური პიკნიკი, რომელზეც უხვად იქნება წარმოდგენილი ადგილობრივი სამზარეულოს საუკეთესო ნიმუშები.

აქვე გაიმართება ეგრეთ წოდებული სახალხო სეირნობა: მინი რაგბის მოედანზე თავიანთ ოსტატობას მასტერტონელი ბავშვები აჩვენებენ. მასპინძლებს იმედი აქვთ, რომ მათ თამაშში ქართველი მორაგბეებიც ჩაერთვებიან.

მნიშვნელოვანია სერ ბრაიან ლოჰორის ჩართვა ქართული დელეგაციის პატივსაცემად დაგეგმილ ღონისძიებებში — ლოჰორი ახალი ზელანდიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელია. სწორედ მისი დამრიგებლობის პერიოდში გახდა ლეგენდარული ოლ ბლექსი პირველად და ჯერჯერობით ერთადერთხელ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მფლობელი — ეს მოხდა 1987 წლის პირველობაზე.

ამას გარდა, ქალაქ მასტერტონის მერი ჩვენს გუნდს სასტუმროში ეწვევა. ამ ვიზიტის დროს ქართველ მორაგბეებს საშუალება მიეცემათ, ადგილობრივი წარმოების ღვინო დააჭაშნიკონ და თავად ღვინის მწარმოებლებსაც გაეცნონ. ვაირარაპას მხარეში ხომ საუკეთესო ახალზელანდიურ ღვინოს აყენებენ!

ასე რომ, ახალი ზელანდიის მელვინეობის რეგიონი ღვინის ქვეყნის მორაგბეთა ნაკრებისა და დელეგაციის მართლაც ქართული მასპინძლობისთვის ემზადება.

მ. ჟ.

# თინათინ ხიდაშელი: „სამი და ოთხი წლის ბავშვების დედების აქციები დაიწყება“

ნონა ცაბა ე

## ინტერვიუ თინათინ ხიდაშელთან

— *რას იტყვით საბავშვო ბაღების გაძვირებასთან დაკავშირებით. საუბრი იყო 80-დან 100 ლარამდე გადასახადზე, თუმცა მამუკა ქაცარავა ირწმუნება, რომ გადასახადი 50 ლარს არ აღემატება...*

— ქაცარავას არ უთქვამს, რომ გადასახადი 50 ლარს არ აღემატება, მე სპეციალურად ვუსმინე მის განცხადებას. მან თქვა, რომ ძირითადად იქნება 50 ლარიო, ზოგიერთ შემთხვევაში იქნება ნაკლები, ზოგიერთ შემთხვევაში — მეტიო. თავისთავად ის გადაწყვეტილება, რომ ინდივიდუალურად მისცეს ბაღებს ფასის დადგენის უფლება, ეს ინფორმაცია მე რამდენიმე თვის წინ გავავრცელე და ეს არის კიდევ ერთი დადასტურება იმისი, რომ სადაც მე ვამბობდი, ფასი იქნება განსხვავებული უბნების მიხედვით, სად ცხოვრობს და რომელ რაიონს ეკუთვნის თქვენი საბავშვო ბაღი. ეს სულაც არ არის სოციალური თანასწორობა, ასე თავს რომ დებენ. თავისთავად ის, რომ ადამიანი საბურთალოზე ცხოვრობს თუ ვაკეში, არ ნიშნავს იმას, რომ მას გაცილებით მეტი შემოსავალი აქვს, ვიდრე იმ ადამიანს, ვინც რომელიმე მასივში ცხოვრობს. 2011 წლის იანვრიდან რომ არ გაძვირდა ბაღები, ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი რესპუბლიკელების დამსახურება იყო. მაშინ იმდენჯერ მოუხდათ უარყოფა და ბოდიშის მოხდა, რომ ესე უცბად ველარ დააყენებდნენ ამ საკითხს.



— *მაშინ მერია კატეგორიულად უარყოფდა ამ ინფორმაციას.*

— კატეგორიულად უარყოფდნენ, ასევე კატეგორიულად და ზუსტად ვიცოდით ჩვენ, რომ ბაღი ძვირდებოდა. ბაღის დირექტორები გაფრთხილებულები ჰყავდათ 1 იანვრიდან, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ საკრებულოს სხდომაზე მე მოვახერხე და პირდაპირ დავუპირისპირდი ჩართული კამერების წინ მათ, ისინი იძულებულები გახდნენ, რომ დროებით მაინც გადაედოთ ეს. პრობლემა მარტო ის კი არ არის, რომ ბაღები ფასიანი გახდა, მთელი პრობლემა არის ის კამპანიაც, რომელიც ამ ხნის განმავლობაში მიმდინარეობს სახელისუფლო ტელევიზიებით, სადაც ცდილობენ, რომ ყველაფერი ისე გაასაღონ, თითქოს რაღაცა გადასარევი და კარგი ხდება.

— *ფიქრობთ, რომ მერიის ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და თუნდაც თქვენი ოპოზიციური პარტიების თუ ფრაქციების აქტიურობა ვეღარაფერს შეცვლის?*

— სამწუხაროდ, ალბათ, ეს გადაწყვეტილება აღარ შეიცვლება, მაგრამ მე რამდენიმე დღის წინ ვამბობდი, როდესაც ამ თემებზე ვსაუბრობდი, რომ ძალიან დიდი იმედი მაქვს-მეთქი, რომ ქუჩაში სამი და ოთხი წლის ბავშვების დედების აქციები დაიწყება-მეთქი. გეტყვით, რომ ძალიან მძიმედ დააწვება ბოლო თვეებში გაზრდილი გადასახადები ოჯახებს და განსაკუთრებით იმ ოჯახებს, რომლებსაც საბავშვო ბაღის ასაკის ბავშვი ჰყავთ. კიდევ ერთი, ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია, რომელიც როგორც ჩანს, გამორჩა საზოგადოებას, საუბარია მხოლოდ ორიდან ხუთ წლამდე ბავშვებზე, ანუ ხუთიდან ექვს წლამდე ბავშვებზე საერთოდ არ არის ლაპარაკი, ამ ასაკის ბავშვებისთვის ბაღი არ არის. ამ სისტემით რეალურად აიძულებენ მშობლებს, რომ 5 წლის ბავშვი შეიყვანონ სკოლაში და როდის ხდება ეს ცნობილი აგვისტოს ბოლოს, როდესაც პრაქტიკულად ყველა სკოლებში ყველა კლასი დაკომპლექტებულია. ძალიან მაინტერესებს, რას აპირებენ ამ კატეგორიასთან დაკავშირებით.

# ნანი ბრეგვაძე ეკა კახიანს დაუპირისპირდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

და სულ სხვა ემოციებით არის დატვირთული. წარმოდგენაში XXI საუკუნის სტუდენტი გოგონას თავგადასავალია მოთხრობილი.

— ძალიან მინდა გამოვიდეს კარგი მიუზიკლი, სახალისო და საინტერესო, რომ მოეწონოს მაყურებელს და დიდხანს იაროს ამ წარმოდგენაზე. ამავე დროს, არ მინდა დავკარგო პატივისცემა იმ ავტორების მიმართ, ვინც ეს უკვდავი ნაწარმოები შექმნა, — აცხადებს მიუზიკლის დამდგმელი რეჟისორი დავით დოიაშვილი.

ვიქტორ დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტე“ სამმოქმედებიანია. მისი პრემიერა იოსებ გრიშაშვილის ლიტერატურული რედაქციით შედგა. ვიქტორ დოლიძის სახელთან დაკავშირებულია ქართული მუსიკის ისტორიის ერთ-ერთი ფრიად საინტერესო ფურცელი — ქართული მუსიკის ისტორიაში იგი შევიდა როგორც პირველი ქართული კომიკური ოპერის ავტორი. სწორედ ამ ჟანრმა განსაზღვრა უმთავრესად კომპოზიტორის შემოქმედებითი სახე. იგი პირველი ქართველი კომპოზიტორია, რომელმაც იუმორის, კომიზმის და სატირის ელემენტები შეიტანა ქართულ მუსიკაში.

— ვიქტორ დოლიძე ქართულ მუსიკალურ სამყაროში მცირე ხანს მოღვაწეობდა. მისი შემოქმედებითი გზა სულ 15 წელს ითვლის, მაგრამ მისი ნიჭი მალევე წარმოჩნდა. ეს კომპოზიტორი მიეკუთვნება იმ ხელოვანთა რიცხვს, რომელთაც საერთო აღიარება შემოქმედებით სარბიელზე გამოსვლისთანავე ეწვევათ ხოლმე. 27 წლის ასაკში ვიქტორ დოლიძემ შექმნა თავისი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოები — ოპერა „ქეთო და კოტე“, რომელმაც ერთბაშად მოუხვეჭა დიდი სახელი. ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ოცნება „ქეთო და კოტეზე“ პროფესიონალურად მემუშავა ასრულდა და ახლა უკვე ჩვენი შემოქმედების ფართო საზოგადოების წინაშე წარსადგენად ვემზადებით, — აღნიშნავს კომპოზიტორი ნიკა მემანიშვილი.

ოპერა „ქეთო და კოტე“ 1919 წელს დაიდგა. შემდგომ წლებში ვიქტორ დოლიძემ კიდევ სამი ოპერა დაწერა „ლეილა“, „ცისანა“ და „ზამირა“, რომლის დასრულებაც ვეღარ მოასწრო. გარდა ოპერებისა კომპოზიტორმა შექმნა 20-ზე მეტი რომანსი, სიმფონიური ნაწარმოებები, საფორტეპიანო კონცერტი და საორკესტრო ცეკვები. მიუხედავად იმისა, რომ მან არაერთი მუსიკალური ნაწარმოები შექმნა, მისი სავიზიტო ბარათი მაინც ქართული საოპერო კლასიკის ჩინებული ნიმუში „ქეთო და კოტეა“, რომელიც დაიწერა დრამატურგის ავქსენტი ცაგარელის პიესის „ხანუმას“ მიხედვით. ავქსენტი ცაგარელი ქართული ინტელიგენციის იმ პლეადას წარმოადგენდა, რომელმაც რუსული ხალხოსნური მოძრაობის გავლენა განიცადა. მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული თეატრის და ეროვნული დრამატურგიის განვითარებაში. ავქსენტი ცაგარელის „ხანუმა“ არაერთი ხელოვანის შთაგონების წყარო გახდა — ალექსანდრე წუწუნავამ ამ პიესის საფუძველზე გადაიღო მხატვრული ფილმი „ხანუმა“, ვახტანგ ტაბლიაშვილმა და შალვა გედევანიშვილმა კი შექმნეს მუსიკალური მხატვრული ფილმი „ქეთო და კოტე“. ავქსენტი ცაგარელის პიესის სიუჟეტზე ოპერის შექმნის იდეა ვიქტორ დოლიძეს კიევიდან დაბრუნების შემდეგ დაებადა. კომპოზიტორის ერთი წლის მუშაობის შემდეგ დასრულებული პირველი ოპერა წარმატებული აღმოჩნდა. ლიბრეტო პიესის საფუძველზე თავად კომპოზიტორმა შექმნა, თუმცა ის გარკვეულ კორექტირებას საჭიროებდა ლიტერატურული გამართულობის თვალსაზრისით, ამიტომ ლიბრეტოს რედაქტირება ცნობილმა ქართველმა პოეტმა იოსებ გრიშაშვილმა ითავა. მანვე დაწერა ასევე სიკოს და საქოს კუპლეტები. ოპერის რეჟისურა ალექსანდრე წუწუნავას ეკუთვნის, დირიჟორი სერგეი სტოლერმანი იყო. ოპერამ დადგმისთანავე მოუტანა პოპულარობა მანამდე უცნობ კომპოზიტორს ვიქტორ დოლიძეს. „ქეთო და კოტეს“ წარმატებული პრემიერის შემდეგ თეატრის სალარომ შეკვეთა მომდევნო ათი სპექტაკლის ბილეთებზე მიიღო.

ამ ოპერას გამორჩეული სცენური ისტორია აქვს. სხვადასხვა წლებში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ოპერის რამდენიმე დადგმა განხორციელდა. პირველი სერიოზული წარმატება საქართველოს ფარგლებს გარეთ „ქეთო და კოტეს“ მოსკოვსა და ლენინგრადში ხვდა წილად. სხვადასხვა დროს ეს ოპერა საბჭოთა კავშირის 20 საოპერო თეატრის სცენაზე დაიდგა, ოპერის დადგმები განხორციელდა საზღვარგარეთაც — ორჯერ პოლონეთში, ჩეხეთში, უნგრეთსა და ბულგარეთში.

განახლებული ბათუმის ხელოვნების ცენტრის რეაბილიტაცია და სარემონტო სამუშაოები 14 თვის წინ დაიწყო. იგი იტალიური არქიტექტურით არის აგებული და 1200 მაყურებელზეა გათვლილი. 14 აგვისტოდან ბათუმში კიდევ ერთი განახლებული ხელოვნების ცენტრი თავის ერთგულ მაყურებელს დაელოდება.

# გია ბუღაძე: სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას არ ვაპირებ!

ეკა ირემაშვილი



9 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლომ მხატვართა კავშირის თავმჯდომარეს გია ბუღაძეს თანამდებობა ჩამოართვა და თებერვლის თვეში ჩატარებული მხატვართა კავშირის არჩევნების შედეგები ბათილად ცნო. სასამართლოს გადაწყვეტილება შეკრებილ საზოგადოებას მოსამართლე ასმათ კოხრეიძემ გააცნო.

მხატვართა კავშირის თავმჯდომარის არჩევნები 12 თებერვალს ჩატარდა. გია ბუღაძემ არჩევნებში გურამ ცერცვაძე დაამარცხა. სწორედ გურამ ცერცვაძემ შეიტანა სარჩელი სასამართლოში. გურამ ცერცვაძე სარჩელში არჩევნების შედეგების ბათილად ცნობის გარდა, კავშირის თავმჯდომარის თანამდებობაზე მის უპირობოდ დანიშვნასაც მოითხოვდა. მოსამართლემ სარჩელი ბოლომდე არ დააკმაყოფილა და ხელახალი არჩევნების დანიშვნის გადაწყვეტილება მიიღო. ახალი არჩევნების ჩატარების თარიღი კი ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

სამხატვრო კავშირის თავმჯდომარეობის ერთ-ერთი კანდიდატი გურამ ცერცვაძე გია ბუღაძეს არჩევნების უკანონოდ მოგებაში ადანაშაულებდა, რადგან 12 თებერვალს გამართულ არჩევნებში კავშირის თავმჯდომარეობის კიდევ ერთ-ერთმა კანდიდატმა გია გუგუშვილმა კანდიდატურა მოხსნა და მიღებული 7 ხმა გია ბუღაძეს გადასცა. ეს ყველაფერი კი არჩევნების დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე მოხდა. ამით გია ბუღაძემ გურამ ცერცვაძეს არჩევნები მოუგო და ხმათა უმრავლესობით მხატვართა კავშირის თავმჯდომარე გახდა. მხატვართა კავშირის თავმჯდომარეობისთვის გურამ ცერცვაძე, გია გუგუშვილი, გოგი გურასპაშვილი და გია ბუღაძე იბრძოდნენ. აზრთა სხვადასხვაობის გამო, „მხატვართა კავშირის" თავმჯდომარის არჩევნები ჩაშლის საფრთხის პირას იყო, მაგრამ საბოლოოდ კენჭისყრა მაინც მოხერხდა. „არტ ჰოლში" შეკრებილი მსახიობები კავშირის განადგურებულ ქონებაზე, სოციალური შეღავათების არ ქონასა და სხვა პრობლემების გადაჭრაზე აქტიურად საუბრობდნენ. სხდომას „მხატვართა კავშირის" წევრი და პარლამენტარი ნუგზარ ერგემლიძეც ესწრებოდა. სწორედ მას სთხოვეს მხატვრებმა არსებული პრობლემების მოსაგვარებლად ხელისუფლებასთან შუამდგომლობა. მხატვართა კავშირის თავმჯდომარის არჩევნები იმდენად გაჭიანურდა, რომ მხატვრების უმრავლესობამ „არტ ჰოლის" შენობა დატოვა. მხატვართა კავშირის თავმჯდომარის არჩევა კავშირის წევრების ხმათა უმრავლესობით მოხდა. მხატვართა კავშირის ყოფილმა თავმჯდომარემ გია ჯამბერიძემ თანამდებობა არჩევნებამდე 5 თვის წინ გამგეობის თხოვნით დატოვა. მხატვართა კავშირში 1.500 მხატვარია გაერთიანებული. არჩევნებამდე რამდენიმე თვის განმავლობაში კავშირი ხელმძღვანელობის გარეშე იყო დარჩენილი.

მხატვართა კავშირის თავმჯდომარის არჩევნებში სულ 312 დელეგატმა მიიღო მონაწილეობა. თავმჯდომარეობის თანამდებობაზე წარდგენილ ოთხ კანდიდატზე ხმები ასე გადანაწილდა — 131 ხმა გურამ ცერცვაძემ მიიღო, 127 — გია ბუღაძემ, 38 — გოგი გურასპაშვილმა, 7 ხმა კი — გია გუგუშვილმა. გია გუგუშვილის მიერ გია ბუღაძისთვის ნაჩუქარმა შვიდმა ხმამ ბუღაძეს 134 ხმა დაუგროვა, რის გამოც, გია ბუღაძემ გურამ ცერცვაძეს არჩევნები მოუგო.

როგორც გურამ ცერცვაძე განმარტავს, გია გუგუშვილს არჩევნებში მონაწილეობის კანონიერი უფლება საერთოდ არ ჰქონდა, რადგან ის კავშირის წევრი არ იყო. ამის გამო, აკადემიის რექტორობის ყოფილი კანდიდატი გურამ ცერცვაძე გია ბუღაძეს არჩევნების უკანონოდ მოგებაში ადანაშაულებდა. გია გუგუშვილმა კი თავისი გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ საკუთარი ხმები იმ გუნდს გადასცა, რომელსაც ყველაზე მეტად ენდობოდა.

მხატვართა ნაწილი არჩევნების შედეგების გამოცხადებამდე აცხადებდა, რომ თუ კავშირის თავმჯდომარე გურამ ცერცვაძე გახდებოდა, ისინი ორგანიზაციას დატოვებდნენ. ამის მიზეზად მხატვრები იმას ასახელებდნენ, რომ გურამ ცერცვაძე ერთი-ერთია კავშირის წინა ხელმძღვანელობიდან, რომელმაც აღნიშნული ორგანიზაცია უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა, დაუყადაღა ქონება და სახელმწიფოს წინაშე 170.000-მდე ლარის ოდენობის ვალი დაადო. 1996 წელს მხატვართა კავშირის სამდივნომ დააფუძნა შპს „საქართველოს მხატვარი", რომელსაც შემდგომ მთლიანად გადაეცა მხატვართა კავშირის ქონება. შპს „საქართველოს მხატვარს" კი ვალი დაედო და ამის გამო, შესაბამისმა ორგანოებმა მხატვართა კავშირს ქონება მთლიანად დაუყადაღეს.

წაგებულმა გურამ ცერცვაძემ მაშინდელ არჩევნებს ყოვლად სამარცხვინო უწოდა და შედეგების სასამართლოში გასაჩივრებითაც დაიმუქრა. როგორც აღმოჩნდა, მან პირობა შეასრულა და თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი შეიტანა. მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებით, გურამ ცერცვაძე ნაწილობრივ კმაყოფილია. მას მიაჩნია, რომ სამართალმა გაიმარჯვა. მისივე განცხადებით, ახლად დანიშნულ არჩევნებში ის მონაწილეობას აუცილებლად მიიღებს. მხატვართა კავშირს კი ამ დროისთვის 467 წევრი ჰყავს.

განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით მხატვარი გია ბუღაძე კი აცხადებს:

— მხატვართა კავშირი ისევ თავმჯდომარის გარეშე დარჩა. მე ყველაფერი გავაკეთე, რომ მშვიდად გადავმდგარიყავი და ეს თანამდებობა სხვისთვის დამეთმო.

***— სასამართლოს გადაწყვეტილებას ეთანხმებით?***

— რა თქმა უნდა. აბსოლუტურად ვეთანხმები სასამართლოს გადაწყვეტილებას, ალბათ ბოლოს და ბოლოს დალაგდება სიტუაცია კავშირში, ჩატარდება მეორე ტური და ახალი თავმჯდომარეც აირჩევა. თუმცა რა განაჩენიც იქნა გამოტანილი, არ არის სამართლიანი.

***— სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებთ?***

— არა, იმიტომ, რომ არაფერს აზრი არ აქვს.

***— მიგაჩნიათ, რომ თანამდებობა სამართლიანად დატოვეთ?***

— რა თქმა უნდა. სასამართლომ მხატვართა კავშირის თავმჯდომარის თანამდებობა კანონიერად ჩამომართვა.

***— მაშინ, აქამდე რატომ არ დატოვეთ ეს თანამდებობა?***

— მე რომ ამ თანამდებობიდან მაშინვე გადავდგარიყავი, გურამ ცერცვაძის თანათავმჯდომარეობის დროს დადებული ვალების გამო, კავშირის ისედაც დაყადაღებული ქონება საბოლოოდ დაიკარგებოდა. მოგეხსენებათ, რომ გურამ ცერცვაძე 9 წლის განმავლობაში იყო მხატვართა კავშირის ფინანსური ხელმძღვანელი და თანათავმჯდომარე. იმ პერიოდში ჩვენი კავშირი ვალებში იხრჩობოდა, საიდან მოვიდა ამდენი, ვალი არ ვიცი. არსებობდა რეალური საფრთხე, რომ მხატვრების კუთვნილი ქონება დაგვეკარგა.

***— ახლა ეს საფრთხე აღარ არსებობს?***

— საბედნიეროდ, არა. ჩემი მეგობრების და კოლეგების მხარში დგომით არსებულ პრობლემებს თავი დავაღწიეთ.

***— ვინ შექმნა ეს პრობლემები?***

— ეს პრობლემები სამხატვრო კავშირს სწორედ გურამ ცერცვაძის და მისი გუნდის დამსახურებით შეექმნა. სწორედ მან დააყადაღებინა ქონება და ნახევარი მილიონი ლარის ოდენობის ვალი დაიდო. მე უკვე მაქსიმუმი გავაკეთე. ახლა შემიძლია თანამდებობიდან მშვიდად გადავდგე.

***— რამდენი იყო მხატვართა კავშირის ვალი?***

— 300.000 ლარი. მხატვართა კავშირში ჩემი თავმჯდომარეობის დროს კავშირის მმართველმა გუნდმა მოვახერხეთ ქონებისთვის ყადაღის მოხსნა და წლების განმავლობაში დაგროვილი 300 ათას ლარიანი ვალის გადახდა. ამ ხნის განმავლობაში, რაც გავაკეთეთ ის არის, რომ ყადაღა შევაჩერეთ, კავშირს ვალებიც აღარ აქვს, სწორედ ის ვალები და ყადაღა, რომელიც გურამ ცერცვაძემ დააგროვა და აკიდა კავშირს. მე ხელისუფლების ინტერესების დამცველად მოვიაზრები, მაგრამ ახლა ხომ დარწმუნდა ყველა, რომ სახელმწიფოს რამე ინტერესი რომ ჰქონოდა, მხატვრები ასეთ საშინელ დღეში არ იქნებოდნენ.

***— საიდან გაჩნდა ეს ვალები?***

— მართლა არ ვიცი, როდის დაყადაღდა მხატვართა კავშირის ქონება და როდის აიკიდა ამდენი ვალი ჩვენმა კავშირმა. თუ საიდან დაგროვდა ამდენი ვალი, ეს გურამ ცერცვაძეს უნდა ჰკითხოთ, მან კავშირის მთელი ქონება გაანიავა და კიდევ კავშირის თავმჯდომარეობა უნდოდა.

***— ხელახალი არჩევნების ჩატარების მომხრე ხართ?***

— რა თქმა უნდა. ხელახალი არჩევნების ჩატარება აუცილებელია, რადგან წინა არჩევნებზე ვერც ერთმა კანდიდატმა ხმათა უმრავლესობა ვერ მიიღო.

***— ხელახალ არჩევნებში ისევ მიიღებთ მონაწილეობას?***

— არ გამოვრიცხავ, რომ განმეორებით არჩევნებშიც მივიღო მონაწილეობა, თუმცა ჯერ ზუსტად გადაწყვეტილი არ მაქვს.

***— როდის ჩატარდება ახალი არჩევნები?***

— მას კავშირის გამგეობა მომდევნო ერთი თვის განმავლობაში მოამზადებს.

***— სამხატვრო აკადემიაში თანამდებობაზე ისევ რჩებით?***

— დიახ, თუმცა რექტორობის ვადა ძალიან მალე ამომეწურება და ამ თანამდებობასაც დავტოვებ.

***— ახლა რა ხდება სამხატვრო აკადემიაში?***

— ახლა პედაგოგების კონკურსისთვის ვემზადებით. ჩვენ ბევრი პროცესი აგვიარეთ, მაქსიმუმი გავაკეთეთ იმ პირობებში, რაც გვქონდა. რასაც ჩვენ მივაღწიეთ, მართლა არ იყო ადვილი. რთული იყო ამ პროცესის წარმართვა. მარტო ჩემს დროს 4-ჯერ მომიწია რადიკალური ცვლილებების გატარება. ჩვენ ბევრი მონაპოვარი გვქონდა. ახლა ისეთი დროა, ყველაფერი სწრაფად და რადიკალურად იცვლება.

***— ვინ გინდათ იყოს სამხატვრო აკადემიის რექტორი?***

— კონკრეტულად გამორჩეული კანდიდატურა ამ მყავს, მაგრამ ძალიან მინდა სამხატვრო აკადემიაში მოვიდეს ისეთი ადამიანი, რომელსაც ეყვარება აკადემია, მისი ქმედებები რეალობასთან შესაბამისობაში მოვა და არ იქნება 60-იან წლებში ჩარჩენილი. ერთი რამ ზუსტად ვიცი, თუ იქნება უფრო მეტი დაფინანსება, უფრო მეტის გაკეთების შანსი მოგვეცემა, თუ არადა, იმ დაფინანსებით, რაც ჩვენ გვქონდა, მართლა მაქსიმუმი გავაკეთეთ.

***— თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ, სამი სახელოვნებო უმაღლესი სასწავლებელი — სამხატვრო აკადემია, თეატრალური უნივერსიტეტი და კონსერვატორია მართლა ერთიანდება?***

— არ ვიცით, ეს ამბავი მეც მხოლოდ ჭორის დონეზე მესმის. თუკი მართლა გაერთიანდა ეს სამი სახელოვნებო უმაღლესი სასწავლებელი, ეს ურთულესი პროცესი იქნება. წინასწარ არაფრის თქმა არ შემიძლია, ვნახოთ, ერთად დაველოდოთ, მოვლენები როგორ განვითარდება.


**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი".

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი. ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში (თბილისიდან 30 კმ-ში), 2000 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ხეხილით, სასმელი და სარწყავი წყლით (შეიძლება ნაწილ-ნაწილად). 1 კვ.მ.-ის ფასი 2 დოლარი. ტელ: 8790 53-02-41; 253-15-87.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● იყიდება 2-სართულიანი კერძო სახლი მეტრო „ვარკეთილთან" (50 მეტრში). ტელ.: 273-35-63; 593 93 40 36 ლიკა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 558-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 234-02-38; 558-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 2-4 სმ, 25 წლამდე, მცენარეული მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით პლუს ვარჯიშებით, ზრდის ზონების გააქტიურება, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე უნებლიე შარდვა, როგორც ბავშვებში, ასევე მოზრდილებში. მკურნალობა გარანტიით. ტელ: 234-02-38; 599-96-44-94 ექიმი, ქ-ნი სალომე.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

# ნეიმარი: „ბარსელონას“ დასამარცხებლად ოსტატობასთან ერთად იღბალიც საჭიროა



საფეხბურთო სამყარო ხმაურიანი ტრანსფერის მოლოდინშია. ესპანური მედიის ცნობით, მადრიდის „რეალმა“ უკვე მიაღწია სიტყვიერ შეთანხმებას, რომ ბრაზილიური ფეხბურთის 19 წლის ამომავალი ვარსკვლავი ნეიმარი მალე „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გადაიბიროს.

„სანტოსის“ ახალ მარგალიტზე სხვა ფინანსურად ძლიერი კლუბებიც ნადირობენ, მაგრამ „სამეფო კლუბის“ შეთავაზება ფეხბურთელისთვის ყველაზე ღირებული აღმოჩნდა. „რეალი“ იმასაც დათანხმდა, რომ ზამთრამდე მოიცდის და ფეხბურთელს საშუალებას მისცემს, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე მშობლიური კლუბის ღირსება დაიცვას.

ერთია, ბრაზილიის ნაკრებისა და „სანტოსის“ 19 წლის ვარსკვლავისთვის გასული კოპა ამერიკა უიღბლო გამოდგა. ფიფას ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინტერვიუში იგი არგენტინაში განცდილ მარცხს თავისებურად ხსნის და სამომავლო გეგმებზეც საუბრობს.

***— რით ახსნით ბრაზილიის ნაკრების ფიასკოს კოპა ამერიკაზე? ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტად ითვლებოდით და ნახევარფინალამდე გასვლაც ვერ მოახერხეთ.***

— თავის მართლებას არ დავიწყებ, მაგრამ, ისიც ფაქტია, რომ ბრაზილიის წინააღმდეგ თამაშისას მეტოქეები ყრუ დაცვის ტაქტიკას მისდევენ და მხოლოდ იშვიათი კონტრშეტევებით ცდილობენ სასურველი შედეგის მიღწევას. ეს ჩვენთვის მოულოდნელი არ ყოფილა, მაგრამ მაინც ვერ შევძელით ამგვარი ტაქტიკის წინააღმდეგ ეფექტური თამაში. სამომავლოდ ყველა ზომას ვიხმართ, რათა მოწინააღმდეგის ამ პრიმიტიულმა და უღირსმა ჩანაფიქრმა დაბრკოლება არ შეგვიქმნას. იმედია, ბრაზილია დაცვითი თამაშის მოყვარული გუნდების მსხვერპლი აღარ იქნება.

***— გასაგებია, რომ არგენტინაში ჩატარებულმა ტურნირმა არ გაგახარათ, მაგრამ, როგორც ფეხბურთელს, კოპა ამერიკამ რა სარგებლობა მოგიტანათ?***

— ეს ჩემი პირველი სანაკრებო ტურნირი გახლდათ და არასდროს დამავიწყდება. არგენტინაში რამდენიმე დღით ყოფნისას ბევრი რამ ვისწავლე და გამოცდილებაც სათანადო შევიძინე. ცხადია, მარცხმა გული დამწყვიტა, მაგრამ ფეხბურთელი წარუმატებლობის დროსაც იზრდება. ზუსტად იმ ასაკში ვარ, როდესაც უნდა გამოვიწრთო და ნებისმიერ სიტუაციაში მოვახერხო თამაში.

***— ბრაზილიის ნაკრებისგან გულშემატკივრი ყოველთვის პირველობას ითხოვს. რამდენად რეალურია მათი მოთხოვნა, როდესაც სადღეისოდ სელესაოში ახალგაზრდა მოთამაშეები ბლომად არიან?***

— ნაკრები კარგი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული და ამას ქომაგებიც თვალნათლივ ხედავენ. ჩვენი უმთავრესი საზრუნავი ახლა 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატია. ტორსიდა აუცილებლად უნდა გავახაროთ. მათ მხოლოდ პირველობა დააკმაყოფილებს და ფეხბურთელებიც მხოლოდ ამ მიზანს ვისახავთ.

***— „სანტოსი“ მშვენიერ შედეგებს აღწევს, ამასთან, გულშემატკივრებს თქვენი, განსოსა და გუნდის სხვა წევრების მაღალტექნიკური თამაში ხიბლავს. წლის მიწურულს მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი ჩატარდება და პეპ გვარდიოლას „ბარსელონას“ წინააღმდეგ მოგიწევთ თამაში. როგორ გგონიათ, ლიბერტადორესის თასის მფლობელს ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულის დამარცხება შესაძლებელია?***

— კატალონელთა წინააღმდეგ თამაში დიდი გამოცდაა. „ბარსელონასთან“ მატჩში მხოლოდ საუკეთესო თვისებების გამოვლენა წარმატების მისაღწევად საკმარისი არაა. თუკი იღბალმა მოწყალე თვალით არ გადმოგვხედა, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის მოგებაზე ფიქრიც კი ზედმეტია.

***— „ბარსელონას“ დამარცხება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც მისი მოწინააღმდეგე აქცენტს მჭიდრო დაცვაზე, აგრეთვე, სტანდარტული სიტუაციებისა და კონტრშეტევების ეფექტურად გამოყენებაზე აკეთებს. დეკემბრის მიწურულს „სანტოსი“ საამისოდ მზად იქნება?***

— მთავარია, ჩვენი ფეხბურთი ვითამაშოთ. ამ შემთხვევაში წარმატებაზე ოცნებაც შეიძლება, მაგრამ ჯერ ნახევარფინალის მოგებაა აუცილებელი და მთელი ენერგია ამ მიმართულებით უნდა დავხარჯოთ. როდესაც გადამწყვეტ მატჩში მონაწილეობის უფლებას დავიბევებთ, „ბარსელონას“ წინააღმდეგ თამაშის კონკრეტულ გეგმასაც შევიმუშავებთ. კატალონიელთა შემადგენლობაში მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი თამაშობს და სწორედ ლეო მესის განეიტრალება იქნება „სანტოსის“ უმთავრესი საზრუნავი.

***— მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატზე თამაშის უფლება უკვე მოპოვებული გაქვთ. მუნდიალის მასპინძლის სტატუსი სელესაოსთვის სასარგებლოა თუ შესარჩევ ტურნირში მონაწილეობა უმთავრესი შეჯიბრებისთვის მომზადების მნიშვნელოვანი ფაქტორია?***

— მოხარული ვარ, მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლის შესაძლებლობა რომ მეძლევა, თანაც, მუნდიალი სამშობლოში ჩატარდება და ყოველმხრივ შევეცდებით, გულშემატკივარს ის სიმწარე არ განვაცდევინოთ, რაც მან 1950 წელს ურუგვაისთან მატჩის შემდეგ მიიღო. ჩემთვის კი უდიდესი პატივია, რომ მომავალი მუნდიალის სარეკლამო კამპანიაში ისეთი ლეგენდარული ფეხბურთელების გვერდიგვერდ ვმონაწილეობ, როგორებიც რონალდო, კაფუ და ზიკო არიან.

# ქვიშის რაგბიში აიას ჰეგემონიაა

ბათუმმა ქვიშის რაგბის ტურნირს უმასპინძლა, რომლის გამარჯვებული ზედიზედ მესამედ ქუთაისის „აია“ გახდა.

წლეულს პროფესიონალებმა ცალკე შეჯიბრი გამართეს, რომელშიც რვა გუნდი მონაწილეობდა: ა ჯგუფში „აია“, „აკადემია“, „ლოკომოტივი“ და „დევები“ გამოდიოდნენ, ხოლო ბ ჯგუფში — „ბათუმი“, „ყოჩები“, ტი-ბი-სი დექსუსი და ფოთი.

ფინალის საგზურისთვის რკენაში აიამ ყოჩებს სძლია 6:2, ხოლო ფინალისტმა ბათუმმა აკადემიასთან წააგო 2:5. აქედან გამომდინარე, მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ბათუმმა მოიპოვა გამარჯვება ყოჩების ძლევით ანგარიშით 7:3.

„აიასა“ და „აკადემიის“ ფინალური მატჩის ძირითადი დრო ფრედ დასრულდა — 3:3. „აკადემია“ საკმაოდ კარგად თამაშობდა, მაგრამ „აიამ“ დამატებით დროში ე.წ. „ოქროს ლელო“ დადო და მესამედ გახდა ქვიშის რაგბის პირველობის გამარჯვებული.

საგულისხმოა, რომ ქალთა საჩვენებელ პირველობაშიც ქუთაისის გუნდმა იხეირა: სუსტი სქესის ქუთათურმა მორაგბეებმა სამეგრელოს გუნდისა და „ივერიის“ ძლევით მოიპოვეს ტურნირის პირველობა.

პროფესიონალ კაცთა გუნდებს შორის მეხუთე ადგილზე „ლოკომოტივი“ გავიდა, რომელმაც ტი-ბი-სი დექსუსიის 6:3 დაამარცხა, ხოლო მეშვიდე და მერვე ადგილები ფოთის გუნდმა და „დევებმა“ გაინაწილეს.

**ზურაბ დუგლაძე, ქვიშის რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტი:**

— წლევანდელმა ტურნირმა საკმაოდ კარგად ჩაიარა — როგორც ყოველთვის, ორგანიზებაში დახმარება გაგვიწია საქართველოს რაგბის კავშირმა და აჭარის განათლებისა და სპორტის სამინისტრომ. ქვიშის რაგბი შედარებით ახალი დისციპლინაა, ტურნირი მეოთხედ ტარდება და ვიმედოვნებთ, ნელ-ნელა უფრო პოპულარული გახდება ჩვენში.

**ბესიკ ხამაშურიძე, „აიას“ მოთამაშე-მწვრთნელი:**

— ტურნირი ისეთ დროს ტარდება, როცა ჩემპიონატში შესვენებაა გამოცხადებული. ამდენად, ქვიშის რაგბის თამაში ჩვენთვის ერთგვარი მოსამზადებელი პერიოდიცაა. აქ ხშირია შებოჭვა და კომბინაციური თამაში. ტურნირის მიმდინარეობისას ამ ნიუანსებს ვამუშავებდით, რაც ჩემპიონატშიც გამოგვადგება. რაც შეეხება ტურნირს, საინტერესო შეჯიბრება იყო. გუნდები ძლიერი შემადგენლობებით იყვნენ ჩამოსულნი და მაყურებელიც მრავლად ესწრებოდა შეხვედრებს. ქვიშის რაგბი სახალისო ტურნირია და აქ ისეთი დაძაბულობა არაა, როგორც ჩემპიონატში. ჩვენც უფრო მხიარული განწყობით ვთამაშობთ ხოლმე. მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ ტურნირს სერიოზულად არ ვეკიდებით. პირიქით, ძალზე მონდომებულად ვითამაშეთ და შედეგიც სასურველია. ზედიზედ მესამედ გავხდით ჩემპიონები.

## შედეგები

### ფეხბურთი

**ე.ჩ. შესარჩევი ეტაპი (21)**

| | |
|---|---|
| გერმანია-კვიპროსი | 4:1 |

**ამხანაგური მატჩები (21)**

| | |
|---|---|
| ესტონეთი-აზერბაიჯანი | 1:3 |
| ბელგია-თურქეთი | 2:3 |
| ბულგარეთი-რუმინეთი | 1:1 |
| ირლანდია-ავსტრია | 2:1 |
| პორტუგალია-სლოვაკეთი | 1:1 |
| უზბეკეთი-სერბეთი | 2:0 |
| უკრაინა-ისრაელი | 3:0 |

**საფრანგეთი. თასი**

| | |
|---|---|
| ამიენი-ლე ავრი | 2:1 |
| ბულონი-სედანი | 1:2 |
| გენგამი-ვანი | 2:0 |
| ისტრი-ლე მანი | 0:2 |
| ნანტი-შატორუ | 1:0(დდ) |
| ლანსი-ტური | 1:0 |

### კალათბურთი

**ევრო-2011. საკვალიფიკაციო რაუნდი**

| | |
|---|---|
| პორტუგალია-უნგრეთი | 71:66 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ჩერნოგორია-მაკედონია | 67:57 |
| სლოვენია-ბოსნია | 59:52 |
| სერბეთი-ხორვატია | 80:71 |
| ესპანეთი-საფრანგეთი | 77:53 |

### ჩოგბურთი

**ატპ. მონრეალი. ჰარდი**

| | |
|---|---|
| გასკე-მაიერი | 6:3;6:2 |
| კოლშრაიებერი-სტახოვსკი | 2:6;5:7 |
| რასელი-მონტანესი | 7:5;6:2 |
| სიმონი-პეტშნერი | 5:7;2:6 |
| ტიპსარევიჩი-ფალა | 7:5;6:1 |
| ჩელა-პოსპიშილი | 6:4;3:6;4:6 |
| იუჟნი-ლოდრა | 6:3;3:6;6:7 |
| მიურეი-ანდერსონი | 3:6;1:6 |
| ტროიცკი-იანი | 2:6;6:3;6:1 |

**ვტა. ტორონტო. ჰარდი**

| | |
|---|---|
| პერტოვიჩი-ბუშარი | 6:2;6:2 |
| ჰანტუჩოვა-დულკო | 6:3;6:4 |
| მედინა გარიგესი-ერანი | 7:5;6:1 |
| ვიკმაიერი-ვინჩი | 4:6;2:6 |
| პენეტა-კირილენკო | 6:3;6:1 |
| პენგი-დომინგეს ლინო | 6:1;7:5 |
| ივანოვიჩი-ჩჟანი | 6:1;6:1 |
| დიუბუა-ბერლე | 7:6;6:1 |
| რადვანსკა ა.-ვესნინა | 6:4;6:1 |
| იოვანოვსკი-დოკიჩი | 6:0;6:0 |
| ჰრადეცკა-მარტიჩი | 6:1;4:6;4:6 |
| ციბულკოვა-ბენეშოვა | 5:7;6:4;3:6 |
| პირი-ვოზნიაკი | 1:6;0:6 |
| უილიამსი!ც.-ბონდარენკო!ა. | 6:0;6:3 |

# ლონდონურ-მანჩესტერული ამბები

ინგლისის პრემიერლიგაში ცხელი სატრანსფერო ბაზარია. გუნდები გამალებით ემზადებიან ახალი სეზონისთვის და ისეთი ვაჭრობაა გაჩაღებული, მილიონების ტრიალს საზღვარი არა აქვს.

„ტოტენჰემ ჰოთსპურის“ თავკაცს ჰარი რედნაპს „რეალიდან“ 26 წლის ფრანგი ნახევარმცველის, ლასანა დიარას ყიდვა უნდოდა. დიარასთვის ინგლისურ ფეხბურთი უცხო არ არის — 2009 წლამდე „ჩელსიში“, „არსენალსა“ და „პორტსმუთში“ გამოდიოდა, მაგრამ მისი ალბიონზე დაბრუნება ბრკოლდება, რადგან მადრიდელები ფრანგის სანაცვლოდ 20 მილიონ გირვანქა სტერლინგს ითხოვენ.

როგორც ირკვევა, მხარეებს ნახევარმცველზე იმდენად განსხვავებული შეხედულება აქვთ, რომ ვაჭრობას აზრიც აღარ აქვს. რედნაპს მიაჩნია, რომ ლასანა დიარაში 14 მილიონ გირვანქაზე მეტის გადახდა არ ღირს.

მეორე მხრივ, „სფურზს“ აუცილებლად სჭირდება ნახევარმცველი, რადგან უილსონ პალასიოსი 6 მილიონ ფუნტად შეიძლება „სტოკ სიტიში“ გაიყიდოს, ლუკა მოდრიჩის მომავალი გაურკვეველია, სანდრო კი ტრავმის გამო დაახლოებით ორ თვეს გამოტოვებს.



ჰარი რედნაპი

ლონდონელებს დიარაში ფული კი არ ენანებათ, უბრალოდ, მისი ფასი არ მოსწონთ, თორემ, „დეილი მეილის“ ცნობით, „ტოტენჰემი“ მზად არის, ჰალკის ტრანსფერზე 40 მილიონი ევრო დახარჯოს. ამჟამად, ჰარი რედნაპის მთავარი მიზანი სწორედ ბრაზილიელი შემტევის შეძენაა. შეგახსენებთ, რომ „ტოტენჰემი“ მოლაპარაკებებს „მანჩესტერ სიტისთან“ და „ვილიარეალთან“ მართავდა და ემანუელ ადებაიორის ან ჯუზეპე როსის ხელში ჩაგდება სურდა, მაგრამ ვერც ერთ შემთხვევაში მოლაპარაკება ვერ შედგა.

გასულ სეზონში 25 წლის ჰალკმა „პორტუს“ შემადგენლობაში 26 მატჩი ჩაატარა და 23 გოლი გაიტანა.

გარდა ამისა, ჰარი რედნაპს გადაწყვეტილი აქვს პიტერ კრაუჩისა და უილსონ პალასიოსის გაყიდვა. „სტოკ სიტი“ ორივე ფეხბურთელში 20 მილიონი ევროს იხდის. სავარაუდოდ, აღებულ თანხას ლონდონელები ლასანა დიარას შეძენაზე დახარჯავენ.

ინგლისური ტაბლოიდებისთვის ცნობილი გახდა, რომ „არსენალი“ ნებას რთავს თავის 24 წლის ნახევარმცველ სამირ ნასრის, გადავიდეს „მანჩესტერ სიტიში“, მაგრამ ახლა უკვე ისტლენდელების შეფები არიან უარზე და ფეხბურთელში კაპიკის დახარჯვას არ აპირებენ.

შეგახსენებთ, რომ „სიტიმ“ მეთოფეებს ნასრის სანაცვლოდ 22 მილიონი გირვანქა სტერლინგი შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო, ფრანგ ნახევარმცველს კი ჩრდილოლონდონელებთან კონტრაქტი კიდევ ერთი წლით აკავშირებს და სიტელები ფიქრობენ, რომ გაისად ფულის გადაუხდელად ჩაიგდებენ ხელში.

შეგახსენებთ იმასაც, რომ ნასრის „მანჩესტერ იუნაიტედიც“ ეპატიჟებოდა და, რამდენადაც ცნობილია, დაახლოებით ისეთსავე ხელფასს სთავაზობდა, როგორსაც ისტლენდელები დაუნიშნავენ — ლაპარაკია კვირაში 125 ათას გირვანქა სტერლინგზე, მაგრამ ფრანგმა რობერტო მანჩინის გუნდში გადასვლა ამჯობინა. როგორც ჩანს, „სიტი“ მაინც დაჰპირდა რაიმე განსაკუთრებულს.

„მანჩესტერ სიტისთან“ დაკავშირებულმა წყაროებმა ტაბლოიდებს უთხრეს, რომ კლუბში ინტერის ჰოლანდიელი გამთამაშებლის, 27 წლის ვესლი სნეიდერის ყიდვაზეც სერიოზულად ფიქრობენ. როგორც ცნობილია, სნეიდერის შეძენაც „მანჩესტერ იუნაიტედს“ სურს.

„სიტის“ ამბებიდან კიდევ იმის აღნიშვნაა საჭირო, რომ გუნდს, როგორც იქნა, დაუბრუნდა 27 წლის არგენტინელი თავდამსხმელი კარლოს ტევესი, რომლის ამბავიც მთელმა მსოფლიომ იცის, მანჩესტერიდან წასვლა რომ უნდა, რადგან შვილების გარეშე ვერ ძლებს, ბავშვები კი ცოლს ჰყავს ბუენოს აირესში. მანჩინიმ ტევესს კოპა ამერიკას შემდეგ სხვებზე მეტი, 21-დღიანი დასვენება უბოძა და აი, ის დაბრუნდა, თუმცა, ამბობენ, რომ კაპიტანი აღარ იქნება და სამკლაურს 25 წლის ბელგიელ ვენსან კომპანის გადააბარებსო, რომელმაც ინგლისის სუპერთასზე ეს მისია უკვე შეასრულა.

სატრანსფერო ბაზარი ჯერ არ დახურულა და, რასაკვირველია, შანსი იმისა, რომ არგენტინელი თავდამსხმელი აგვისტოში სადმე გადასვლას მოახერხებს, ჯერ კიდევ არსებობს, მაგრამ, რამდენად დიდია, არავინ იცის. ერთი სიტყვით, ტევესს ჯერჯერობით ისტლენდზე მოუწევს დარჩენა და მანჩინიმ უთხრა კიდეც, რომ თუ მისი ფიზიკური მდგომარეობა დააკმაყოფილებს, პირველ ტურში „ეტიჰედზე“, „სუონსისთან“, ცოტა ხნით შეიძლება ათამაშოს კიდეც.

„სანმა“ ტევესის „სიტიში“ დაბრუნებას საგანგებო ყურადღება დაუთმო და აღნიშვნის ღირსად ჩათვალა ის ფაქტი, რომ ფეხბურთელი ვარჯიშზე შავი „ჰამერით“ მივიდა, სანამ საწვრთნელი ცენტრის ტერიტორიაზე შევიდოდა, დაცვასთან შეჩერდა, იხუმრა, შემდეგ თანაგუნდელებს შეუერთდა და მათთან ერთად წვიმაში დაახლოებით 20 წუთი ივარჯიშა. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ არგენტინელი მთელი ამ ხნის განმავლობაში კარგ გუნებაზე იყო და იცინოდა.

# კლაუდიო რანიერიმ ტოტის სიზარმაცე ამხილა

„რომას“ ყოფილმა მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმ განაცხადა, რომ ფრანჩესკო ტოტი ზარმაცია და დასძინა, რომ 34 წლის ფეხბურთელი თავისი კარიერის მანძილზე მეტს მიაღწევდა, მშობლიური კლუბი რომ დაეტოვებინა და „მანჩესტერ იუნაიტედში“ ან „ბარსელონაში“ გადასულიყო.



ტოტის ოფიციალური დებიუტი „რომაში“ 1993 წლის მარტში ჰქონდა და მას „სტადიო ოლიმპიკოზე“ 600-ზე მეტი მატჩი აქვს ჩატარებული. მიუხედავად რამდენიმე ინდივიდუალური ჯილდოს დაუფლებისა, ტოტის „ოქროს ბურთი“ არასდროს მოუგია და რანიერი მიიჩნევს, რომ ფრანჩესკოს კარიერა სწორად რომ განესაზღვრა, პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულს მოიპოვებდა.

— ვფიქრობ თუ არა, რომ ის ზარმაცია? დიახ, უნდა დაგეთანხმოთ. მიუხედავად ამისა, ის საუკეთესო ფეხბურთელია, ვისთანაც კი მიმუშავია. „რომა“ რომ დაეტოვებინა და „ბარსელონაში“ გადასულიყო, რამდენიმე „ოქროს ბურთს“ მოიგებდა. ფრენკ ლამპარდთან და ალესანდრო დელ პიეროსთანაც მიმუშავია, მაგრამ ფრანჩესკო საუკეთესო ფეხბურთელია. განსხვავება ის არის, რომ ხსენებულ ორ ფეხბურთელს საქმისადმი უკეთესი დამოკიდებულება ჰქონდა. ისინი ვარჯიშებზე ყოველთვის თავგამოდებით ირჯებოდნენ და მოედანს უკანასკნელნი ტოვებდნენ, ტოტი კი, პირიქით, გასახდელში პირველი შედიოდა, — განაცხადა რანიერიმ.

რანიერი ტოტისთან 2009 წლის სექტემბრიდან 2011 წლის თებერვლამდე მუშაობდა, სანამ არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო დაითხოვდნენ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ლონდონის პოლიციას რეზინის ტყვიების გამოყენების ნება დართეს

ბრიტანეთის დედაქალაქში გასული რამდენიმე დღის მოვლენების შემდეგ შედარებით სიმშვიდე დამყარდა. თუმცა შეტაკებები მოხდა ბრიტანეთის სხვა ქალაქებში — მანჩესტერში, ბირმინჰემში, ლივერპულში.

დედაქალაქის ქუჩებში დიდი რაოდენობით პოლიციელები პატრულირებენ, აქეთ გადმოისროლეს არეულობასთან ბრძოლის სპეციალური ქვეგანყოფილებები.

გავრცელებული ცნობების თანახმად, მაროდიორების ჯგუფების გასაფანტად პოლიციას რეზინის ტყვიების გამოყენების უფლება მისცეს. ბირმინჰემის მახლობლად, ვესტ ბრომვიჩში ხულიგნებმა რამდენიმე მანქანას წაუკიდეს ცეცხლი. მანჩესტერის ცენტრში რამდენიმე მაღაზია დაარბიეს. მანჩესტერის გარეუბანში, სალფორდში თავს დაესხნენ ბიბისის ტელეოპერატორს, რომელიც მიმდინარე მოვლენების ფირზე აღბეჭდვას ცდილობდა. ხულიგნების ჯგუფმა სხვა მანქანებთან ერთად ბიბისის გადამღები ჯგუფის მანქანაც გადააბრუნა და ცეცხლი წაუკიდა. შემდეგ ისინი ტელეოპერატორს დაესხნენ თავს. გავრცელებული ცნობების თანახმად, პოლიციამ 15 ადამიანი დააკავა. მთელს



ინგლისში დაკავებულთა რიცხვმა 768-ს მიაღწია. მათგან 111-ს ბრალდებები წაუყენეს. ნოთინჰემში არასრულწლოვანთა ჯგუფმა საწვავით სავსე ბოთლები დაუშინა პოლიციის ქვეგანყოფილებას. თავდასხმის შედეგად არავინ დაზარალებულა.

ლივერპულში თავს დაესხნენ მეხანძრეთა ოთხ რაზმს, რომლებსაც მოზარდთა ჯგუფმა ხანძრისაკენ გზა გადაუღობა. ქალაქში დააკავეს 35 ადამიანი, პოლიცია მოზარდების ჯგუფებს მეზობელ ქალაქამდე, გლოსტერამდე მისდევდა. ლონდონში, კროდიონში დააპატიმრეს 21 წლის მამაკაცი, რომელსაც ისტორიული ღირსშესანიშნაობის, 100 წლის ავეჯის მაღაზიისათვის ცეცხლის წაკიდების ბრალდება წაუყენეს.

სამშაბათს გარდაიცვალა 26 წლის მამაკაცი, რომელიც კროიდონის რაიონში არეულობის დროს დაშავდა. იგი ბრიტანეთის დედაქალაქში შაბათს დაწყებული არეულობის პირველი მსხვერპლი შეიქნა. სამშაბათს, დღისით არეულობა დაიწყო ლონდონის სამხრეთით, უიმბლდონის რაიონში. ხელკეტებით შეიარაღებული ჯგუფის მოახლოების გამო კინოთეატრიდან მაყურებლები გახიზნეს. დაზარალებული რაიონების მოსახლეობამ მათთან შესახვედრად მისულ პრემიერ-მინისტრს, დევიდ კემერონსა და ლონდონის მერს ბორის ჯონსონის უკმაყოფილებით გამოუცხადეს, რომ 9 აგვისტოს, ღამით ქუჩებში ერთი პოლიციელიც არ ჩანდა და ადგილობრივი ბიზნესმენებისა და მოსახლეობის დაცვა მოითხოვეს. ლონდონის პოლიციის განცხადებით, მოვლენებში არმიის ჩარევა საჭირო არ გახდება. უკანასკნელად სამხედროები ლონდონის ქუჩებში 1919 წელს გამოვიდნენ, პოლიციელების გაფიცვასთან დაკავშირებით.

გ.თ.

# გია გვაზავა: „ფრთხილი პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმა გვმართებს!“

შორენა გონგლა ე



როგორია 3 წლის გადასახედიდან 2008 წლის აგვისტოს ომი? ამ და სხვა საკითხებზე გვესაუბრა აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე გია გვაზავა.

— მართალია, ამ ომს ნგრევისა და უბედურების მეტი არაფერი მოუტანია ჩვენი ხალხისთვის, მაგრამ, როგორც იტყვიან, ყველა უბედურებაში დადებითის გარკვეული წილიც დევს. დადებითად მიმაჩნია ის, რომ იმ დღეებში ყველამ დაინახა — მიუხედავად ძალთა არაპროპორციულობისა, როგორი თავგანწირული გმირობა გამოავლინა ქართულმა ჯარმა და როგორ შესწირა სამშობლოს საკუთარი სიცოცხლე 170-მა ქართველმა მეომარმა, რასაც ჩვენი ერი არასოდეს დაივიწყებს და მათი გმირობისა და სამშობლოს სიყვარულის მაგალითზე აღზრდის მომავალ თაობას. მე იმ დღეებში გორში ვიყავი და თავად ვარ იმ საშინელი ტრაგედიის მოწმე. ფაქტობრივად, ეს იყო ქართული ჯარის გამარჯვება უთანასწორო ძალაზე. ჩვენი ჯარი მხოლოდ რუსულ ავიაციას ვერ გაუმკლავდა. დადებით მომენტად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ მიუხედავად იმისა, მსოფლიო კარგად იცნობს იმპერიული პოლიტიკის გამტარებელ რუსეთს, ამ ომმა აშკარად გამოაჩინა რუსეთის ნამდვილი ნიღაბჩამოხსნილი სახე, ანუ მტერს დაერქვა მტრის სახელი და ეს ნამდვილი სახე დაინახა არა მარტო მსოფლიომ, არამედ თვით რუსმა ხალხმაც, უბრალო ადამიანებმა. რა თქმა უნდა, დღეისათვის ჩვენი ტერიტორია ოკუპირებულია, რასაც უკვე არაერთი ქვეყანა აღიარებს, მაგრამ, ადრე თუ გვიან, ყველა ოკუპანტი ტოვებს დაპყრობილ ქვეყანას და რუსეთიც გავა.

**— რუსეთის პრეზიდენტი თავის უსუსურ ინტერვიუში აგვისტოს ტრაგედიაში მთავარ პასუხისმგებლად საქართველოს პრეზიდენტს ასახელებს და თავის გადაწყვეტილებებს სწორად აფასებს, იმავდროულად, დასძენს, რომ სააკაშვილი მას უნდა უმადლოდეს, რომ 2008 წლის აგვისტოში ჯარი შეაჩერა და თბილისში არ შევიდა.**

— მე მოვუსმინე ამ განცხადებას. ეს ცინიზმის უმაღლესი გამოვლინებაა, მაგრამ აქ არის ერთი თემა, რომელიც გარკვეულწილად განმარტებას მოითხოვს. რუსეთი თავის ნამოქმედარს ამართლებს მსოფლიო პოლიტიკოსების წაბაძვის თვალსაზრისით, ანუ თუკი არსებობს კოსოვოს პრეცედენტი, რატომაც არ უნდა გავრცელდეს ეს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე? მაგრამ გაუგებარი ერთი რამაა: თუკი სამარი მოქმედებების გასამართლებლად რუსეთისთვის მთავარი მოტივაცია არის მეგობრულად განწყობილი ერების დაცვა, რატომ არ დაიცვეს მათ თავიანთი მეგობარი ერთმორწმუნე ქვეყანა — სერბეთი? ლოგიკა არ ჩანს. აგვისტოში მათ მოახდინეს იმის დემონსტრირება — თუკი ამერიკას შეუძლია კოსოვოს დაბომბვა, მაშინ რუსეთსაც უნდა შეეძლოს თბილისის დაბომბვა. ამ კრიტერიუმებით ამართლებენ რუსი პოლიტიკოსები თავიანთ გადაწყვეტილებებსა და ქმედებებს. ეს არის ძლიერთა სამართალი. მე ვთვლი, რომ ვეტოს უფლება საერთაშორისო ორგანიზაციებში ძლიერებს კი არ უნდა ჰქონდეთ, არამედ პატარა და სუსტ სახელმწიფოებს, რომ თავი დაიცვან. დღეს მსოფლიო არ არის სამართლიანი. როცა რუსეთი აცხადებს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მაგალითზე, რომ სამართლიანობის აღდგენას ცდილობს, ეს პარადიოქსია! რა სამართლიანობაზე ლაპარაკობს მოსკოვი, რომელმაც ჩეჩნეთში 250 000 ადამიანი (მათ შორის 40 000 ბავშვი) გაწყვიტა? ეს გენოციდია მსოფლიოს თვალწინ, რომელიც მხოლოდ რბილი შენიშვნებით შემოიფარგლა რუსეთის მიმართ ამ გენოციდის გამო. თუკი რუსეთს შეუძლია, დაიცვას კონსტიტუციური წესრიგი ჩეჩნეთში, რომელიც მისი ისტორიული ტერიტორია არ არის, რატომ არ შეუძლია საქართველოს, გააკეთოს იგივე თავის განუყოფელ მიწაზე? თუმცა, მიუხედავად ასეთი პოლიტიკური ფონისა, უნდა ვეძებოთ გამოსავალი იმისდა მიხედვით, რა ბერკეტებიც არსებობს.

**— აფხაზეთის ომის დროს რუსეთი კონსპირაციულად ებრძოდა საქართველოს, დღეს კი უცერემონიოდ აცხადებს თავისი ჯარით უცხო ქვეყანაში შეჭრის თაობაზე. ხომ არ ნიშნავს ეს წარსულში სხვადასხვა ფარული აგრესიის დაგვიანებით გაცხადებას?**

— ეს იყო ვითომ დაბრმავებული მსოფლიოს პოლიტელიტის პოზიცია და მაშინდელი ჩვენი ხელისუფლებისაც, რომელთაც იმის გაგება არ უნდოდათ, რომ რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ იბრძოდა. ძალიან კარგად იცოდნენ მათ ყველაფერი, მაგრამ, ეს ის პერიოდი იყო, როცა რუსეთს მტრის სახელი არ ერქვა და დემოკრატიას თამაშობდა, ჩვენი მთავრობა კი შეგნებულად იტყუებდა თავს (ამის დასტურია მიღწეული შეთანხმებების არაერთჯერადი ცალმხრივი დარღვევები). დღეს მდგომარეობა გარკვეულწილად შეიცვალა და უკვე ღიად აცხადებს, რომ დიახაც, არის ოკუპანტი. სამწუხაროდ, მაშინ კონფლიქტის მოგვარების უფრო მეტი შანსი იყო: რუსეთმა ის ომი ისე წაიყვანა, რომ მასთან ურთიერთობის მეტი საშუალება არსებობდა, რაც ქართულმა მხარემ არ გამოიყენა... რაც შეეხება აფხაზეთის ომს, თვითონ რუსეთი არ ცდილობდა მის სწრაფად დამთავრებას, რათა ამით მსოფლიოს თვალში აგრესორად არ გამოჩენილიყო და არ გაცხადებულიყო მის მიერ იმდროინდელი გარემოებებით შკარა მანიპულირება. გარდა ამისა, დრო იმისთვისაც იყო საჭირო, რომ მსოფლიოსთვის ეჩვენებინა, თუ როგორ იბრძვის თავისუფლებისმოყვარე აფხაზური ეთნოსი „ქართველი აგრესორების“ წინააღმდეგ.

**— შესაძლებელია თუ არა, აგვისტოში ცხელ გულზე (26 აგვისტო 2011 წ.) დე ფაქტო რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღიარება რუსეთმა უკან წაიღოს, თუკი რუსეთში პოლიტიკა შეიცვლება?**

— მე კი პირიქით მგონია, რომ ახლო მომავალში იმ 4 სახელმწიფოს, რომელმაც ცნო აფხაზეთის დამოუკიდებლობა, კიდევ მიემატოს სხვა... აქ მთელი უბედურება იმაშია, რომ, ჯერ ერთი, მსოფლიო ამ კონფლიქტს ორმაგი სტანდარტით უყურებს (აფხაზეთის აღიარება მოხდა, ცხინვალის რეგიონის ანუ ე.წ. სამხრეთ ოსეთის — არა). მეორეც, იმდენად მოხერხებულად და საკმაოდ მომზადებულად მოხდა აფხაზეთის გასხვისება, — ჯერ ისტორიის გაყალბებით, შემდეგ კი რეალურად, რომ, არ არის გამორიცხული, ევროპაშიც იფიქროს ვინმემ მათი დამოუკიდებლობის აღიარება. აფხაზეთის ცნობა რომ მოხდეს დსთ-ის ქვეყნების რომელიმე ერთი წევრის მიერ, ეს ძალიან გაართულებს საქმეს. ამ პროცესს ჯერჯერობით მხოლოდ ამერიკა აჩერებს. მაგრამ მსოფლიო შეიძლება შეიცვალოს ერთ წუთში. ახლა მიმდინარეობს ჯუჯა სახელმწიფოების წარმოქმნა. ეს, ერთი მხრივ, თითქოს დემოკრატიის გამოვლინებაა, მაგრამ, მეორე მხრივ, პატარა ქვეყნების მომავალი ძალიან სათუო ხდება. თუკი დღეს რომელიმე სახელმწიფო მათ მიიკედლებს და მეგობრულად მოეკიდება, მოგვიანებით იგივე სახელმწიფო შეიძლება მტრადაც მოევლინოს ამა თუ იმ პოლიტიკური ლიდერის ხელში. ამაში უკვე თანდათან რწმუნდებიან პატარა ერები (საგულისხმოა, ყოველ 10-15 დღეში ერთი რომელიმე ენა იკარგება დედამიწაზე არსებული 6000 ენიდან. ადვილი მისახვედრია, ვის შეიძლება დაემუქროს ასეთი პრობლემა). ასეთი ანალოგიები რუსეთსაც და ევროპასაც აქვს და ვითომ დემოკრატიული, სინამდვილეში კი სეპარატისტული წახალისებები შეიძლება ძალიან დიდ და რთულ პრობლემად იქცეს მსოფლიოში.

**— შეიძლებოდა თუ არა ომების თავიდან აცილება 2008 და 1992-93 წლებში?**

— დღეს იკვეთება ეს მოსაზრება, მაგრამ მე არ მიმაჩნია ეს სწორად. ჩვენ ვერ ვმართავდით სიტუაციას ვერც აფხაზეთის ომში და ვერც 2008 წელს. მე იმის თქმა მინდა, რომ რუსეთმა სხვა გზა არ დაუტოვა საქართველოს, გარდა პასუხისა ანუ მოგერიებისა. დღე არ გადიოდა, რომ სამაჩაბლოში ვინმე ქართველი არ გაეტაცებინათ ან არ მოეკლათ, ქონების გატაცებასა და დაყაჩაღებაზე არაფერს ვამბობ. ბერმუდის სამკუთხედივით უჩინარდებოდა სახელმწიფო შემოსავლების დიდი ნაწილი. მართალია, ამის პირობები წინა ხელისუფლების დროს კორუფციაში ჩაფლულმა ჩინოვნიკებმა შექმნეს, მაგრამ იქ არსებულ სრულ განუკითხაობას ხომ უნდოდა ალაგმვა? ქართველი კაცი ვინმეს ხომ უნდა დაეცვა? რაც შეეხება აფხაზეთის ტრაგედიას, ჩვენ, ქართველებს, დიდი წარმოდგენა გვქონდა მსოფლიოზე და გვეგონა, თუ დავიყვირებდით და სიმართლეს ვიტყოდით რუს ოკუპანტებზე, მსოფლიო მათ თითს მაინც დაუქნევდა. მაგრამ ეს „საოცრება“ არ მოხდა. პირიქით, საერთო ენის გამონახვაზე მიგვითითებდნენ. მოძალადესთან კი, მოგეხსენებათ, საერთო ენის გამონახვა ან შეუძლებელია, ან ყოველთვის ძლიერის, იმავე მოძალადის სასარგებლოდ ხდება. ახლა საჭიროა ფრთხილი, ჭკვიანური, დაკვირვებული დიპლომატიური ნაბიჯების გადადგმა და ყოველდღიური მუშაობა იმ საკითხებთან მიმართებით, რომლებიც ჩვენთვის მტკივნეულია.

**— თქვენ ამბობთ, რომ ფრთხილად და დიპლომატიურად უნდა მიუდგეს საქართველო თავის პოლიტიკას კონფლიქტებთან დაკავშირებით, მაგრამ, როცა ოპონენტი კონტაქტის დამყარებაზე უარს აცხადებს, მაშინ ლოდინის გარდა გამოსავალი არ რჩება. შეიძლება, ლოდინი იძულებითი, მაგრამ მაინც გამართლებული პოლიტიკური გზა იყოს?**

— ებრაელები რამდენ წელს ელოდნენ სახელმწიფოებრიობის აღდგენას? თუნდაც კვიპროსის პრობლემა აიღეთ, რომელიც ამდენი წელია გადაუწყვეტელია. ბუნებრივია, ჩვენ სწრაფად გვინდა პრობლემის მოგვარება, მაგრამ ისტორიაში არის მაგალითები, რომლებიც გასათვალისწინებელია. დღეს, 21-ე საუკუნეში, იარაღზე დაიმედებით თავისუფლების მოპოვება, მე ვფიქრობ, უკანგადადგმული ნაბიჯია. ჩვენ უნდა ალვიჭურვოთ მოთმინებით, ჩვენი იარაღი უნდა გახდეს ჩვენი სიმართლე, სიმართლე კი ცოდნაზე დაფუძნებული, ყველაზე ძლიერი იარაღია.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ტკბილი კარტოფილი; 2. მრგვალი, წითელი შავწინწკლებიანი მწერი; 3. ხელმოწერის ზუსტი პირი, კლიშე; 4. ბოსტნეულის მავნებელი მწერი; 5. ახირებული სურვილი, ჭირვეულობა; 8. ზომიერი კლიმატური სარტყლის სახელწოდება ჩრდილო ამერიკაში; 9. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 12. ცირკის არენა, მოედანი; 14. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური სამხრეთ კორეაში; 16. აშშ-ს პრეზიდენტი.

**თარაზულად:** 1. თამარ მეფის დედის სახელი; 6. ფინური ხალხური ეპოსი; 7. ცხვრის ტყავისგან შეკერილი ზედა მოსაცმელი; 9. ბავშვთა კვების პროდუქტების მწარმოებელი შვეიცარული ფირმა; 10. ნადირთა მფარველი ღვთაება ქართულ მითოლოგიაში; 11. მაღალხარისხოვანი ყავის ერთ-ერთი ჯიში; 13. უალკოჰოლო-გამაგრილებელი სასმელი; 15. წითელი ფერის მინდვრის ყვავილი; 17. აეროპორტი ბუქარესტში; 18. ვაშლის ქართული ჯიში; 19. ზანტი, მოუქნელი ადამიანი; 20. ზღვისპირა კურორტი ლიტვაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პოტენცია; 2. თერძი; 3. ჩუხჩარხი; 4. ქიზიყი; 7. ოდესა; 9. ამატი; 12. არითმეტიკა; 14. სოკერი; 15. ფრაქცია; 17. მასტიფი; 20. ატაშე.

**თარაზულად:** 5. ქობულეთი; 6. აზურიტი; 8. ბრძმედი; 10. ვესტერნი; 11. მიანმა; 13. ოტიატრი; 16. ლისაბონი; 18. პალმა; 19. პანტა; 21. სტურუა; 22. კინტრიში; 23. „ბენფიკა“.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ნაბადი; 2. ლომი; 3. ჰერალდიკა; 4. „ასაჰი“; 5. დოვლათი; 8. ძღვენი; 9. დისკოთეკა; 12. ხამონი; 14. ბუკერი; 16. ანაგა.

**თარაზულად:** 1. „ნაბელავი“; 6. „ნეგრესკო“; 7. ბარძიმი; 9. დინასი; 10. რიწა; 11. ნეკრესი; 13. ტიბრი; 15. ჯალიტა; 17. იამაიკა; 18. ლოზანა; 19. „იბერია“; 20. ფარაონი.


## SMS-განცხადებები 3090

**იყიდება**

❖ მეცხოველეობის ფერმა, 18 მეწველი ძროხა, კაპიტალური ბინით, საქონლისა და მომვლელისთვის უნიკალური პირობები მთელი წლის მანძილზე. მისამართი: გრუზულა ტბის აგარაკები, გლდანის ციხიდან 7 კილომეტრში, ფასი შეთანხმებით. 599-90-11-95. გიორგი.

❖ ავტომანქანა ნისან პატრული, 1996 წელს გამოშვებული, 2.8 მექანიკა, დიზელი, წითელი, კარგ მდგომარეობაში. 599-90-11-95, გიორგი.

❖ საოჯახო ბალონებში გაზის გასამართი ცისტერნა, 5 ტონა ტევადობის, რუსეთში ქარხნული წესით დამზადებული, კარგ მდგომარეობაში. 599-90-11-95, გიორგი,

❖ მიცუბიში აერტრეკი, ავტომატიკა, განარბენი – 170.000, 2001 წ. 7 თვის ჩამოყვანილი. თიპტრონიკი, ელექტროშუშები და სარკეები. Abs. მარცხენა საჭით. მოტორი 2. 0. იდეალურ მდგომარეობაში. ფასი: 8.500 § მობ: 599-19-39-49, მამუკა.

# ბერეზოვსკის ყველაზე მეტად დედა უყვარს

ლონდონში მცხოვრებმა ბიზნესმენმა ბორის ბერეზოვსკიმ გაზეთ „მასკოვსკი კამსამოლეცისათვის“ მიცემულ ინტერვიუში თავისი საყვარელი ქალების შესახებ ილაპარაკა და განაცხადა, რომ მისი 85 წლის დედა, გულისხმობს რა რუსეთის პრემიერს, შვილს ხშირად „ვოვასთან შერიგებას“ სთხოვს.



ქალებთან ურთიერთობის საკითხი აქტუალური ბერეზოვსკის ამასწინანდელი განქორწინების შემდეგ ახდა. სხვადასხვა ცნობების თანახმად ბერეზოვსკიმ თავის ყოფილ მეუღლეს გალენა ბეშაროვას 260-დან 360 მილიონ დოლარამდე გადაუხადა. თავად ბერეზოვსკიმ უარი თქვა დაესახელებინა ის თანხა, რომლის გადახდაც მას სასამართლომ დააკისრა და განაცხადა, რომ ყოფილ ცოლს ფული შვილების მატერიალურად უზრუნველყოფისათვის მისცა.

„მე მას ფულს ყოველგვარი სასამართლოს გარეშეც მივცემდი“ თქვა ბერეზოვსკიმ და დაუმატა, რომ მისი აზრით, იმ ქალების უზრუნველყოფა, ვისთანაც ურთიერთობა აღარ გაქვს, ნებისმიერი მამაკაცის მოვალეობაა. ბერეზოვსკიმ ასევე განაცხადა, რომ მას კვლავინდებურად უყვარს თავისი ქალები, ოღონდ ფართო გაგებით და მათი პრობლემები თავის პრობლემებად მიაჩნია.

ბერეზოვსკის თქმით, ქალების არჩევანში მასზე წარუშლელი ზეგავლენა იქონია პირველმა, გაუზიარებელმა სიყვარულმა. მას თანაკლასელი ნატაშა ბასოვა შვიდი წლის ასაკში შეუყვარდა, თუმცა გოგონა არც მას პასუხობდა და არც სხვა თანაკლასელებს, რომლებიც ასევე იყვნენ მასზე შეყვარებული.

ბერეზოვსკის ამჟამად უკვე არ სურს ნატაშას გახსენება. უკანასკნელად მას 1972 წელს შეხვდა, სკოლის დამთავრების 10 წლისთავზე და მისი თქმით, შეძრა იმან, რომ ნატაშა ძალიან შეიცვალა. „რას უშვრება დრო ადამიანებს“ — თქვა ბერეზოვსკიმ და დაუმატა, რომ მას შემდეგ ცდილობს წარსულს პირისპირ აღარ შეხვდეს.

ბერეზოვსკი ოფიციალურად ორჯერ იყო დაქორწინებული. მას ექვსი შვილი და ექვსი შვილიშვილი ჰყავს. მისი თქმით, ასაკის მატებასთან ერთად მისი შვილები სულ უფრო და უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს.

პირველი ცოლი მან გასული საუკუნის 70-იან წლებში შეირთო. სტუდენტობის მეგობარი ნინა ბერეზოვსკაია შეირთო, ვისთანაც ორი შვილი ჰყავს, ელიზავეტა და ეკატერინა. დიდი ხნის განმავლობაში მისი პირველი ცოლი პეტერბურგში ცხოვრობდა. შემდეგ მოსკოვში გადავიდა.

ერეზოვსკის თქმით, ნინა მას ერთი ნახვით შეუყვარდა და საერთოდ, ყოველთვის, ერთი შემთხვევის გარდა, ერთი ნახვით უყვარდებოდა.

ნინას მას შემდეგ გაშორდა, რაც გალია შეუყვარდა. მიუხედავად ამისა, ნინასთან თბილი ურთიერთობა შეინარჩუნა.

განათლებით ეკონომისტი გალენა ბეშაროვა მან 1991 წელს შეირთო ცოლად. გალენა ქმარზე 12 წლით უმცროსი იყო. ერთმანეთი მათ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიცნეს, სადაც ბერეზოვსკი მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე მუშაობდა. ჯერ კიდევ ქორწინების რეგისტრაციამდე 1989 წელს მათ ვაჟი არტიომი შეეძინათ, 1992 წელს — ქალიშვილი ანასტასია. 1993 წელს გალინა შვილებთან ერთად ლონდონში გადავიდა საცხოვრებლად.

ბერეზოვსკის თქმით, გალინასთან მან მხოლოდ ხუთი წელი იცხოვრა, შემდეგ ქალი შვილებთან ერთად ლონდონს გაემგზავრა და ცოლ-ქმარი ფაქტობრივად ერთმანეთს დაშორდა.

ოფიციალურ განქორწინებას რაც შეეხება, ეს საკითხი მათ მრავალჯერ წამოჭრეს, მაგრამ თავი ვერ მოაბეს.

ბორის ბერეზოვსკის თქმით, გალინას იგი ასევე სიყვარულის გამო დაშორდა, ამჯერად ელენა გორბუნოვა შეუყვარდა.

როგორც ამბობენ, გორბუნოვასთან რომანი მან ჯერ კიდევ გალინაზე დაქორწინებამდე გააბა. სხვა ცნობებით, დრამატურგ მიხაილ შატროვის ყოფილი მეუღლე, 24 წლის ლენა მან 1995 წელს გაიცნო, 1996 წელს მათ ქალიშვილი არინა შეეძინათ, 1997 წელს — ვაჟი გლები.

როგორც ბერეზოვსკი ამბობს, საკუთარი თავი მიმზიდველად მას არასდროს მიაჩნდა, ქალების ყურადღებით განებივრებული არ ყოფილა, ამიტომ ყოველთვის მათი „დაპყრობა“ უხდებოდა.

თუკი მამაკაცი მიზანს ადვილად აღწევს, იგი ზარმაცდება, დუნდება და შეიძლება ყველაფერი დაკარგოს.

თავად ბერეზოვსკის კი მოდუნებისათვის არ სცხელა, ამის შესაძლებლობას ცხოვრება არ აძლევს, ამიტომ ყოველთვის ფორმაშია.

როგორც ბერეზოვსკი ამბობს, ქალებთან ურთიერთობაში იგი ფილოსოფოს სენეკას სიტყვებით ხელმძღვანელობს, — თუ გსურს რომ უყვარდე, გიყვარდეს.

ქალებთან ურთიერთობის დროს ხშირად უძღვნიდა მათ ლექსებს. საკუთარ თავს ბერეზოვსკი „ასპროცენტიან რომანტიკოსს“ და „გენეტიკურ ოპტიმისტს“ უწოდებს.

თავად ბერეზოვსკის აღიარებით მისი ცხოვრების მთავარი სიყვარული დედამისია. სწორედ მან ასწავლა სიყვარული, და ყოველთვის გრძნობდა დედის სიყვარულს. როგორც ბერეზოვსკიმ განაცხადა, იმდენად მოყვარულ ოჯახში გაიზრადა, რომ 21 წლის ასაკში ოჯახს რომ ტოვებდა, ტიროდა, რაგან არ იცოდა, თუ როგორ იცხოვრებდა უდედოდ.

ამჟამად ბერეზოვსკის დედა საფრანგეთში ცხოვრობს. იგი 87 წლისაა და კვლავინდებურად ძალიან აღელვებს შვილის ბედი. „მისი ხშირი ფრაზაა, „ბორია, შეურიგდი ვოვას“. ამბობს 65 წლის ოლიგარქი და ამგვარად რუსეთის პრემიერ-მინისტრთან კონფლიქტის შესახებ საუბრობს. ამ კონფლიქტის გამო იგი იძულებული გახდა, რუსეთიდან წასულიყო.

ოლიგარქის თქმით, დედის ნახვას ხშირად ვერ ახერსებს, რადგან საფრანგეთში შესვლა არ შეუძლია, დააკავებენ, დედამისს კი ქვეყნის დატოვება ასაკის გამო სულ უფრო და უფრო უჭირს.

ბერეზოვსკიმ მართლმადიდებლობის შესახებაც ისაუბრა, რომელიც 48 წლის ასაკში მიიღო. მისი თქმით, ხშირად ფიქრობდა ქრისტიანობის ორი მთავარი თემის, სიყვარულისა და თავისუფლების შესახებ და უპირატესობას სიყვარულს ანიჭებს, რადგან იგი ადამიანს ადამიანად აქცევს.

ბერეზოვსკის აზრით, თავისუფლებისგან განსხვავებით სიყვარული ირაციონალურია. მისი აზრით, რუსული კულტურა ერთმანეთისაგან ვერ ასხვავებს თავისუფლებას და ნებას და სწორედ ეს არის მონური მენტალიტეტის საწყისი. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ხშირად რწმენა რიტუალად იქცევა ხოლმე.

ბერეზოვკსის თქმით, ხშირად ბანდიტები ეკლესიებს აგებენ და ამით თავი მოაქვთ, რადგან მთავარი, სიყვარული არ აქვთ.

ბერეზოვსკიმ რუსეთი 10 წლის წინ დატოვა და პოლიტიკური თავშესაფარი ბრიტანეთში ჰპოვა. რუსეთში იგი ორჯერ გაასამართლეს დაუსწრებლად და საერთო ჯამში 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. პირველად იგი 2007 წელს გაასამართლეს „აეროფლოტიდან“ 215 მილიონი რუბლის დატაცების ბრალდებებით. 2009 წელს სასამართლომ იგი „ავტოვაზიდან“ 5.5 ათასი ავტომობილ „ჟიგულის“ მოპარვაში ცნო დამნაშავედ.

გ.თ.

# მორმონების სექტის ლიდერს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს

მორმონთა სექტის ლიდერს, უორენ ჯეფსს აშშ-ის სასამართლომ ორი არასრულწლოვანი გოგონას მიმართ სქესობრივი ძალადობისათვის, რომელთაგან ერთ-ერთს მისგან ბავშვი შეეძინა, სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა.

„უკანასკნელი დღეების წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიის“ ხელმძღვანელს სასამართლომ მაქსიმალურად დიდი პატიმრობის ვადა მიუსაჯა.

პროკურორის განცხადებით, უორენ ჯეფსს საერთო ჯამში 78 ცოლი ჰყავდა, მათგან 24 არასრულწლოვანი იყო. გასულ ხუთშაბათს ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ იგი ორი არასრულწლოვანის გარყვნაში ცნო დამნაშავედ, რისთვისაც მათ ნახევარ საათზე მეტი არ დასჭირვებიათ.

სასამართლომ მას ამ ორი დანაშაულისათვის 99 და 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

განაჩენი ადგილობრივმა სასამართლომ გამოიტანა და არა ფედერალურმა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯეფსს პირობით გათავისუფლების იმედი უნდა ჰქონდეს. ანუ მან ციხეში მინიმუმ 45 წელი უნდა გაატაროს. ამ დროისათვის იგი უკვე 100 წლისა იქნება.

ერთ-ერთი დაზარალებული 15 წლისაა, მეორე — 12-ის. პირველს ბრალდებულისაგან ბავშვი შეეძინა. ჯეფსის მამობაზე დნმ ანალიზის შედეგები მიანიშნებს.

55 წლის ჯეფსი თავის ეკლესიაში წინასწარმეტყველის ოფიციალური სტატუსით სარგებლობს. ნასულ კვირას ნაფიცმა მსაჯულებმა 12 წლის დაზარალებულთან ბრალდებულის სქესობრივი კავშირის აუდიოჩანაწერი მოისმინეს.

ტეხასის კანონების თანახმად, 14 წელზე ნაკლები ასაკის პირთან სქესობრივი კავშირი დამამძიმებელ გარემოებებში არასრულწლოვანის გარყვნად ითვლება და სამუდამო პატიმრობით ისჯება.

„უკანასკნელი დღეების წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიის“ ხელმძღვანელი იგი 2002 წელს გახდა, მისი მიძღვრის, მამა რულონის გარდაცვალების შემდეგ. ეკლესია 10 ათასამდე მიმდევარს ითვლის. ისინი კომუნებად ცხოვრობენ იუტას, არიზონას, ტეხასის შტატებში. სექტის წევრებისაგან ამოღებული დოკუმენტების თანახმად, ჯეფსი მინიმუმ 550 პოლიგამიურ უკანონო ქორწინებაში მონაწილეობდა, მათგან 67 შემთხვევაში პატარძალი არასრულწლოვანი იყო.



თავად ჯეფსმა, როგორც პროკურორმა განაცხადა, როგორღაც ერთი დღის განმავლობაში ორი 12 წლის გოგონა შეირთო ცოლად. მისი ცოლებიდან 56 დები იყვნენ, 35 — სოლთ ლეიქ სითიში მდებარე სასწავლებლის, „ალტის აკადემიის“ სტუდენტი, რომელსაც იგი 22 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა. მისი ცოლებიდან 29 განსვენებული მამის ცოლი იყო, ანუ ჯეფსს დედინაცვლებად ხვებოდნენ.

პროცესის დროს ჯეფსმა სასამართლოს მიერ დანიშნული შვიდი ადვოკატის მომსახურებაზე უარი თქვა და საკუთარ თავს თაგვად იცავდა. კანონის თანახმად, მოსამართლე ვალდებული იყო, განსასჯელისათვის ამის ნება დაერთო, მაგრამ მაინც მიუჩინა ადვოკატი, რომელიც კონსულტანტის მოვალეობას ასრულებდა.

განსასჯელმა მოსამართლისაგან პროცესის გადადება მოითხოვა, რათა სათანადოდ მომზადებულიყო სასამართლოსათვის, მაგრამ მოსამართლემ უპასუხა, რომ განსასჯელის მიერ იურიდული ფაკულტეტის დამთავრებამდე ლოდინს არ აპირებდა და უარი უთხრა.

პროცესის დროს ჯეფსი ჯიუტად დუმდა, ხმას თუ ამოიღებდა, პროკურორს ღვთის რისხვით ემუქრებოდა.

ჟეფსი ნაფიც მსაჯულებს ამტკიცებდა, რომ თავისი რწმენისათვის იყო დევნილი, ხოლო როდესაც მსაჯულებმა იგი დამნაშავედ ცნეს, პროცესს აღარ ესწრებოდა.

ამ ეტაპზე პროკურორმა ნაფიც მსაჯულებს 2004 წელს შესრულებული ჩანაწერი მოასმენინა. ეს ჩანაწერი მოწმობდა, თუ როგორ უწევდა ინსტრუქტაჟს ჯეფსი თავის ხუთ არასრულწლოვან მსხვერპლს, რათა მათ უკეთ დაეკმაყოფილებინათ მისი ჟინი და აშინებდა მათ, რომ თუ რომელიმე უარს იტყოდა, ღმერთი მათ ზურგს შეაქცევდა.

პროკურორის თქმით, ჯეფსმა კარგად იცოდა, თუ რას სჩადიოდა. თავის დღიურში იგი წერდა, „მსოფლიომ რომ იცოდეს, რას ვაკეთებ, ყველაზე მაღალ ხეზე ჩამომკიდებდნენ“. ხელისუფლები მისი საქმიანობით სერიოზულად რომ დაინტერესდნენ, „წინასწარმეტყველმა“ მიმალვა ამჯობინა და ერთი პირობა გფბ-ის სიაში ყველაზე ძებნილ დამნაშავედ ითვლებოდა.

იგი 2006 წელს დააკვეს. მის „კადილაკ ესქეიფში“ პოლიციამ შავი სათვალე, პარიკები, რამდენიმე მობილური ტელეფონი, ასდოლარიანი ბანკნოტების დასტები აღმოაჩინა.

აღნიშნული სექტის წევრები, როგორც წესი, მოკრძალებულად იცვამენ, თუმცა პროკურორმა ნაფიც მსაჯულებს წარმოუდგინა ფოტოები, რომელზეც მათი „წინასწარმეყტველი“ მოდური პერანგებით, ბეისბოლის ქუდებით იწონებს თავს და ძვირფასი მოტოციკლით, „ჰარლი დევიდსონით“ დასეირნობს.

როგორც ირკვევა, ჯეფსის სექსუალური ლტოლვა მხოლოდ ერთი სქესის წარმომდგენლებით არ იყო შემოსაზღვრული. გასულ კვირას მისმა ერთ-ერთმა ძმისწულმა ნაფიც მსაჯულებს განუცხადა, რომ ჯეფი მას ხუთი წლის ასაში შეუჩნდა და სთხოვა, რომ ის, რაც მათ შორის მოხდა, „ჩვენსა და ღმერთს“ შორის დარჩენილიყო. ამ ინციდენტისათვის ჯეფსი პასუხისგებაში მიცემული არ ყოფილა, მაგრამ ძმისწულმა შემდეგ სასამართლოში უჩივლა.

2003 წელს საქმე მორიგებით დასრულდა.

განსასჯელს კიდევ ერთი პროცესი ელის, ამჯერად უკვე მრავალცოლიანობის ფედერალური ბრალდებებით. პროცესი ოქტომბრისთვის არის დანიშნული.

დაპატიმრების შემდეგ ჯეფსი იუტას შტატში პოლიგამიური ქორწინებების ხელშეწყობისათვის გაასამართლეს, მაგრამ სააპელაციო ინსტანციამ ვერდიქტი შეაჩერა იმ მიზეზით, რომ მოსამართლემ მსაჯულებს არასწორი ინსტრუქციები მისცა.

ჯეფსის ადვოკატი ამტკიცებდა, რომ ჯეფსი თავისი გარემოსა და კულტურის პროდუქტი იყო, რომელიც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში არ შეცვლილა.

საერთო ჯამში სამართალში სექტის 12 წევრი არის მიცემული. მათგან 8 უკვე დამნაშავედ ცნეს, ან თავად აღიარეს თავი დამნაშავედ. ოთხი პროცესს ელის.

22 აგვისტოსათვის დაგეგმილია სექტის წევრის, უენდელ ლოი ნილსენის პროცესი, რომელსაც ასევე მრავალცოლიანობის ბრალდება აქვს წაყენებული.

გ.თ.

## სამგლოვიარო განცხადებები

აზა, დოდო, იზა ბურჯანაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უხუცესი მანდილოსანი

**ელიკო ბახტაძე-ბურჯანაძისა**

და თანაგრძნობას უცხადებენ შვილებს: ნუკრი, ნანი, სულიკო, გულიკო ბურჯანაძეებს.

ლეიბორისტული პარტია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს პარტიის სამგორის რაიონის კოორდინატორის, დავით გოგუას ბებიის

**გოგოლი გოგუას**

გარდაცვალების გამო.

ლეიბორისტული პარტია სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

**ხუთშაბათი 11 აგვისტო**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** დოკ. ფილმი "რომი, იმპერიის აღმავლობა და დაცემა" **08.30** ან. ფილმი "ცეროდენა მაშველები" **09.00** სათავგად. ფილმი **"მერლინის შეგირდი"** **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ევროპული არჩევანი **14.00** ცხოვრება მშვენიერია **15.00** სერ. **"დღეები ლეონესთან ერთად"** **17.00** ან. ფილმი "ცეროდენა მაშველები" **18.00** მედ-ინფო **18.30** ჩვენი ფერმა **19.05** დოკ. ფილმი "300 სპარტელის უკანასკნელი შერკინება" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"დღეები ლეონესთან ერთად"** **22.00** სი ბემოლი **23.00** თოქ-შოუ "არენა" **00.00** ავტოპილოტი **01.00** მხ. ფილმი **"საზღვრების მიღმა"** (12) **03.15** მოამბე **03.35** მხ. ფილმი **"გარიყული"** **06.00** დოკ. ფილმი "მსოფლიო ოდისეები" - ნეაპოლი.

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" **14.00** საუკუნის პორტრეტები – გ. ტაბიძე **17.00** მეხსიერება – წკიპურტები **19.00** დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" **20.00** მხ. ფილმი **"შიმშილი"** **01.00** მხ. ფილმი **"გარიყული"**

**08.00** კურიერი **08.20** ან. ფილმი "ტრანსფორმერები" **08.40** ან. ფილმი "ეშმაკური ლიგა" **09.00** ექსტრემალური შეჯიბრებები **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმფუვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სერ. **"მაშველები"** **13.30** ქართ. ფილმი **"მე ვხედავ მზეს"** **15.40** ეთამაშე ვარსკვლავს (გან.) **17.00** სერ. **"ავრორა"** **18.45** "ამერიკის სასაცილო ვიდეოები" **19.45** სერ. **"ახალგაზრდა ქვრივი"** **22.00** პროფილი (გან.) **23.00** ეთამაშე ვარსკვლავს (გან.) **00.30** ექსტრემალური შეჯიბრებები **01.30** პატრული **02.00** მხ. ფილმი (სუბტ.)

**08.00** ან. ფილმი "ქალთევზას თავგადასავალი" **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 01.50, 05.00** ქრონიკა **09.15** სერ. **"გმირები – 2"** **10.00** სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.50** სერ. **"ფული და სექსი"** **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** ბოიარის ციხესიმაგრე **15.00** წუთისოფელში **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში 2"** **00.00** მხ. ფილმი **"საიდუმლო სია"** (სუბტ.) **02.15** მხ. ფილმი **"უცხოები"** (სუბტ.) **03.40** მხ. ფილმი **"დამცველი"** (სუბტ.) **05.25** მხ. ფილმი **"ამერიკელი ცოლი"** (სუბტ.)

**08.00** ანიმაცია "გამყინვარების ხანა-დიდი გამყინვარება" **09.45, 11.00, 12.20, 14.30, 19.00, 23.30, 0.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **10.00, 13.00, 22.30, 04.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **15.30** პულსი **16.00** სერ. **"პოლიციელთა ამბები"** **17.10,05.00, 07.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00, 23.00** სერ. **"სოფია, ცოტა მადრონე"** **10.30** დოკ. ფილმი "ქალაქის ხედები" **10.40** სცენა **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერ. **"სინდისის საკითხი"** **12.50, 19.35** სერ. **"მეგობრები"** **15.00** სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** **16.00** სცენა **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი "ქალაქის ხედები" **21.00** სერ. **"წყნარი ოკეანის მარგალიტი"** **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება** **08.30** "დიდ ხარ შენ უფალო" **09.05** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.30** პერსპექტივა **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"მევლუდი"** **13.30** კონცერტი – ახალგაზრდა პიანისტთა კონკურსი **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.25** მხ. ფილმი **"არსენას ლექსი"** **17.15** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.40** დოკ. ფილმი "ვივა, აკადემია" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.15** "დიდ ხარ შენ უფალო" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"ერთი ცის ქვეშ"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** მიწათმოქმედი **21.40** გამოყენებითი ხელოვნება **22.20** დოკ. ფილმი "წმინდა მოწამენი ქართლისანი" **22.40** დოკ. ფილმი "შუშანიკის წამება" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმი "წელიწადის დრონი" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** კონცერტი – "ადილა"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**11 აგვისტო**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,655 | ევრო —2,3691 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7259 | რუსული რუბლი — 0,0582 |

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 2§-32, ღამით — 1§-22

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 39-33, ღამით — 29-23

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 22-2§, ღამით — 21-23

**ამინდის პროგნოზი 11 აგვისტოსთვის**





# ორშაბათიდან ორშაბათამდე!

ჟურნალი

ფასი: 69 თეთრი

**გუმბათი**

**როგორ დარჩა ეთერ კაკულია ბუდაპეშტში**

**კობა ხაბაზი: „თურქეთში 230 კილომეტრი ფეხით მოვიარე და ჩვენი ტაძრები ვნახე“**

**დოდო ხურცილავა: „ქალი თუ კარგ ხაჭაპურს აკეთებს, ის უკვე ყველაფერს გააკეთებს“**




## პრემიერლიგის ბედი დღეს გაირკვევა



ინგლისის ქალაქებში ბოლო დროს განვითარებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა რამდენიმე საფეხბურთო შეხვედრის ჩატარება შეუძლებელი გახადა. გადაიდო გუშინდელი ამხანაგური მატჩები — ინგლისი-ჰოლანდია და განა-ნიგერია, რომელიც უოტფორდში უნდა ჩატარებულიყო. ბრიტანეთში დატრიალებული მოვლენები ჯერ არ შეწყვეტილა და ამიტომ უცნობია, როდის დაიწყება პრემიერლიგა.

ბი-ბი-სის ცნობით, პრემიერლიგის სასტარტო დღის განრიგი საბოლოოდ 11 აგვისტოს გაირკვევა. არეულობათა ეპიცენტრში, ლონდონში პირველ ტურში „ტოტენჰემი“-„ევერტონის“, „ფულჰემი“-„ასტონ ვილას“, „ქუინზ პარკი“-„ბოლტონის“ მატჩები უნდა ჩატარებულიყო და მათი გამართვის მიზანშეწონილობაზე პრემიერლიგის ხელმძღვანელობა ხვალ იმსჯელებს. გაურკვეველია „ვესტ ბრომვიჩისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ პაექრობის ბედიც. საქმე ისაა, რომ „ვესტ ბრომვიჩი“ უესტ-მიდლენდსის საგრაფოს კლუბია, რომლის ადმინისტრაციული ცენტრი ასევე ქუჩის ამჟამინდელი დაპირისპირების ქალაქი ბირმინგემია.

ასე რომ, ინგლისის ჩემპიონატის სტარტი ჩაშლის პირს არის, თუმცა მხოლოდ პირველ ტურზეა საუბარი.

**მ. ჟ.**

## ასტროპროგნოზი 11 აგვისტოსთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

**ეს დღე მშვიდად გაატარეთ**

**ვერძი** — ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — რისკი არ არის გამართლებული, ექსპერიმენტების დრო არ არის. **ლომი** — თქვენი საქმე წინ მიდის, იაქტიურეთ. **ქალწული** — არ აყვეთ სხვებს, თქვენი საქმე აკეთეთ. **სასწორი** — ნურავის ენდობით, საკუთარ ინტუიციას დაეყრდენით. **მორიელი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — თქვენი გასაკეთებელი სხვას არ გადააბაროთ, ვერ გაუმკლავდებიან. **მერწყული** — საკუთარ თავზე იფიქრეთ, სხვები მოიცდიან. **თევზები** — ნუ აჩქარდებით, საქმეს ისედაც მოასწრებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი



***

ქალი ექიმთან მივიდა და ქრონიკული დაღლილობის გამო დაიჩივლა.

— რამდენად ინტენსიური სქესობრივი ცხოვრება გაქვთ?

— კვირაში სამჯერ, ორშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს.

— კვირაში ორჯერ შეამცირეთ — დასაწყისისთვის ოთხშაბათი შეიძლება გამოვრიცხოთ.

— არა, ექიმო, ოთხშაბათი არ შეიძლება, ოთხშაბათს ქმართან მაქვს.

***

ახალი ამბები:

— აშშ-ის ეკონომიკა ეცემა, დოლარი სტაბილურია.

— ევროკავშირის ეკონომიკა ეცემა, ევრო სტაბილურია.

— რუსეთის ეკონომიკა სტაბილურია, რუბლი ეცემა.

***

— კარგი პორნოფილმი არის ის, რომლის ნახვაზეც თვით გინეკოლოგები და მეძავებიც კი არ იტყოდნენ უარს...

***

— ბებია, ბებია, რატომ გაქვს ასეთი დიდი...

— იმიტომ, რომ სილიკონია.

**გ. თ.**

## ნანი ბრეგვაძე ეკა კახიანს დაუპირისპირდა


ეკა ირემაშვილი


ქართული ესტრადის ცნობილი წარმომადგენლები ნანი ბრეგვაძე და ეკა კახიანი ერთმანეთს გათანამედროვებულ მიუზიკლში „ქეთო და კოტე“ დაუპირისპირდნენ. ქართული ესტრადის დედოფალი ნანი ბრეგვაძე მიუზიკლში ხანუმას როლს ასრულებს, ხოლო ეკა კახიანი — ქაბატოს. ორივე მაჭანკალი მიუზიკლში ერთმანეთს უპირისპირდება და ქეთოს



გათხოვებით სარფიან მოგებაზე ფიქრობს, თუმცა ვინაიდან მიუზიკლში მოქმედება XXI საუკუნეში ხდება, ამიტომ მაჭანკლების მოქმედებაც სრულიად გათანამედროვებულია.

დავით დოიაშვილის რეჟისურით გადაწყვეტილი ახალი მიუზიკლი ბათუმის განახლებულ ოპერისა და ხელოვნების ცენტრში 14 აგვისტოს იქნება წარმოდგენილი. მასში ქართული კულტურის მთელი თანავარსკვლავედია ჩართული — ნანი ბრეგვაძე, ნინო ანანიაშვილი, ეკა კახიანი, ლადო ათანელი, პაატა ბურჭულაძე, სოფო ნიჟარაძე, ნინო ქათამაძე, სუხიშვილები. სუხიშვილები მიუზიკლში სრულიად ახლებური ცეკვებით წარდგებიან მაყურებლის წინაშე. სიმბოლურია, რომ სუხიშვილები წლების შემდეგ „ქეთო და კოტეში“ ბრუნდებიან. ფილმში დიდი ნინო და ილიკოც მონაწილეობენ, ახლა კი უმცროსი ილიკო სუხიშვილი მიუზიკლისთვის ცეკვებს დგამს. ყველაზე დიდხანს შემოქმედებითმა ჯგუფმა კოტეს როლის შემსრულებელი ეძება და საბოლოოდ ორ კანდიდატზე მირზა მოდებაძესა და ნიკა ბერიძეზე შეჩერდა. ვიქტორ დოლიძის უკვდავი ოპერის „ქეთო და კოტეს“ ახლებური მუსიკალური ვერსიის ავტორი ნიკა მემანიშვილია. მას სანუკვარი ოცნება 20 წლის დაგვიანების შემდეგ აუხდა, რადგან ჯერ კიდევ 11 წლის ასაკში ამ ოპერასთან პროფესიულად შეხებაზე ოცნებობდა. მის მხატვრულ მხარეზე კი თამარ კვესიტაძემ იზრუნა.

ცნობილი ქართველი საოპერო მომღერლები ლადო ათანელი და პაატა ბურჭულაძე მიუზიკლში თავადი ლევანისა და მაკარის როლებს ასრულებენ. ქართველი პრიმაბალერინა ნინო ანანიაშვილი კი თეკლას როლს განასახიერებს. რაც შეეხება სოფო ნიჟარაძეს, მისთვის მიუზიკლში მონაწილეობა უცხო არ არის. სწორედ მიუზიკლებით დაიწყო მისი შემოქმედებითი კარიერა. სოფოს მიერ შესრულებულმა ჯულიეტას როლმა ქართველ მომღერალს დიდი პოპულარობა მოუტანა.

მიუზიკლში „ქეთო და კოტე“ მოქმედება XXI საუკუნეში ხდება. წარმოდგენა მისი ავტორების განცხადებით, სრულიად თანამედროვეა


**გაგრძელება მე-7 გვერდზე**


## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. უხასიათობა ცუდი გუნება-განწყობა; 2. ხარისხიანობის აღმნიშვნელი დამღა პლატინის, ოქროს, ვერცხლის ნაკეთობებზე; 3. დიდი აღელვება, აურზაური რაიმე ამბის, საკითხის გამო; 4. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 7. უოლტ დისნეის სრულმეტრაჟიანი მულტფილმი; 9. ოპტიკური მინა; 12. ერის, ხალხის, ტომის წარმოშობა; 14. ზღვისპირა კურორტი პოლონეთში; 15. ფუტკრის მსგავსი მოყვითალო ფერის მწერი; 17. მეფის მცველი რაზმი ძველად საქართველოში; 20. დაბალი ხარისხის ალმასი.

**თარაზულად:** 5. შაქრის სუროგატი; 6. საფრანგეთში წარმოშობილი დეკორატიული მხატვრული სტილი; 8. ოდესის ძველი სახელწოდება; 10. მავნებლური, ძირგამომთხრელი მოქმედება რაიმე საქმეში; 11. იაპონიის ერთ-ერთი კუნძული; 13. სიბნელეში ჭუჭრუტანიდან შემოსული სინათლის სხივი; 16. გარკვეული წესით შედგენილი ერთგვაროვანი საგნების სია; 18. ველორიქშა ინდოეთში; 19. თოფზე ჩამოსაცმელი ტყავის ბუდე; 21. სასტუმროს თანამშრომელი; 22. გასართობად შეთხზული, მოკლე, სასაცილო ამბავი; 23. საკურთხევლის ტახტი ეკლესიაში.

**შეადგინა თ. კოპალეიშვილმა**




## [illegible]

**ტესტი**

**ტესტის შეკითხვებს პასუხად შეურჩიეთ. ა. არა, ასე არ არის (1). ბ. ალბათ ასეა (2). გ. ასეა (3). დ. ნამდვილად ასეა (4)**

1. მშვიდად ვარ.
2. არავითარი საფრთხე არ მემუქრება.
3. დაძაბული ვარ.
4. სინანულს ვგრძნობ.
5. თავს თავისუფლად ვგრძნობ.
6. განაწყენებული ვარ.
7. მაღელვებს შესაძლო წარუმატებლობა.
8. თავს დასვენებულად ვგრძნობ.
9. შეშფოთებული ვარ.
10. შინაგანი კმაყოფილებას ვგრძნობ.
11. საკუთარ თავში დარწმუნებული ვარ.
12. ვღელავ.
13. ადგილს ვერ ვპოულობ.
14. აღგზნებული ვარ.
15. დაძაბული არ ვარ.
16. კმაყოფილი ვარ.
17. მიხარია.
18. მსიამოვნებს.
19. გაოგნებული ვარ.
20. ძალიან აღგზნებული ვარ, ადგილს ვერ ვპოულობ.

**პასუხები:**

**20-40 ქულა:** აღგზნებადობის დაბალი დონის შესაბამისია. კონფლიქტი ამჟამად არ გემუქრებათ.

**40-60 ქულა:** აღგზნებადობის საშუალო დონე. რაც უფრო მეტად უახლოვდებით 60 ქულას, მით უფრო მეტად იზრდება კონფლიქტის შესაძლებლობა.



**60-80 ქულა:** თუ ახლა დილაა და ტესტი სამსახურში შეავსეთ, მიდით უფროსთან და დაეთხოვეთ, სანამ რამე უბედურება არ დაგიტრიალებიათ. თუ საღამოა და სამუშაო დღე დასასრულს უახლოვდება, შეეცადეთ, შინისაკენ მიმავალ გზაზე არავის დაელაპარაკოთ. შინ მისულმა ორი საათი დაისვენეთ, თუ ძაღლი ან კატა გყავთ, იგი ამ დროის ერთ საათამდე შემცირებაში დაგეხმარებათ.

**გ. თ.**


ლურჯი წითელი ყვითელი შავი